ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+„ჩერჩილი“
yfobkb 66
8 ლარი




ხუთშაბათი, 12 მაისი, 2011 №111 (5492) ფასი: 30 თეთრი

# „26 მაისს შეიძლება 7 ნოემბერი განმეორდეს“

გვ.2



გვ.7

## ივანიშვილი სააკაშვილს ყოველწლიურად 150 მლნ დოლარით აფინანსებს



გვ.4

## კახეთში „მარშრუტკების“ მძღოლებს დაერივნენ

ქართული პარტიის მომხრეების გადაყვანა ვირი სიამოვნებაა

# სკოლებში სკანდალი მწიფდება

გვ.3

19-11 დღეში სკოლებში გამოცდები იწყება და ჯერ არ არის გამოცემული გამოცდების ჩატარების წესი და პირობები



## აფხაზური ეკლესია ორ ბანაკად იყოფა

გვ.4

## ლილოს ბაზრობა 20 წლისაა

გვ.5





## ეს ბოროტება ხერხემალში უნდა გადავტეხოთ!

გვ.8

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



გვ.9

## კავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტება საქართველოზეა დამოკიდებული

## ხელისუფლებიდან პანდურით გამოგდებულებისგან კრიტიკას ვერ მივიღებთ!

გვ.6



ISSN 1987-9385

**10** თავისუფალი აზრის სახლში ქიული შარტავა გაიხსენეს

**7** ადვოკატები შიმშილობის აქციას იწყებენ

**9** საქართველოს ელჩი ინგილოებს თურქულად ელაპარაკება

**8** ნინო ბურჯანაძე: ოქრუაშვილის განცხადებები სააკაშვილის გეგმის ნაწილია

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „26 მაისს შეიძლება 7 ნოემბერი განმეორდეს“

**ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებები საპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკის მიზანი გახდა. საპარლამენტო უმრავლესობას კი ოქრუაშვილის განცხადებებზე სერიოზული კომენტარის გაკეთება არ სურს.**

**მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილის განცხადება მოისმინეს დემოკრატიაზე და აშშ-სთან დაკავშირებით, ბევრს გაეცინა. რამდენიმე პოლიტიკოსმა ოქრუაშვილს წარსული და სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე საქმიანობაც შეახსენა. ორი დღის წინ, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში ოქრუაშვილმა საკმაოდ მკვეთრი განცხადებები გააკეთა.**

**„ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ აშშ-ის ხელისუფლება სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერით საქართველოში დემოკრატიას ასამარებს.**

**ირაკლი ოქრუაშვილმა ისიც განაცხადა, რომ „ქართული პარტია“ 16 მაისს ამერიკის საელჩოსთან ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის გამართვას გეგმავს.**



**ნანა მიშელაშვილი**

— ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმები და ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს სათავესთან მისვლასა და ონკანის გადაკეტვაში. ეს ონკანი მდებარეობს დიღომში, აშშ-ის საელჩოში, საიდანაც მოდის ის ნიაღვარი, რომლითაც იწამლება ქართული საზოგადოება. 16 მაისს ჩვენ გავაკეთებთ ჩვენი თბილისის აქტივის მობილიზებას აშშ-ის საელჩოსთან. მოვუწოდებთ რიგით თბილისელებს, მოვიდნენ და პროტესტი გამოხატონ იმის წინააღმდეგ, რაც აშშ-დან მომდინარეობს, პირდაპირი და არაპირდაპირი მხარდაჭერით არსებული რეჟიმისადმი, რომელიც საკუთარ ხალხზე ძალადობს. ჩვენ ვაპირებთ მათ პირდაპირ ვუთხრათ, რომ ამ რეჟიმის მხარდაჭერით ისინი ასამარებენ დემოკრატიას საქართველოში. თუ ჩვენ რუსები გვართმევენ ტერიტორიებს, ამერიკელები გვართმევენ თავისუფლებას, — განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება საპარლამენტო ოპოზიციის და უმრავლესობის წევრებმა შეაფასეს.

**დავით დარჩიაშვილი** — **უმრავლესობის წევრი:**

***— რას იტყვით ირაკლი ოქრუაშვილის მიერ პარიზიდან გაკეთებულ განცხადებებზე?***

— ამ განცხადებებმა გამახსენა, რომ რევოლუციურ პროცესებს პოზიტივთან ერთად ნეგატივიც ახლავს, რა რევოლუციაც არ უნდა იყოს. არის რევოლუციები, რომელიც სინამდვილეში კონტრრევოლუციებია, არის რევოლუციები პროგრესისკენ, იგივე ამერიკის შექმნაც რევოლუციური პროცესი იყო. ნეგატივი ის არის, რომ ძალიან ბევრი უმეცარი, სრულიად არაადეკვატური ადამიანი, ვერც საკუთარი სამშობლოს და ვერც საერთაშორისო ვითარების ვერგამგები უცებ აღმოჩნდება ზემოთ და ასეთებს განეკუთვნებოდა ბატონი ოქრუაშვილი. რევოლუციურ ტალღაზე ვინ სად მოხვდება, თორემ, ამ განცხადებებში ჩანს, რომ არც არაფერი დავიწყნია, არც არაფერი უსწავლია და ვერც ვერაფერი გაუგია. თუ ეს თამაშია ვიღაცა სპონსორების გულის მოსაგებად, რომელთაც თავის მხრივ არაფერი არ ესმით ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების, არ ვიცი. ეს თამაშები არაფერ საერთოს არ წარმოადგენს საზოგადობის ინტერესთა პოლიტიკური ბრძოლის ადეკვატურ მეთოდებთან, რომელმაც ვინმეს შეიძლება წარმატება მოუტანოს, ეს ცხადზე ცხადია. ოქრუაშვილის განცხადებები დროიდან ამოვარდნილია. საზოგადოების განწყობის იგნორირება საერთაშორისო ვითარების და აშშ-ს როლისა და ადგილის, რუსეთის როლის არევ-დარევა, საკუთარი თავის წარმოდგენა აიათოლა ხომეინად თუ არ ვიცი რად, ეს იმისთანა ეკლექტიკაა, რომ ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება ცოტა ძნელია.

***— ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ რუსები ტერიტორიას გვართმევენ, ხოლო ამერიკელები თავისუფლებასო. ამაზე რას იტყვით?***

— ამ ადამიანმა თავისუფლების ფასი არ იცის. ამაზე მეტყველებდა მისი საქმიანობა, როდესაც ის გენპროკურორი და თავდაცვის მინისტრი იყო. პარიზში კარგი ლიტერატურა რომ წაეკითხა დემოკრატიასა და რევოლუციებზე, იქნებ შედეგი ყოფილიყო, მაგრამ როგორც ჩანს, არა. ამერიკის საელჩოსთან მიტინგების მოწყობის გარდა, იქნებ მოლოტოვის კოქტეილებიც ეზმანება მას. ეს არის თალიბანის მსგავსი ორგანიზაციების სულისკვეთება თანამედროვე სამყაროში. თუ მათთან აიგივებს თავს, მაშინ პირდაპირ უნდა თქვას. ამიტომ არის ეკლექტიკა, რადგან ორ სიტყვას იძახის თავისუფლებაზე და მერე ისეთი ნაბიჯებს სახავს, რომელსაც თავისუფლებასთან, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებთან და ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესთან საერთო არაფერი არა აქვს.

***— 21 მაისს სახალხო კრება აქციის მოწყობას აპირებს. გამორიცხული არ არის, ამავე დღეს „ქართულმა პარტიამ“ პარალელური მიტინგი გამართოს. რატომ აmოირჩიეს ეს თარიღი?***

— არ ვიცი, შეიძლება მთვარის დედამიწაზე გავლენის ბრალია ან მაკროკოსმოსის გავლენაა ზოგიერთ ადამიანზე, ან გაზაფხულის ბრალია. ვერ გეტყვით, რისი ბრალია.

***— 26 მაისს თბილისში აღლუმის ჩატარება იგეგმება. შესაძლოა, რომ მის ჩატარებას ხელი შეეშალოს?***

— აღლუმი სრულიად კანონიერი ღონისძიებაა, რომელსაც ატარებს სახელმწიფო და კონკრეტული მთავრობა, რომელიც იმ მომენტში სახელმწიფოს სათავეშია. ეს არის გამოხატულება ქვეყნისთვის ძვირფასი სიმბოლოების მიმართ, პატივისცემა და საკუთარი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დემონსტრირება. ამის წინააღმდეგ წასვლა ნიშნავს ვერგაგებას იმისა, რა არის სახელმწიფო, მოქალაქე. იბრძოლე პოლიტიკისთვის, დაიბრალე, რომ ბევრად უკეთ გესმის ქვეყნის გასაჭირი, მაგრამ იმაში ნუ გამოხატავ, რომ აღლუმებს ებრძოლო და ამერიკის საელჩოსთან აქციები მოაწყო.

***— პროცესები ისე ხომ არ წარიმართება, რომ „ქართული პარტია“ და ბურჯანაძის პარტია გაერთიანდება?***

— არ ვიცი, ეგ არ მაინტერესებს. მათი რეიტინგები მეტყველებს, რომ საზოგადოება ძალიან ჯანსაღია. მიუხედავად გაჭირვებისა, საზოგადოებას სწორად ესმის ყველაფერი. რეიტინგები ყველაფერს აჩვენებს. ზოგიერთ პოლიტიკოსს კიდევ სარკეში ჩახედვა არ უნდა. შეიკრიბა განაწყენებული ადამიანების წრე და ერთმანეთს ახალისებენ ან ალიზიანებენ. გაერთიანდებიან თუ დაიშლებიან, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.

***— პარიზში მყოფი ოქრუაშვილის განცხადებები იმას ხომ არ მოწმობს, რომ ქართულ სინამდვილეს მოწყვეტილია?***

— არ ვიცი, ასე როგორ უნდა მოწყვეტილიყო რეალობას. რეალობის აღქმის უნარი თუ არ გაგაჩნია, საქართველოში რა ვითარებაა, ინტერნეტში ვერ კითხულობ, აშშ-ს როლი და დღევანდელი ადგილი დემოკრატიისთვის ბრძოლაში თუ არ იცი, ე. ი. ვერაფერი ვერ გაგიგია.

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე.

ლევან ვეფხვაძე — ქრისტიან-დემოკრატების ერთ-ერთი წევრი:

***— ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, თუ რუსები გვართმევენ ტერიტორიას, ამერიკა გვართმევს თავისუფლებას. რას იტყვით ამ შეფასებაზე?***

— ეს აბსურდული განცხადებაა თავისი არსიდან გამომდინარე. ჩვენ რუსები გვართმევენ ტერიტორიებს, რუსულმა საოკუპაციო არმიამ საქართველოს ტერიტორია დაიკავა, რაც შეეხება თავისუფლებას, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს არჩევანის თავისუფლება. რუსეთს აქვს ასეთი პოლიტიკა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა უნდა იყოს მისი მონა, თუ მონა არ იქნება, მაშინ ხდება მისი მტერი. რაც შეეხება აშშ-ს, აქ სხვანაირი სიტუაციაა, ჩვენ გვინდა ვიყოთ იმ სტანდარტების ქვეყანა, რაც არის დასავლური ქვეყანა. ამერიკის შეერთებული შტატები წლების განმავლობაში დემოკრატიის ექსპორტიორი იყო ევროპაში. ჩვენ გვინდა აშშ-სთან სტრატეგიული ურთიერთობა. ვაშინგტონი არის შორს და არავინ არ გაძალებს იქიდან რაიმეს, არც აშშ-ს ბაზებია საქართველოში განლაგებული და არც არაფერი. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, საელჩო, პირადად ელჩი არიან ის ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობენ და წარმოადგენენ ხელისუფლებაზე საერთაშორისო ზეწოლის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომ სააკაშვილმა ამ ქვეყანაში გაატაროს დემოკრატიული რეფორმები. ყველას ახსოვს ამერიკის ელჩის განცხადებები ვეტერანების აქციასთან დაკავშირებით და სხვა. დღეს საელჩოს წინააღმდეგ აქციების ჩატარება ნიშნავს დემოკრატიის წინააღმდეგ გალაშქრებას. ეს არის ის, რაც უნდა სააკაშვილს. მიხეილ სააკაშვილს ქვეყანაში დემოკრატია არ სჭირდება. სააკაშვილს არ მოსწონს ამერიკის ადმინისტრაციის პოლიტიკა. არ მოსწონს ამერიკის საელჩოს პოლიტიკა, რომელიც სააკაშვილის უპირობო მხარდაჭერაზე არ არის დაფუძნებული. დღეს მის წინააღმდეგ ასეთი ტიპის აქციების აგორება ნიშნავს იმას, რომ მიეხმარო სააკაშვილს საქართველოში დემოკრატიის დასამარებაში.

***— 16 მაისს ამერიკის საელჩოსთან აქციაზე ხალხი მივა?***

— საკუთარი პარტიის მხარდამჭერებს გამოიყვანენ. საქართველოში არის ელექტორატის გარკვეული ნაწილი, რომელსაც ამერიკელები არ მოსწონს და შესაძლოა ეს ხალხი მივიდეს აქციაზე.

***— ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ 26 მაისის აღლუმი მარტივად არ ჩაივლის. ამაზე რას იტყვით?***

— 26 მაისისთვის ამ ქვეყანაში კარგი რამ არ არის მოსალოდნელი.

***— რას გულისხმობთ?***

— როგორც ჩანს, ხელისუფლება შეეცდება ჩაატაროს აღლუმი და მეორე მხარე შეეცდება ჩაატაროს მიტინგი, რომ ხელი შეუშალოს აღლუმს. არ მინდა წარმოვიდგინო, რომ დაახლოებით ის პროცესები განვითარდეს, რაც 2007 წლის 7 ნოემბერს ერთხელ უკვე ვიხილეთ, როდესაც დემონსტრანტები და პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

***— ამის საშიშროება არის, რომ 26 მაისს 7 ნოემბერი განმეორდეს?***

— ამის საშიშროებას მე ვხედავ. როგორც ჩანს, ხელისუფლება ყველა ვარიანტში შეეცდება 26 მაისს რუსთაველზე აღლუმი ჩაატაროს. მე ხელისუფლებას მოვუწოდებ, რომ ვაზიანში ჩაატაროს აღლუმი ან სადმე სხვაგან და განერიდოს პროცესების დესტაბილიზაციას. თუმცა, არა მგონია, ხელისუფლებამ ყურად იღოს ჩემი მოწოდება. ძალიან მაღალი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღლუმი რუსთაველზე ჩატარდება და გარკვეული დაპირისპირების პროცესი შეიძლება 26 მაისს მოხდეს.

## რუსეთმა წაგვართვა ტერიტორიები, მაგრამ აშშ გვართმევს არჩევანის თავისუფლებას!



„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი ეროსი კიწმარიშვილი ამერიკის ადმინისტრაციას მოუწოდებს, თავი დაანებონ სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერას და მხარი დაუჭირონ ქართველ ხალხს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და ამიტომ ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საქმეებში ჩარევა არცერთი ქვეყნის მხრიდან არ უნდა მოხდეს.

კიწმარიშვილის თქმით, 16 მაისს 14.00 საათზე თბილისში, დიღომში, ამერიკის შეერთებული შატატების საელჩოსთან „ქართული პარტიის“ აქცია გაიმართება.

— 2009 წლის დასაწყისში ხელმოწერილი ქართულ-ამერიკული ქარტიის არცერთი პუნქტი ქართული მხარის მიერ შესრულებული არ არის. მიუხედავად ამისა, ამერიკის ადმინისტრაცია აგრძელებს სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო და მედია არ არის დამოუკიდებელი, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში კვლავ გაყალბდა არჩევნები და ბიზნესი და მოსახლეობა არის ტერორის ქვეშ, ამერიკის ადმინისტრაცია კვლავ აგრძელებს სააკაშვილის რეჟიმის ფინანსურ მხარდაჭერას. ამ თემებთან დაკავშირებით ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქართველი ხალხის პოზიციის გამოსახატად 16-ში აქციის გამართვა იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, — აღნიშნა ეროსი კიწმარიშვილმა.

პრესკონფერენციაზე ეროსი კიწმარიშვილი გამოეხმაურა ირაკლი ოქრუაშვილის მიერ „მაესტროს“ ეთერით გუშინწინ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის შეფასებებს.

— თუ ვინმეს აინტერესებს ქართველი ხალხის პოზიცია, გავიდნენ პოლიტიკური ძალები შეხვდნენ ხალხს და იკითხონ გორში, თელავში, გურჯაანში და ნებისმიერ სხვა ადგილას, რას იტყვის ხალხი იმაზე, რასაც ჰქვია სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერა შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მხრიდან. ჩვენ ვთვლით, რომ რუსეთმა წაგვართვა ტერიტორიები, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ამ ტიპის მხარდაჭერით გვართმევს თავისუფლებას, არჩევანის თავისუფლებას. არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ე.წ. ცეკას ინსტრუქტორები შეიცვალონ სახელმწიფო დეპარტამენტის ინსტრუქტორებით, —აღნიშნა კიწმარიშვილმა.

„ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივნის თქმით, მას არ აქვს არანაირი სურვილი აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე წყვეტდეს საქართველოში შიდა პოლიტიკურ საქმეებს.

შეგახსენებთ, რომ „ქართული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ოქროუაშვილმა, გუშინწინ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა, რომ აშშ-ის ხელისუფლება სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერით საქართველოში დემოკრატიას ასამარებს.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ზალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# სკოლებში სკანდალი მწიფდება

## 19-11 დღეში სკოლებში გამოცდები იწყება და ჯერ არ არის გამოცემული გამოცდების ჩატარების წესი და პირობები

შორენა კოწოწაშვილი

ექსპერტი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ განათლების სისტემა დაიგრა და ეს სააკაშვილის და მისი ხელისუფლების დამსახურებაა.ნიკოლაიშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი იყოს ქვეყანაში განათლებული და ამის შედეგია ის, რომ წელს მეთორმეტე კლასელთა ფაქტობრივად ნახევარი, თუ მეტი არა სკოლის ატესტატის გარეშე დარჩება. ისინი აიღებენ სერთიფიკატს ჩანაწერით — მოისმინა. — განათლების სისტემა კი არ ინგრევა, უკვე დაინგრა, უფსკრულშია გადაჩეხილი. სადემონსტრაციო ტესტირებამ და პრეტესტირებამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ვერ ლახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კონკრეტულად: ფიზიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში, — აცხადებს ნიკოლაიშვილი და აინტერესებს, რატომ მალავს განათლების სამინისტრო მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და რატომ აჩენს ამ გამოცდებისადმი სამართლიან პრეტენზიებს.

ამასთან, ნიკოლაიშვილი განათლებაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო არა თავად განათლების მინისტრ დიმიტრი შაშკინის, არამედ თავად პრეზიდენტ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს და საზოგადოებას გამოფხიზლებისკენ მოუწოდებს. რა სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს ექსპერტი სკოლის გამოცდებთან დაკავშირებით, რატომ ტარდება მოუმზადებლად გამოცდები და რატომ დუმს განათლების მინისტრი, როცა ათი ათასობით სკოლის მოსწავლის ბედი წყდება? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტთან განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილთან.

***— ქალბატონო მანანა, რა ვითარება შეიქმნა განათლების სისტემაში ხელისუფლების „წარმატებული“ რეფორმების შედეგად? ფაქტია, საერთაშორისო ორგანიზაციები ღიად წერენ, რომ ბავშვების საკმაო რაოდენობას წერა-კითხვის პრობლემა აქვს.***

— მართალია, ბევრმა წერა-კითხვა არ იცის. რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე არ იციან, ამას სამთავრობო არხები გვაჩვენებენ. ილიას ვერც ერთ ნაწარმოებს ვერ ასახელებენ. რაზე უნდა ვილაპარაკოთ, ნაწარმოებების სათაურები არ იციან, ჩვენს სასიქადულო მეფეებს ვერ ჩამოგითვლიან. რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი რომ იყო, ეს არ იციან. წერა-კითხვა ნამდვილად არ იციან. დღეს ძლიერ კლასად ის კლასი ითვლება, სადაც მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამართულად სამი ბავშვი კითხულობს. აი, სადამდე მივიდა ჩვენი განათლების სისტემა. ვინ ასახელებს ამ რეფორმას წარმატებულად, თავად სააკაშვილი?! მაშინ, ვისი ბრალია ყველა საერთაშორისო გამოკვლევა რომ აჩვენებს, რომ საქართველოში ბავშვებმა უკვე წერა-კითხვა არ იციან. თუ მაგათ გონიათ, რომ ეს ოჯახის ბრალია ან ეს სკოლის, კონკრეტულად მასწავლებლის ბრალია ძალიან ცდებიან. ეს მცდარად გატარებული რეფორმების ბრალია. ეს არის მცდარად გატარებული სახელმწიფო-საგანმანათლებლო პოლიტიკის შედეგი, რა პოლიტიკასაც ესენი განთლების სისტემაში ატარებდნენ. ეს არის ის, რომ ჩვენ ქვეყანას არანაირი სტრატეგია არ გააჩნია არც ერთ დარგში. მათ შორის სტრატეგიული გეგმა არ გააჩნია ამდენი წელია. ის, რაც ახლა გააკეთეს, რასაც ესენი სტრატეგიულ გეგმას უწოდებენ, ის სტრატეგიული გეგმა კი არა, ის არაფერი არ არის. სტრატეგიული გეგმა ასეთი სახით არ კეთდება. რომელ განათლების ხარისხზე ვლაპარაკობთ. 80-90-იან წლებში და უფრო ადრე ჩვენ ვიყავით პიკზე, ვარდების რევოლუციის შემდეგ ახლა ნულზეც არა ვართ. მინუსებში ვართ გადასული. არაფერს აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ფუნდამენტურ მეცნიერებებში ბავშვები საერთოდ აზრზე არ არიან. კატასტროფაა ქიმიაში და ფიზიკაში.

***— ეს კატასტრულფულად დაბალი დონე სკოლებში ჩატარებულმა პრეტესტირებებმა გამოკვეთა?***

— იცით, ამ პრეტესტირებებზე რა მოხდა? ჯერ ერთი, პროგრამამ მათემატიკაში არ იმუშავა. მერე კიდევ ჩაატარეს და ახლა 17-დან 22-მდე კიდევ ატარებენ პრეტესტირებებს ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და მათემატიკაში. განსაკუთრებით ქიმიაში იყო კატასტროფული შედეგები. 7000 ბავშვი იყო მონაწილე და აქედან ათასობით ბავშვმა ვერ გადალახა. თითქმის 95%-ზე მეტმა ვერ გადალახა და ხელახლა უნდათ პრეტესტირების ჩატარება. თუ ტესტების გამარტივება უნდოდათ, მაშინ საგამოცდო პროგრამას გაამარტივებდნენ და შეამცირებდნენ. ეს არ გააკეთეს. ე.ი. სკოლის მოსწავლეებს და მშობლებს რომ აქვთ მოლოდინი, იქნებ ტესტები გაამარტივონო, ეს არის ზღაპარი. არაფერს არ გაამარტივებენ. ჯერ ერთი, ეს ტესტები მათ არ შეუდგენიათ, უცხოურიდან თარგმნეს. ეს „კატის“ პროგრამაც არ არის ქართველების შედგენილი. ძალიან გონივრული პროგრამაა, მაგრამ ამ უვიცი, ბავშვების ხელში, რომლებიც უვიცებად ამ ხელისუფლებამ გახადა, რაში გვჭირდება „კატის“ პროგრამა?! რას ამოწმებენ, აპრილში თუ არ იცოდნენ ბავშვებმა ფიზიკა-ქიმია, ერთ თვეში ისწავლიან? გაიგონ სააკაშვილმა და მისმა მრჩევლებმა: ფიზიკა და ქიმია, ეს ფუნდამენტური მეცნიერებები, არ შეიძლება ისწავლო წელიწადსა და ოთხ თვეში. ამას ასე მოკლე დროში ვერ ისწავლი. სწავლობენ ზედაპირულად. ხომ ხედავენ, რომ ტესტებს ვერ აკეთებენ. ეს მე ჯერ კიდევ როდის ვუთხარი მაგათ. 6 წლის მასალას, ანუ 12 წიგნს ფიზიკასა და ქიმიაში ბავშვები ასე მოკლე პერიოდში როგორ ისწავლიან. ამას ემატება ბიოლოგიის 6 წიგნიც.

***— გამიზნულად მოხდა საჯარო სკოლებში საბუნებისმეტყველო საგნების არასათანადოდ შესწავლა?***

— კი, გამიზნულად მოხდა. ყველაფერი შეგნებულად მოხდა. ყველაზე დიდი მიზანი არის, რომ საქართველოში უმაღლეს განათლებულების რიცხვი კატასტროფულად შემცირდეს. ვერ ჩაახშვეს ქართველების სწრაფვა განათლებისაკენ. ამისთვის საჭირო იყო ის, რაც ამ ხელისუფლებამ გააკეთა. რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა, ეს შევარდნაძემ არ იკადრა. ამას პირველად ვამბობ.

***— შევარდნაძემ უარი თქვა განათლების დონის შეგნებულად დაწევაზე?***

— ასეთი ცუდი რეფორმები იმ დროსაც მიმდინარეობდა, ანუ მაშინაც მიმდინარეობდა განათლების სფეროში დამანგრეველი პროცესი. შევარდნაძე პროცესს აჭაობებდა. ამ სიტყვას ვიტყვი. ეს ე.წ. რეფორმატორები მაშინ ამბობდნენ, განათლებაში არ მიდის რეფორმებიო. მაშინ კარგად ვერ ვიგებდი, თურმე დასაჭაობებელი კი არა, საერთოდ ჩასაძირი ყოფილა ეს რეფორმები და მართლა შესანელებელი ყოფილა რეფორმების ტემპი. რაებს ბოდავენ ესენი. იციან, რომ საქართველოში ძალიან ბევრია რუსეთის მხარდამჭერია და ხალხს ატყუებენ, თითქოს რუსეთში განათლებაში ასეთი რეფორმები მიდის. რას ლაპარაკობთ, ხალხო. ჯერ ერთი, რუსებს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი განათლების სისტემა აქვთ. რას გადმოსცემენ სამთავრობო არხები, თურმე რუსეთი ჩვენგან განათლების რეფორმას იღებენ. სირცხვილი არ აქვთ, როგორ ცრუობენ. ნებისმიერ საერთაშორისო ოლიმპიადებზე რუსები ყველგან ან პირველ ან საპრიზო ადგილებს იღებენ. საერთაშორისო მათემატიკური კონკურსი „კენგურუ“ რომ ტარდება ევროპულ ქვეყნებს, სადაც განათლებაზე უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ, რამდენი წელია პირველ ადგილზე გასული 120-ქულიანი ბავშვები არ ჰყოლიათ. რუსეთში კი ასეთ 120 ქულას 500 ბავშვი იღებს. ამით იმსჯელონ. იცით, ამას რატომ აკეთებენ? აქ დიდი პოლიტიკაა. ამას იმიტომ ამბობენ, ქართველ ხალხს უთხრან, თქვენ რომ არ მოგწონთ განათლების რეფორმა, რუსეთშიც ანალოგიური რეფორმები ტარდებაო. ანუ ჩვენ რუსეთს გავასწარით „კარგი“ რეფორმებით და ახლა მათ ჩვენგან გადააქვთო. ამით ხალხს ეუბნებიან, ტყუილად გაქვს ლტოლვა რუსეთისკენ. განათლება და მეცნიერებაა ქართველო ხალხისთვის მთავარი და არა ტურიზმი. ამიტომ დაუვარდა ხელისუფლებას რეიტინგი, რომ ამ სფეროში კატასტროფული რეფორმა გაატარა. ყველაზე საუკეთესო რეფორმა ბოლო ათწლეულში ფინეთში გატარდა. ფინეთმა რუსული განათლების სისტემიდან გადაიღო ახალი ელემენტები. მილიონებს იხდიან ლობისტებთან იმაში, რომ განათლების რეფორმა აქონ. ჩვენი ახალგაზრდები კი იმ დონემდე მივიდნენ, რომ წყლის ფორმულას ვერ წერენ. ვისი ბრალია ეს? — სააკაშვილის.



***— რატომ სააკაშვილის?***

— იმიტომ, რომ ის ატარებს განათლებაში და მეცნიერებაში ასეთ დამანგრეველ რეფორმას. ის არ იყო, რომ ამბობდა, მთავარია ერთი საგანი — უნარებიო. რადგან ობამას მოსვლის შემდეგ აშშ-ის განათლების პრიორიტეტი საბუნებისმეტყველო მეცნიერებები გახდა, მერე აჭიკჭიკდა ჩვენი პრეზიდენტი და ჩვენი პრიორიტეტიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები გახდა. ანუ ამერიკის მთავრობამ უთხრა, ან ნიჭიერ ადამიანებს ასწავლე და ამ ტვინებს მერე მსოფლიო ბაზარი შეიწოვსო. ამერიკაში ფიზიკის და ქიმიის ინსტიტუტებში ბევრი ქართველი მეცნიერი მუშაობს. სანამ ობამა არ მოვიდა, რატომ არ ახსოვდა სააკაშვილს ფიზიკა და ქიმია? 6-წლიანი კურსი ფიზიკასა და ქიმიაში 7-თვიან კურსზე დაიყვანეს. რა ეცოდინება სააკაშვილს, სად სცალია განათლებისთვის. ყველაფერს დავუთვლი ამ ხელისუფლებას.

***— რას იტყვით სკოლის გამოცდებთან დაკავშირებით, რომელსაც ათიათასობით მოსწავლე ელოდება?***

— ეს არის სუპერსკანდალი, რაც ამ კუთხით დება. მშობლებმა რომც იჩივლონ, პროცესი მაინც წავა, არ შეჩერდება. ერთადერთი ჩვენი ქვეყანაა, სადაც 10-11 დღეში სკოლებში გამოცდები იწყება და ჯერ არ არის გამოცემული გამოცდების ჩატარების წესი და პირობები.

***— რას გულისხმობთ, მოუმზადებლად ატარებს განათლების სამინისტრო სკოლებში გამოცდებს?***

— რა თქმა უნდა. დამტკიცებული არ არის გამოცდის ჩატარების ფორმა. არ არის განსაზღვრული საგამოცდო საგნების ნუსხა, მონაცემთა ბაზები, საგამოცდო განაცხადი. საატესტაციო გამოცდების მიმდინარეობის პირობები. არ არის განსაზღვრული ის პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან, დაესწრონ საგამოცდო პროცესს. არ არის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ეს ყბადაღებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ისე უნდა გავიდეს მოსწავლე გამოცდაზე, რომ არ უნდა იცოდეს, რა იქნება ის მინიმალური კომპეტენცია, რასაც უნდა უპასუხოს?! უამრავი საკითხია, რაც გაურკველია მშობლებისა და მოსწავლეებისთვის. ბავშვი ხომ ვერ დაიმახსოვრებს 40-ვე ტესტს, როგორ უნდა გაასაჩივროს ნამუშევარი? კულუარული ინფორმაციით არის ცნობილი, რომ ბავშვმა შეიძლება გაასაჩივროს, იქვე წერია, რომ თუ ბავშვმა განცხადება არ დაწერა დასაბუთებულად, პრეტენზია არ მიიღებაო. გეკითხებით, როგორ დაგამახსოვრდებათ 40 ტესტი ზეპირად? ეს ხომ შეუძლებელია. დოკუმენტი ხომ უნდა გქონდეს ხელთ, რომ მერე იმაზე იდავო? საგამოცდო ფურცელს ბავშვი გამოცდაზე ტოვებს. ქსეროასლი მაინც გაუკეთონ და ისე გამოუშვან ბავშვები, გასაჩივრების შემთხვევაში რომ გამოიყენონ.

***— ბავშვის ნაწერის ჩასწორება შესაძლებელია? ითქვა, რომ გამოცდები ობიექტურად ჩატარდება და აქ კორუფცია გამორიცხულია.***

— კარგით რა, ანგელოზებად ნუ მოაქვთ თავი. რა, სააკაშვილი და მისი ხელისუფლება ფრთიანი ანგელოზები არიან?! ყველა სახელმწიფოშია კორუფცია, მათ შორის საქართველოში და შესაბამისად, განათლების სფეროშიც. არ მითხრას სააკაშვილმა, მისი მთავრობა კორუმპირებული არ არის. ეს უსაქმური მთავრობა, რომელ მინისტრს ან მინისტრის მოადგილეს აქვს მოქალაქეების მიღების დღეები? სცადეთ ერთი, თუ შეხვდებით რომელიმეს. ხალხის მიერ არჩეულ ორგანოებში — პარლამენტში, მერიებში და საკრებულოებში არ იღებენ ხალხს. ესენი ბედავენ და ამბობენ კორუფცია არ არისო და ამათ უჯერებს ხალხი?! პირდაპირ ვამბობ, რომ იოლად შესაძლებელია იმ ნაწერების ჩასწორება. მივა ვიღაც და კომპიუტერში სწორ პასუხს დააწკაპუნებს.

***— ანუ საატესტატო გამოცდებზე არის თუ არა კორუფცია გამორიცხული?***

— არ არის გამორიცხული. აქვე მაინტერესებს, რატომ არ უშვებენ გამოცდებზე მასწავლებლებს და დირექტორებს ანდა სამეურვეო საბჭოების და მასწავლებლების წერთობლივ კომისიას. ესენი ხომ ამბობენ, ეს სამეურვეო საბჭოები დემოკრატიული გზით არჩეული ორგანოებიაო. სად არის ამათი დემოკრატიული მართვის სკოლა?! ამის გამო რომ დაანგრიეს განათლების სისტემა და ტვინი წაიღეს ძახილით — ღია სკოლა. როგორ შეიძლება სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება იყოს ღია. ბავშვთან დაკავშირებული ყველაფერი საიდუმლოა. ეს არის პერსონიფიცირებული და კონფიდენციალური.

***— რატომ არ ისმის ოპოზიციის მხრიდან განათლების კუთხით სათანადო კრიტიკა?***

— არ ვიცი, ეს ოპოზიციას უნდა ჰკითხოთ. ან ამ ოპოზიციურ პარტიებს აკლიათ პროფესიონალები, რომლებიც დადებენ ობიექტურ დასკვნებს, ან კიდევ ამის მიზეზი ის არის, რომ ძალიან ბევრ ოპოზიციონერს განათლებაში აქვს ბიზნესი.

***— საპარლამენტო ოპოზიციას გულისხმობთ თუ არასაპარლამენტოს?***

— საპარლამენტოსაც და არასაპარლამენტოსაც. თუ გაინტერესებთ, ნამდვილი ახსნა ეს არის. თორემ როგორლაც მოძებნიდნენ პროფესიონალ ადამიანებს და სათანადო კრიტიკას დაადებინებდნენ. გავოგნდი, როდესაც პრეზიდენტი პარლამენტში იყო მისული და განათლების მინისტრი, ყველაზე ლმობიერად და ყველაზე მეასეხარისხოვნად განათლების მინისტრი და ამ სფეროში არსებული ვითარება წარმოაჩინეს. სოფლის მეურნეობაა მთავარი თუ განათლება? განათლება და მეცნიერება თუ არ გვექნა, ვერც აფხაზეთს დავიბრუნებთ და ვერც სამაჩაბლოს.

***— პარლამენტის განათლების კომიტეტი იგნორირებას უკეთებს სკოლებში მიმდინარე რეფორმას და ასეთ მნიშვნელოვან გამოცდას, რომელიც წელს პირველად ტარდება სკოლებში?***

— საპარლამენტო კონტროლი ნაციონალების მხრიდან საერთოდ არ არსებობს. საერთოდ არ არსებობს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენო კონტროლი. სააკაშვილის ხელისუფლების დროს პარლამენტი არის ნული. მაგაზე უუფლებო ორგანო არ არსებობს.



## ოქრუაშვილი, კიწმარიშვილი და სააკაშვილი წარსულის პოლიტიკოსები არიან

— ორაკლი ოქრუაშვილი, ეროსი კიწმარიშვილი და მიხეილ სააკაშვილი წარსულის პოლიტიკოსები არიან, მათთან ერთად კი, ჩვენ ქვეყნისათვის რაიმე ახლისა და კარგის კეთება არ შეგვიძლია, — აღნიშნა „თავისუფალი დემოკრატების“ ვიქტორ დოლიძემ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ „მაესტროს“ ეთერით გაკეთებული განცხადების შეფასებისას.

მისი თქმით, „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლებას გონებით უპირისპირდებიან და არა ემოციებით.

— ჩვენ ხელისუფლებას აუცილებლად შევცვლით. ოღონდ, ჩვენ მიზანმიმართული და თანმიმდევრული ნაბიჯებით შევცვლით. ეს არის ჩვენი პასუხი ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებაზე, — განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

მედიანიუსი

## ირაკლი ოქრუაშვილი და მისი პარტია რუსეთმა საბითუმო ფასებში იყიდა

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ბაჩუკი ქარდავას განცხადებით, რუსეთის სპეცსამსახურები კარგად ახერხებენ „საბითუმო ფასებში იყიდონ რიგი ქართველი პოლიტიკოსები“. სწორედ ამის ნათელი მაგალითია ირაკლი ოქრუაშვილი და მისი პარტია.



— ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ყველა განცხადება ადასტურებს იმას, რომ აშშ იბრძვის იმისათვის, რომ მოხდეს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარება, ის გვერდში უდგას ქვეყნის სახელმწიფოებრიობას სწორედ რუსული აგრესიის ფონზე, აშშ აქტიურად არის ჩართული ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის მიმდინარე პროცესებში. ამ ვითარებაში ასე ბითუმად გაყიდული პოლიტიკოსების ქმედება არის მხოლოდ რუსული დაკვეთა, რომელსაც არანაირი საერთო არ აქვს ქართული საზოგადოების განწყობასთან. ედპ-მ სულ ცოტა ხნის წინ, 29 აპრილს, გავაკეთეთ საგანგებო განცხადება, მოსალოდნელ რუსულ პროვოკაციებთან დაკავშირებით და დღეს უკვე ოქრუაშვილისა და მისი თანაგუნდელების განცხადებები სრულად გვარწმუნებენ ჩვენი ინფორმაციის აბსოლუტურ სისწორეში, —- განაცხადა ედპ-ს ლიდერმა ბაჩუკი ქარდავამ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით.

მედიანიუსი

# კახეთში „მარშრუტკების“ მძღოლებს დაერივნენ

## ქართული პარტიის მომხრეების გადაყვანა ვირი სიამოვნებაა



თეა მარხვაი ე

9 მაისს კახეთს ქართული პარტია სტუმრობდა. მათი აქცია საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. აქციის ჩასატარებლად თბილისიდან რამდენიმე ასეული ადამიანი წავიდა. ადამიანების გადაყვანისთვის ბუნებრივია საჭირო იყო ტრანსპორტი. ქართულმა პარტიამ თანამოაზრეების გადასაყვანად რამდენიმე ათეული „მარშრუტკა“ იქირავა.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რაც თანხა გადაუხადა ქართულმა პარტიამ ამ მძღოლებს. გუშინ განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, მათ ამ თანხის აღება საკმაოდ ძვირი დაუჯდებათ.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი გვაუწყებს, საპატრულო პოლიციის კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, 10 მაისს საღამოს, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს გიორგი ვარამაშვილს, დათო ლაზაშვილს და მიშა ცანკაშვილს მიკროავტობუსები წაართვეს.

მძღოლები თბილისი-გურჯაანის რეისს ასრულებდნენ, როცა სამართალდამცავებმა ისინი სოფელ ჩალაუბანში გააჩერეს, მიკროავტობუსებიდან მგზავრები ჩამოყარეს და მანქანები მიზეზის დასახელების გარეშე, ევაკუატორებით საჯარიმო სადგომზე გადაიყვანეს.

— 9 მაისს, „ქართული პარტიის“ დაკვეთით, გურჯაანიდან, დიდების მემორიალიდან წავიყვანე ხალხი თელავში, ერეკლეს მოედანზე. მერე ისევ უკან წამოვიყვანე. პარტიამ მომსახურებაში ფული გადამიხადა. იმ დღეს არაფერი პრობლემა არ შემქმნია. 10 მაისს, დილით, ჩვეულებრივ წავედი რეისში, გურჯაანიდან თბილისში. საღამოს, უკან რომ ვბრუნდებოდი, საპატრულო პოლიციამ გამაჩერა ჩალაუბანში. მიზეზი არ უთქვამთ. მანქანიდან მგზავრები ჩაიყვანეს, ევაკუატორი გამოიძახეს და მანქანა წაიღეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ვკითხე, მანქანას რატომ მართმევდნენ და მითხრეს, თელავში ჩახვალ და იქ გეტყვიანო. სახლში 8 სული მყავს შესანახი. არ ვიცი, რა უნდა ვქნა, — განაცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტთან საუბარში გიორგი ვარამაშვილმა.

„ქართული პარტიის“ წევრის დავით ნიკოლაშვილის განცხადებით, მძღოლები, რომლებსაც საპატრულო პოლიციამ მიკროავტობუსები წაართვა, მას 10 მაისსვე დაუკავშირდნენ.

— მითხრეს, საპატრულო პოლიცია გვეუბნება, 9 მაისს აქციაზე დროშას რომ აფრიალებდით, აბა, რა გეგონათო. მძღოლებს აქციაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მათ მხოლოდ ხალხი გადაიყვანეს, რაშიც ფული გადავუხადეთ, — აღნიშნავს ნიკოლაშვილი.

სამარშრუტო ტაქსების მძღოლებს, რომლებიც 9 მაისს „ქართულ პარტიას“ მოემსახურნენ, სამართალდამცავებთან პრობლემები გურჯაანის გარდა კახეთის სხვა რაიონებშიც შეექმნათ.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ხორნაბუჯი-რუსთავის ხაზის მიკროავტობუსის მძღოლი აკაკი ჯიქურაშვილი უშიშროების თანამშრომლებმა გუშინ, დილით წნორში დააკავეს და ავტოსადგურის შენობაში დაკითხეს.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი დაუკავშირდა რუსთავის ავტოსადგურს, სადაც ხორნაბუჯი-რუსთავის ხაზის მიკროავტობუსი უნდა შესულიყო. ავტოსადგურის ადმინისტრაციაში განაცხადეს, რომ აღნიშნული სამარშრუტო ტაქსი ავტოსადგურში 11:30 საათამდე უნდა შესულიყო, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში არ შესულა.

კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისთვის მანქანების წართმევას არ ადასტურებს.

„ქართული პარტია“ ამ ფაქტის გამო ძალიან აღშფოთებულია. მათი თქმით, ეს ფაქტიც ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი ტირანული რეჟიმია საქართველოში.

# აფხაზური ეკლესია ორ ბანაკად იყოფა

თეა მარხვაი ე

**კვირას, 15 მაისს, აფხაზეთში დიდი საერო-საეკლესიო კრება უნდა ჩატარდეს, რომელზეც სასულიერო პირების ნაწილი აფხაზეთის ეკლესიის ხელმძღვანელის, ბესარიონ აპლიაას გადაყენებას შეეცდება. თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ აპრილის დასაწყისში დაწყებული დაპირისპირება ასე მარტივად არ დასრულდება.**





თავიდან სასულიერო პირების დაპირისპირებაში ხელისუფლება არ ერეოდა. მედიასთან საუბარში სერგეი ბაღაფშმა რამდენჯერმე განაცხადა, რომ სახელმწიფო ეკლესიის საქმეებში არ ერევა. ამის გარდა ბაღაფშმა დაპირისპირებულ მხარეებს შერიგებისკენ მოუწოდა.

ერთმანეთს აფხაზური ეკლესიის თავკაცი ბესარიონ აპლიაა და ამპარ-დბარის დაჯგუფება დაუპირისპირდნენ. სხვათა შორის, მათი დაპირისპირება უკვე წლებია, რაც გრძელდება. ისინი რუსმა სასულიერო პირებმა რამდენჯერმე შეარიგეს.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ ეკლესიაში მიმდინარე პროცესებისგან განზე მდგომმა ბაღაფშმა აპლიაას მხარი დაიჭირა. ეს გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო, რადგანაც აპლიაა სოხუმის ხელისუფლების ლიდერთან დაახლოებულ პირად ითვლება.

წინა კვირაში ეკლესიაში მიმდინარე დაპირისპირებაზე განცხადება გააკეთა ბესარიონ აპლიაამ. მისი გამოსვლა აფხაზურმა ტელევიზიამ სათანადოდ გააშუქა. ამ გამოსვლაში მან ანდრე ამპარი და დოროთეი დბარი გააკრიტიკა.

აპლიაასთან დაპირისპირებულმა ახალგაზრდა მღვდლებმა გადაწყვიტეს, წინამძღოლისთვის პასუხი ტელეეთერით გაეცა. თავიდან მათ თანხმობა მიიღეს, შემდეგ კი ტელევიზიის ხელმძღვანელობამ გადაიფიქრა.

როგორც აფხაზეთში გამომავალი ოპოზიციური გაზეთი „ნუჟნაია“ იუწყება, ტელეეთერზე უარი მათ ტელევიზიის თავკაცმა გურამ ამქუაბმა უთხრა.

არადა, გურამ ამქუაბი ამპარს და დბარს დაჰპირდა, რომ აპლიაასთვის პასუხის გაცემის საშუალებას მისცემდა.

— პრემიერ-მინისტრ სერგეი შამბას განკარგულებაზე დაყრდნობით, გურამ ანქუაბმა მათ აცნობა, რომ ქვეყნის ხელისუფლება წინააღმდეგია მათი სახელმწიფო არხზე გამოჩენის. ამის გარდა, მამა დოროთეის უარი ეთქვა კომერციულ საფუძველზე მოქმედ ტელევიზიის არხზე მიმდინარე წლის 15 მაისს ახალ-ათონში საეკლესიო-სახალხო კრების შესახებ საინფორმაციო რგოლების განთავსებაზე, — იუწყება გაზეთი „ნუჟნაია“.

ამ დიდი შეკრების წინ ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეები მოსახლეობის გულის მოგებას აქტიურად ცდილობენ. წინა კვირაში ბესარიონ აპლიაამ განაცხადა, რომ ის კიდევ ერთხელ მოითხოვს აფხაზეთის ეკლესიის აღიარებას.

ამ მოთხოვნით ის პირველად ორი წლის წინ გამოვიდა. მან რუსეთის და საქართველოს საპატრიარქოში სათანადო წერილები გააგზავნა. თბილისისგან და მოსკოვისგანაც უარი მიიღო. რუსი ექსპერტების ნაწილმა ეს ინიციატივა მოსახლეობის გულის მოსაგებად გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. აპლიაას რომ დიდი ავტორიტეტი არა აქვს, ეს ყველას კარგად მოეხსენება.

აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობაზე ალაპარკდნენ დოროთეი დბარი და ანდრეი ამპარიც. მათი აზრით, აფხაზურმა ეკლესიამ აუცილებლად უნდა მოიპოვოს ავტოკეფალია.

ამ საკითხთან დაკავშირებით დოროთეი დბარმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც განაცხადა, რომ რუსეთი აფხაზეთის ეკლესიას დამოუკიდებლობას ვერ მიანიჭებს. არადა, აპლიაა სწორედ რუსისგან ითხოვდა დამოუკიდებლობას.

— ჩვენ ვინ მოგვეხმარება დამოუკიდებლობის მონიჭებაში? რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის შეხედულებით ჩვენთვის ავტოკეფალიის მონიჭება შეუძლიათ კონსტანტინეპოლის ან საქართველოს პატრიარქს, მაგრამ არა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას, — განაცხადა დოროთეი დბარმა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ მამა დოროთეი ახლახან დაბრუნდა საბერძნეთიდან. მისი განცხადებით, ვიდრე აფხაზეთს ეპისკოპოსი არ ეყოლება, დამოუკიდებლობაზე საუბარი არარეალურია.

— რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ დამოუკიდებლობაზე, ჩვენ ის არ გვექნება, სანამ ჩვენი ეპისკოპოსი არ გვეყოლება. ეკლესიის ცნება ეპისკოპოსის გარეშე არ არსებობს. ეპისკოპოსის წოდება გადაეცემა მემკვიდრეობით და მისი მიღება მხოლოდ ეპისკოპოსისაგან შეიძლება, — აღნიშნა აპლიაასთან დაპირისპირებულმა მამაომ.

ამ პრესკონფერენციამდე „ეხო კავკაზმა“ თავის ვებგვერდზე ინალ ხაშიგის ინფორმაცია გამოაქვეყნა. ხაშიგის ცნობით, დბარმა არქიმანდრიტის ხარისხი მიიღო.

— არისტოტელეს (ფესალონიკის) უნივერსიტეტიდან გამგზავრებამდე მან არქიმანდრიტის ჩინი მიიღო. ახლა, კანონისა და საეკლესიო პრაქტიკის შესაბამისად, მე ეპისკოპოსობის კანდიდატი ვარ, — განაცხადა დბარმა.

მან აპლიაას მიერ ორი წლის წინ გამართული საეკლესიო კრებაც გაიხსენა. 2009 წლის სექტემბერში მამა ბესარიონმა აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ის წერილები გააგზავნა მოსკოვსა და თბილისში, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით.

— 2 წლის წინ მამა ბესარიონმა ჩაატარა კრება და გამოაცხადა ავტოკეფალია, ყველა ხარობდა, მაგრამ შეიცვალა რამე ამის შემდეგ? 15 წელი ბესარიონ აპლიაა დადის მოსკოვში და იქ რაღაცის მიღწევას ცდილობს, მაგრამ ყოველთვის ესმის ერთი პასუხი: „შეუძლებელია, მამაო!“. ისევე, როგორც ახლა მამა ბესარიონი შეუძლებელია გახდეს ეპისკოპოსი. ეკლესიის განმარტება ეპისკოპოსის გარეშე არ არსებობს, ეპისკოპოსის არსებობა არის აუცილებელი პირობა აფხაზი მღვდლების მოსავლენად. ისინი, რომლებიც ჩვენთან ჩამოდიან, შესაძლებელია ნებისმიერ დროს იქნენ გაწვეულნი. მარტო აფხაზი მღვდლები უნდა იყვნენ და მუდმივად შრომობდნენ აქ და შეგვიძლია ხელდასმა მხოლოდ იმდენი სასულიერო პირების, რამდენიც ჩვენ გვესაჭიროება. ჩვენი პრობლემა ხომ ისაა, რომ მრავალ ტაძარში არავინა გვყავს, რომ იმსახუროს! თუ ჩვენ ეპისკოპოსის საკითხს ვერ გადავწყვეტთ, მაშინ ჩვენ ფარდობითობა გვექნება არა შვიდი ათთან, არამედ შვიდი ორასთან. აფხაზეთში ამჟამად 17 მღვდელმსახურია, — აღნიშნა დბარმა.

მისი განმარტებით, ამ 17 მღვდლიდან მხოლოდ 7 აფხაზი. დანარჩენი 10 მხოლოდ ომის შემდეგ გამოჩნდნენ.

— შეგვიძლია მათ ვანდოთ ეკლესიის ბედი, რომ კენჭისყრის დროს უბრალო უპირატესობით ის გადაწყვიტონ? სამწუხაროდ, მათ შორის არც ერთი ბერძენი არაა, სომეხი ან რუსი, რომლებიც აფხაზეთის შესაბამის ეროვნულ თემებს მიეკუთვნებოდნენ. ეს ადამიანები სხვაგვარად ხედავენ ქრისტიანობას. სლავურ ქრისტიანობას გააჩნია თავისი თავისებურებები, განსხვავებული ბერძნულისგან და ჩრდილო-კავკასიურიაგან, — ფიქრობს დბარი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აპლიაა აფხაზეთში მღვდელმსახურებას სლავურ ენაზე აღავლენს. დბარი და ამპარი კი აფხაზურად აღავლენენ წირვა-ლოცვას. ისინი ამტკიცებენ, რომ აფხაზური ეკლესია ბიზანტიური ეკლესიის ნაწილია და ამიტომაც ეკლესიების მორთვა ბიზანტიურ წესზე გადაწყვიტეს.

მამა ამპარი და მამა დოროთეი ახალი ათონის მონასტერში მოღვაწეობენ. სწორედ აქ უნდა ჩატარდეს 15 მაისს დიდი საეკლესიო შეკრება. საგანგებო პრესკონფერენციაზე დბარმა ამ კრებაზეც ისაუბრა.

— უნდა აირჩეს პრეზიდიუმი, კრების თავმჯდომარე, ამომრჩეველთა საბჭო და ორი მდივანი, რომლებიც ყველაფერს დააფიქსირებენ ორ აფხაზურ და რუსულ ენაზე, რაც ითქმება ან წინადადებების სახით შემოვა. შემდეგ კრებამ უნდა აირჩიოს 12 კაცისაგან შემდგარი საბჭო, რომელშიც შევლენ 6 სასულიერო და ამდენივე საერო პირები. ამ შემთხვევაში საბჭო იქნება ლეგიტიმური, ხოლო ადამიანები, მასში არჩეული, იმუშავებენ თავისუფლად, დარწმუნებული იმაში, რომ ხვალ მათ არავინ არ გააგდებს, — ამბობს დბარი.

იმავე პრესკონფერენციაზე დოროფეი დბარმა აპლიაა ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების გამო კიდევ ერთხელ გააკრიტიკა. მისი თქმით, მამა ბესარიონი აფხაზეთში საეკლესიო ცხოვრების ვერ უზრუნველყოფს.

ამის გარდა აპლიაა, შეთანხმების დარღვევაშიც დაადანაშაულა. საუბარია აფხაზეთის ეპარქიის ერთობლივ მართვაზე. ეს შეთანხმება დაპირისპირებულმა სასულიერო პირებმა 2005 წელს გააფორმეს.

როგორც ირკვევა, მაშინ მათ ბიბლიაზეც დაიფიცეს, რომ ამ შეთანხმებას არ დაარღვევდნენ. პირობა დარღვეულია.

აფხაზეთში უკვე აქტიურად საუბრობენ, რომ მათი ეკლესია ორად გაიყოფა. ამას არც დბარი უარყოფს. სხვებისგან განსხვავებით მას ეს საშიშ მოვლენად სულაც არ მიაჩნია.

— აფხაზურ ეკლესიაში ორი თემის არსებობაში საშიში არაფერია. იმ თემში, რომელშიც უფრო ადრე გაჩნდება ეპისკოპოსი, სწორედ ის გახდება აფხაზური ეკლესია, — ამბობს მამა დოროთეი.

15 მაისამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. ამბობენ, რომ იმ კრებაზე ძალიან საინტერესო ამბები მოხდება.

# დედოფლისწყაროს დასუფთავების სამსახურის უფროსი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დედოფლისწყაროს რაიონის დასუფთავების სამსახურის, შპს „სერვისი 2007“-ის ხელმძღვანელი ზურაბ ყოჩიაშვილი დააკავა. ყოჩიაშვილის დაკავების ფაქტი „მედიანიუსს“ საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ჩუტკერაშვილმა დაუდასურა.

მისი თქმით, დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელს ბრალს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 341-ე მუხლით წაუყენებენ, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და დოკუმენტების გაყალბებას გულისხმობს.

ინტერნეტ-გაზეთ „ქიზიყის“ ინფორმაციით, საფინანსო პოლიცია აღნიშნულ სამსახურში ჯერ კიდევ 3 თვის წინათ შევიდა. შპს „სერვისი 2007“-ის თანამშრომლები პირად საუბრებშიც ადასტურებენ, რომ შტატები მნიშვნელოვნად არის გაბერილი.

— რეალურად მხოლოდ 20 კაცი ვმუშაობთ, არადა ხელფასს 70 კაცი იღებს. უმრავლესობა სამსახურში მხოლოდ ხელფასის ასაღებად ჩნდება, — აცხადებენ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები.

**მედიანიუსი**

# ბორტზე ნებისმიერი საქონლის მიწოდება გადასახადებისგან გათავისუფლდება

საგადასახადო შეღავათი ბორტზე ნებისმიერი საქონლის მიწოდებაზე წესდება.

პარლამენტში უკვე ინიცირებულია „საგადასახადო კოდექსში“ ცვლილებების პროექტი, რომელიც აღნიშნულ საკითხს ითვალისწინებს.

დღეს მოქმედი ნორმით, დამატებული ღირებულების, აქციზისა და იმპორტის გადასახადებისაგან თავისუფლდება საერთაშორისო საავიაციო და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საავიაციო საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტი და მიწოდება.

კანონპროექტით კი დგინდება, რომ ამ გადასახადებისგან ბორტზე მისაწოდებლად ყველანაირი საქონლის იმპორტი?მიწოდება იქნება გათავისუფლებული.

ამ ინიციატივის განხორციელებით, პროექტის ავტორები ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემცირებას ელოდებიან, თუმცა იმის გამო, რომ წინასწარ შეუძლებელია განსაზღვრო, თუ სხვა რა საქონლის მიწოდება შეიძლება მოხდეს ბორტზე, პროექტის განმარტებით ბარათში ზუსტი ციფრი დასახელებული არ არის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბორტზე საწვავის მიწოდების დღგ-სგან გათავისუფლებაზე გადაწყვეტილება პარლამენტმა, მიმდინარე წლის მარტში მიიღო.

კანონპროექტის ავტორი ფინანსთა სამინისტროა, ინიციატორი კი მთავრობა. პროექტის განხილვას პარლამენტი მომავალი კვირიდან დაიწყებს.

**ინტერპრესნიუსი**

# შაშიაშვილი ძველ დროში ჩარჩა

შორენა გონგლაძე



„ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი რეალობის ფარგლებს გასცდა, შაშიაშვილი ჩარჩენილია იმ პერიოდში, როდესაც ის გამოდიოდა ადგილობრივი ტელევიზიით გადაცემაში „გისმენთ გუბერნატორი“ და შუქი მხოლოდ ამ დროს მოდიოდა, გადაცემის დამთავრებისთანავე ელექტროენერგია ითიშებოდა. მაშინ გუბერნატორი კი არ უსმენდა ხალხს, არამედ ხალხი უსმენდა შაშიაშვილს და ისიც იძულებით“, — ეს განცხადება გუშინ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ლალიძემ სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. ლალიძის განცხადებით, ოპოზიციის ქმედება აზარალებს როგორც საზოგადოებას, ასევე ოპოზიციის დანარჩენ ნაწილსაც.

— შაშიაშვილის აზრით, თურმე ბევრს არაფერს წყვეტს, ლალიძე იდგება თუ არა აქციებზე მათ გვერდით. მინდა ვუთხრა ბატონ შაშიაშვილს, რომ დარწმუნებული ვარ იმ ქმედებით და იმ პოზიციით, რაც დღეს ე.წ. რადიკალურ ოპოზიციას აქვს, ეს ყველაფერი მარცხისთვის არის განწირული. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ვფიქრობ, რომ ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ პოლიტიკური პროცესები კიდევ ერთხელ შევა ჩიხში და საერთო ჯამში ამ ბრძოლაში მოგებული აღმოჩნდება ხელისუფება. როდესაც ორი ე.წ. რადიკალური ოპოზიციური ფრთა, რომელსაც ერთი მიზანი ამოძრავებს, მათ უნდათ რევოლუციის გზით შეცვალონ ხელისუფლება, მაგრამ ისინი, სამწუხაროდ, ერთიან პოზიციაზე ვერ შეთანხმდნენ, რათა ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ ხელისუფების წინააღმდეგ. მრჩება შთაბეჭდიება, რომ სახალხო კრების წარმომადგენლებს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ ძალებზე, რაც ძალიან ცუდია და ეს ვერანაირად ვერ იქნება შედეგზე ორიენტირებლი. ოპოზიციის ეს ქმედება დააზარალებს არა მარტო იმ ადამიანებს, ვინც ამ აქციებზე გამოვა, არამედ დააზარალებს მთლიანად ოპოზიციურ სპექტრს. დღეს ოპოზიციაში არის საერთო დაბნეულობა და ხელისუფლება საკმაოდ მობილიზებულად და წყნარად ხვდება მიმდინარე პროცესებს. ხელისუფლება კარგად ხვდება იმას, რომ ოპოზიცია არის დაქსაქსული და ამას თავად უწყობენ ხელს, რომ არ მოხდეს ოპოზიციის გაერთიანება ერთი იდეის ირგვლივ, საბოლოო ჯამში მოგებული რჩება ხელისუფლება. — აცხადებს გიორგი ლალიძე. მისივე თქმით, მის პარტიას განსხვავებული ხედვა აქვს.

— ავიღოთ თუნდაც საარჩევნო კოდექსზე მომუშავე რვიანში შემავალი პარტიები, პრაქტიკულად რვიანის ფორმატი შევიდა ჩიხში და საარჩევნო კოდექსის ირგვლივ მოლაპარაკებები აღარ გრძელდება, ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება, რომ საარჩევნო კოდექსის გარშემო მოხდება ინდივიდუალურად მუშაობა, რაც, ჩემი აზრით, არის მისასალმებელი. ჩვენი პარტიაც აპირებს ამ პროცესებში ჩართვას და ჩვენს ხედვას აუცილებლად დავაფიქსირებთ. ერთის მხრივ არსებული ხელისუფება აქტიურად ებრძვის რადიკალურ ოპოზიციას, ხოლო მეორეს მხრივ ძალიან საეჭვოდ აპიარებს და ხდება მათი რეკლამირება მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით. ხელისუფლებას დღეს მედიასაშუალებებზე აქვს კონტროლის მექანიზმი და ხელოვნურად აპიარებს გარკვეულ ოპოზიციურ ძალებს, რაც ხშირ შემთხვევაში ისევ ხელისფლებას უტრიალდება საზიანოდ. მე მიმაჩნია, რომ საზოგადოება მართლაც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს, მძიმე სოციალური ფონია ქვეყანაში შექმნილი, ხელისუფლებას ამ ყველაფერში დიდი წვლილი მიუძღვის, ამისათვის ბუნებრივია პასუხი უნდა აგოს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა მივემხროთ ხელისუფლების შეცვლას რევოლუციის გზით, ანდა შევიდეთ ალიანსში ჩვენს მტრებთან — რუსებთან, რასაც საკმაოდ წარმატებით აკეთებენ ბურჯანაძე და მისი თანამოაზრეები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით, ჩვენ ამისათვის საკმაოდ აქტიურად ვემზადებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს პროცესი წარიმართოს ისე, როგორც ეს ხდება ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. თუ ამ ე.წ. რადიკალურ ოპოზიციას გამოელია სალაპარაკო, მე მათ ვურჩევდი, ილაპარაკონ იგივე ადამიანის უფლებათა დარღვევებზე და ამ კუთხით არსებულ პრობლემებსა და მისი გადაჭრის გზებზე. ამ თვალსაზრისით მართლაც საკმაოდ სერიოზული პრობლემებია და თუ მათ ჩვენი საზოგადოებისთვის შესტკივათ გული, ყველა პოლიტიკური პარტია ორიენტირებული უნდა იყოს ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე, და არა იმაზე, რაზეც ყოფილი ჩინოვნიკები ოცნებობენ, რათა დაიბრუნონ ის მდგომარეობა, რაც ჰქონდათ ხელისუფლებაში ყოფნის დროს. — განაცხადა გიორგი ლალიძემ.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულება 1 ლარი

# ლილოს ბაზრობა 20 წლისაა

ნათია ხურცილავა

თანამედროვე, ევროპული სტანდარტების სავაჭრო ქალაქი მალე რეალობა გახდება თბილისური სინამდვილისთვის. ეს ყველაფერი კი ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე განხორციელდება. ამბიციური პროექტი, რომელსაც მთელს ამიერკავკასიაში ანალოგი არ აქვს, დაახლოებით ორ წელიწადში რეალობად იქცევა.

ლილოს ბაზრობას 18 მაისს 20 წელი უსრულდება. სწორედ ამ საიუბილეო თარიღს უკავშირდება მასშტაბური, საზეიმო ღონისძიებები ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე. "ჯეოსტარელების" კონცერტი, შოუპროგრამა, ლილოს ბაზრობის ახალი სიმბოლოს პრეზენტაცია და სხვა უამრავი სიურპრიზი ელოდებათ 18 მაისს მისულ სტუმრებს.

სწორედ სამომავლო გეგმების პრეზენტაციაზე გახდება ცნობილი ლილოს ბაზრობის რებრენდინგი, რომელსაც დღემდე სიურპრიზად ტოვებენ ბაზრობის მესვეურები.



როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, შეიცვლება კომპანიის სახელწოდება, ლოგო და როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომპანიას ახალი სიმბოლო ექნება.

ახალი პროექტის განხორციელების მიზნით 40 მილიონიანი ინვესტიცია ჩაიდება, რის შედეგადაც აშენდება "ქალაქი ქალაქში" ტიპის სავაჭრო ობიექტი, რომელიც აღჭურვილი იქნება იმ ინფრასტრუქტურით, რომელიც აუცილებელია თანამედროვე, ევროსტანდარტების სავაჭრო ცენტრისთვის.

სავაჭრო ობიექტში განთავსდება ოთხი სავაჭრო სახლი: ტყავის, ქსოვილების, ავეჯისა და სანტექნიკის.

სავაჭრო ობიექტი მაქსიმალურად კომფორტული გახდება ვიზიტორებისთვის. მომხმარებლები ვაჭრობის პროცესში ადვილად შეძლებენ ერთი მიმართულებიდან მეორეში გადასვლას, რადგან ცენტრი დაყოფილი იქნება ქუჩებად. ასევე იქნება ბაღები, კინოთეატრები, საბანკო მომსახურება.

კომპანიის ხელმძღვანელების განცხადებით, მიუხედავად სრული კომფორტისა, ძვირადღირებული ინვესტიციის დაბანდებისა, ეს ყველაფერი გავლენას არ იქონიებს იმ ფასებზე, რომლითაც ასე პოპულარულია ლილოს ბაზრობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლილო კვლავ რჩება საზოგადოების ყველა ფენისთვის ხელმისაწვდომ სავაჭრო ობიექტად. ასევე აღსანიშნავია ბაზრობის გეოგრაფიული მდებარეობაც, რომელიც ყველა მიმართულების კლიენტისთვის ხელსაყრელია.

**გია ანდღულაძე, "ლილოს ბაზრობის" დამფუძნებელი:**

— 18 მაისს 20 წელი სრულდება ლილოს ბაზრობის გახსნიდან. გვინდა, რომ საკმაოდ პომპეზურად აღვნიშნოთ 20 წლის იუბილე. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, რომ ბაზრობის ტერიტორიაზე სტუმრებს საკმაოდ პომპეზურად დავხვდეთ იუბილესთან დაკავშირებით, ბაზრობის ტერიტორიაზე გაიმართება რამდენიმე ახალაშენებული ნაგებობის სადღესასწაულო გახსნა. უკვე დასრულებულია სწრაფი კვების რესტორნის მშენებლობა და შევა ექსპლუატაციაში. 18 მაისს კომპანია გადავა ახალ ოფისში, რომელიც ამ ტერიტორიაზე არის. ახალი ოფისი ნამდვილად არის ევროპული დონის. ასევე დაგეგმილია "ჯეოსტარელების" კონცერტი. კონცერტის ბოლოს გაიმართება შოუ, რომელიც მართლაც იქნება ლამაზი სანახაობა. შემდეგ, საღამოს საზეიმო მიღება გვაქვს ივენთჰოლში, სადაც გაიმართება კლიპის პრეზენტაცია და მოდების ჩვენება. ეს ჩვენება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ყველა ქსოვილი, რომელიც გამოყენებულია სამოსის შესაქმნელად, ლილოს ბაზრობაზეა შეძენილი. ეს ყველაფერი კი "მომავლის პროექტის" პრეზენტაციით დასრულდება, სადაც ცნობილი გახდება კომპანიის ახალი სახელი, ლოგო, დროშას. ამ ყველაფერში მთავარი ის არის, რომ საზოგადოების წინაშე "მომავლის პროექტით" წარვდგებით.

***— რას გულისხმობს "მომავლის პროექტი"?***

— ეს გულისხმობს არსებული სავაჭრო ობიექტის თითქმის სრულად რეკონსტრუქციას და ევროსტანდარტზე გადასვლას. ტერიტორიის დაახლოებით 80 პროცენტის დემონტაჟი მოხდება და აშენდება ახალი, თანამედროვე ტიპის ევროპული დონის სავაჭრო ცენტრი. თუმცა, პარალელურად ფუნქციონირებას განაგრძობს ლილოს ბაზრობა. მშენებლობა იქნება პარალელურ რეჟიმში. ლილოს ბაზრობა 22 ჰექტარზე არის გადაჭიმული და მის ფარგლებში დაახლოებით 5000 მოიჯარე არის დასაქმებული. პირველ ეტაპზე ტერიტორიის 2 ჰექტარი გადაიკეტება, რაც მხოლოდ 10 პროცენტია. დემონტაჟი უკვე დაწყებულია, დაახლოებით 250 მაღაზია დავშალეთ, არსებული მაღაზიების ნაცვლად აშენდება ულტრათანამედროვე, კომფორტული სავაჭრო შენობა□ნაგებობანი. მშენებლობა ისე მიმდინარეობს, რომ მომხმარებლებს ხელი არ შეეშლებათ. ლილოს ბაზრობა ერთ□ერთი სტრატეგიული, ხელმისაწვდომი და მომგებიანი სავაჭრო ობიექტია, თანაც არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობისთვის. მომხმარებელს ვთავაზობთ მაღალი ხარისხის მომსახურებას და სრულ კომფორტს. რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, სრული განახლების მიუხედავად, არანაირ გავლენას არ იქონიებს ბაზრობაზე წარმოდგენილი პროდუქციის საბაზრო ღირებულებაზე, რადგან არ ვაპირებთ ჩვენი მოიჯარეებისთვის ამ ყოველივეს ხარჯზე გადასახადის გაზრდას. რაც შეეხება ახალ პროექტს, დაგეგმარება იქნება ქალაქის პრინციპით, იქნება ქუჩები, მოედნები, სადაც მაღაზიებთან ერთად განთავსდება კაფეები, რესტორნები, საბავშვო დასასვენებელი ადგილები. ასევე ვფიქრობთ ამ ტერიტორიაზე საგამოფენო სივრცის შექმნას, საკმაოდ სერიოზული პროექტი იქნება განხორციელებული, რომელსაც ანალოგი არ აქვს ამიერკავკასიაში და სხვა ბევრ ქვეყანაში.

**გიორგი კვარაცხელია, "ლილოს ბაზრობის" გენერალური დირექტორი:**

— მომავლის პროექტის ფარგლებში სიტუაცია, რომელიც დღეს არის ლილოს ბაზრობაზე, რადიკალურად შეიცვლება. მომხმარებელს მიეცემა შესაძლებლობა, რომ ბევრად უფრო მოხერხებულად, მაქსიმალურად კომფორტულად, მისი სურვილების გათვალისწინებით ივაჭროს. მსოფლიოში არსებული სტანდარტების გათვალისწინებით და ჩვენი ქვეყნის საბაზრო მოთხოვნებიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ დღეს არსებული ლილოს ბაზრობის იერსახე შევცვალოთ. ორი წლის განმავლობაში არსებული ნაგებობების თითქმის სრული დემონტაჟი მოხდება, თუმცა, ეტაპობრივად. ჯერ აშენებული შევა ექსპლუატაციაში და შემდეგ ძველი დაინგრევა, ბაზრობამ ფუნქციონირება რომ არ შეწყვიტოს, მშენებლობა პარალელურ რეჟიმში გაგრძელდება. ამ პროექტს უკვე ვუწოდეთ "ქალაქი ქალაქში", რადგან თავისი მასშტაბის გათვალისწინებით, ეს ყოველივე მართლაც წარმოადგენს ქალაქის მსგავს სავაჭრო ცენტრს, სადაც განთავსდება გასართობი ცენტრები, კინოთეატრები, რესტორანი, ბანკების ფილიალები. თვითონ პროექტი სამწლიანია. მშენებლობა უკვე დაწყებულია. პროექტის ღირებულება დაახლოებით 40 მილიონი დოლარის ტოლია. ჩვენ გვინდა, რომ ლიდერის პოზიციები გვქონდეს ამ მიმართულებით ამიერკავკასიაში. ამიტომ ვთვლით, რომ ის, რაც აშენდება, ნამდვილად იქნება ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი და რაც მთავარია, ევროპული სტანდარტების.

***— რას იტყვით რებრენდინგის პროცესზე, დასრულდა?***

— ერთი წლის წინ დავიწყეთ რებრენდინგის პროცესი. აბსოლუტურად იცვლება არსებული. გვექნება ახალი სახელწოდება, ახალი ლოგო, სლოგანი, რა თქმა უნდა, სიმბოლიკის კუთხით დროშაც. ეს ყველაფერი ცნობილი გახდება 18 მაისს, მაგრამ ამით რებრენდინგის პროცესი არ დასრულდება. ეს პროცესი გაგრძელდება, სანამ არ დავამთავრებთ ევროპული, რეგიონული სავაჭრო ცენტრის მშენებლობას.

აქტიურად ვემზადებით საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად. ამ დროისთვის მონტაჟდება ბაზრობის მთავარ შემოსასვლელში დროშების ხეივანი. ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში უკვე აღვმართეთ მონუმენტი, რომელიც საზეიმოდ 18 მაისს გაიხსნება. მონუმენტის სიმბოლური შინაარსი, როგორც მისმა ავტორმა გვითხრა, წინსვლა და სიმაღლეების დაპყრობაა. სიახლეებით, სიურპრიზებით ვხვდებით ჩვენს საიუბილეო თარიღს. ჩვენი ქვეყანა დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტული თვალსაზრისით. ნებისმიერ ტურისტულ ქვეყანაში, ნებისმიერი ვიზიტორის მოგზაურობა სავაჭრო ცენტრში სტუმრობით სრულდება. ეს ერთგვარი სანახაობაა ტურისტებისთვის. ამდენად, ვფიქრობთ, ეს სიახლე საჭირო და აუცილებელია ჩვენი ქვეყნისთვის. სტრატეგიული თვალასზრისით ადგილმდებარეობა ზუსტად შეესაბამება რეგიონულ ცენტრს. აქ არის გზაგამყოფი, საიდანაც ჩვენს ქვეყანაში გაივლის სტუმარი როგორც სომხეთიდან, ისევე აზერბაიჯანიდან. აქვე არის აეროპორტი, რკინიგზა, სულ ახლახან აქვე გაიხსნა საბაჟო ტერმინალი. ამდენად, ყველა კომპონენტში ხელს უწყობს ჩვენი ადგილმდებარეობა, რომ გავამართლოთ ის სახელი, რისთვისაც ვაწარმოებთ ამ მშენებლობას.

ამ სიახლეებს მოლოდინით ხვდებიან ლილოს ბაზრობის თანამშრომლები.

— პირველ რიგში, კეთილმოწყობილი მაღაზიები არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რადგან კომფორტული გარემო მეტ კლიენტს მოიზიდავს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. ამდენად, მოლოდინში ვართ. □ გვითხრა მობილურის აქსესუარების მაღაზიის თანამშრომელმა გიორგი მერაბაშვილმა.

## 26 მაისის აღლუმზე ოპოზიციამ შესაძლოა, პროვოკაცია განახორციელოს

პოლიტოლოგ ნიკა ჩიტაძის პროგნოზით, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით თბილისში, რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ აღლუმზე ხელისუფლების რევოლუციის გზის შეცლით დაინტერესებულმა ოპოზიციამ შესაძლოა, გარკვეული პროვოკაცა განახორციელოს. ე.წ. „რადიკალური ოპოზიციის“ აქტივისტებს შესაძლოა აღლუმზე შეღწევის მცდელობაც ჰქონდეთ.

— 26 მაისი ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და არც ბურჯანაძის და არც სხვა რომელიმე პოლიტიკოსის საქმე არაა ჩატარდება თუ არა ამ დღეს აღლუმი, რადგან ეს ქართველ ხალხს სურს. აღლუმი უნდა ჩატარდეს მშვიდ ვითარებაში და დღესასწაულიც უნდა აღინიშნოს. ამ შემთხვევაში იგივე „სახალხო კრების“ მიზანია გარკვეულ პროვოკაციებზე წასვლა და შემდგომში ხელისუფლების დადანაშაულება, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლება ადამიანის უფლებებს არღვევს. მათი მიზანია, რომ შემდეგ მედიასაშუალებების მიერ გაშუქებული მასალებიდან რაღაცები ამოჭრან და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს გადაუგზავნონ, როგორც ეს მოხდა ცოტა ხნის წინ რუსთავში ჩატარებული საპროტესტო აქციის შემთხვევაში, რომელიც დაკავებებით დასრულდა. როგორც მახსოვს, ამის შემდეგ ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ამ ყველაფრის ამსახველ ვიდეო-მასალებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაუგზავნის. მე მგონია, რომ ამ პოლიტიკური ძალის, რომელიც მოსკოვის დაკვეთით მუშაობს, მთავარი ამოცანაა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში საქართველოს იმიჯი შეილახოს. ისინი შეეცდებიან ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევას მათ შორის 26 მაისსაც და ამით თავიანთი პოლიტიკური ამბიციების მიღწევას, — განუცხადა „მედიანიუსს“ ჩიტაძემ.

ცნობისთვის: „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ხელისუფლება 26 მაისის აღლუმის მშვიდად ჩაბარებას ვერ შეძლებს.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლებიდან პანღურით გამოგდებულებისგან კრიტიკას ვერ მივიღებთ!

ქეთი ხომერიკი

**როდის განახლდება მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და რვიანს შორის, რატომ და როდემდე გაწელავს ხელისუფლება მოლაპარაკებების პროცესის განახლებას, რა არის რვიანის ბოლო ვადა, რატომ მიყიდა ხელისუფლებამ სტრატეგიული ობიექტები კრემლს, რომელი ოპოზიციური პარტიები იმართებიან რუსეთიდან და რომელი ოპოზიციური ძალების კრიტიკას არ მიიღებს გიორგი თარგამაძე? — აი, ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერს, გიორგი თარგამაძეს ესაუბრა.**

*— ბატონო გიორგი, თქვენი ინფორმაციით, როდის განახლდება ხელისუფლებასა და რვიანს შორის ნოემბერში დაწყებული მოლაპარაკებები? მოლაპარაკებები ინდივიდუალური ფორმატის ფარგლებში გაგრძელდება და საერთოდაც, ეს ფორმატი რას გულისხმობს, ითქვა, რომ ამით ხელისუფლება რვიანში შემავალი პარტიების გადაბირებას შეეცდებაო...*

— მოდით, მივყვეთ თანმიმდევრულად და თქვენს პირდაპირ კითხვას პირდაპირ პასუხს გავცემ, მოლაპარაკებებს ალტერნატივა არ აქვს. როგორც არ უნდა წარიმართოს პროცესები ქვეყანაში, იქნება ეს პოლიტიკური ტემპერატურის აწევა, მათ შორის, ქუჩაში საპროტესტო მუხტის უფრო მეტად მობილიზება და საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულების გააქტიურება, ყველა ამ ნაბიჯს ავტომატურად მოლაპარაკების პროცესის განახლებამდე მივყავართ. სასურველია, რომ წინაპირობები თავად მოლაპარაკების პროცესის განახლებისა იყოს მაქსიმალურად ცივილიზებული, სწორედ ამისთვის ვაქტიურობთ ჩვენ, რვიანი, რომ ქვეყანას, რომელსაც პრეტენზია აქვს ევროპულ ოჯახში ინტეგრირების, არ სჭირდებოდეს ისეთი ნაბიჯების გადადგმა, როდესაც მოლაპარაკებათა მაგიდასთან ხელისუფლების დასმას იძულებითი ხასიათი აქვს და არ წარმოადგენს მათი პოლიტიკური ნების გამოვლინებას. იცით, ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ პროცესები რაც უფრო მეტად იჭიმება, რვიანი დგება სირთულეების წინაშე, არადა, პირიქით არის ეს ყველაფერი. რაც უფრო მეტად გადის დრო და ქართველი თუ საერთაშორისო საზოგადოება ხედავს ხელისუფლების სრულიად არაადეკვატურ დამოკიდებულებას ამ პროცესის მიმართ, მათი არგუმენტებიც, თუ რატომ არ არიან ჩართული ამ პროცესში, თვალსა და ხელს შუა ილევა. ანუ ისინი ახდენენ საკუთარი თავის სრულ დისკრედიტაციას. შესაძლოა საზოგადოებაში ამ თვალსაზრისით ისედაც არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობა ჰქონდათ, მაგრამ ჩვენს ამოცანას ხომ თავიდანვე წარმოადგენდა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთაც ისეთი გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ხელისუფლებას უბიძგებდა არსობრივად განსხვავებული საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას დათანხმებოდა. ჩვენ მთელს ამ პროცესში ვცდილობთ, რომ ვიყოთ მაქსიმალურად მოქნილი. ამიტომაც რვიანს თავად ამ განცხადებასთან დაკავშირებით არანაირი ხისტი პოზიცია არ გამოუვლენია და არ დაგვიწყია ყვირილი, რომ არანაირი ინდივიდუალიზმი. ძალიან მარტივად ვთქვით, რომ თუ ხელისუფლებას უფრო მეტ კომფორტს მოლაპარაკების პროცესის განახლებასთან დაკავშირებით უქმნის ის, რომ ჯერ ცალ-ცალკე დავილაპარაკოთ და არა არსებული ფორმატის ფარგლებში, ამისთვისაც მზად ვართ. უბრალოდ, მათაც გაიგეს ეს კარგად და მგონი საზოგადოებამაც, თუ რა იგულისხმება ამაში, ანუ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც რვიანიდან დაელაპარაკება ხელისუფლების წარმომადგენელს, იქნება აღჭურვილი თავად რვიანის მანდატით და დააყენებს საკითხებს და მიიღებს გადაწყვეტილებას გამომდინარე თავად რვიანის ერთობლივი პოზიციიდან. ასე რომ, ეს თემა, მე მგონი, ხელოვნურად გახდა რაღაც აჟიტირების საგანი ქართულ მედიაში.

***— თუმცა, მამუკა კაციტაძის კუბლაშვილთან შეხვედრაც უშედეგოდ დასრულდა, ანუ მოლაპარაკებათა პროცესი კვლავ ჩიხშია, რას აპირებს რვიანი?***

— დიახ, ჯერჯერობით რაიმე დამაკმაყოფილებელი შედეგი ამ შეხვედრას არ მოჰყოლია. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამ პროცესს მთელი რიგი სირთულეები ახასიათებს. თუკი ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ამ გარემოში მარტო ჩვენ და ხელისუფლება ვართ, ეს უკვე შეცდომა იქნება. ყველა ვხედავთ, რომ არიან სხვა პოლიტიკური მიდგომის მქონე ძალები, რომელთათვისაც აბსოლუტურად მიუღებელია ეს მოლაპარაკებათა პროცესი და თვლიან, რომ ჯერ უნდა წავიდეს ხელისუფლება და შემდეგ უნდა ჩატარდეს არჩევნები. შესაბამისად, ისინი თავიანთ



**გიორგი თარგამაძე ხელისუფლებას ვადებს არ უწესებს**

გეგმებს უკავშირებენ გარკვეულ თარიღებს, დაპირებებს, აქციებს, რომლებმაც წერტილი უნდა დაუსვას თითქოს ამ ხელისუფლების არსებობას. აი, ამას შემოაქვს გარკვეული კორექტივები თავად ჩვენს მოლაპარაკებათა პროცესში და ეს კორექტივები უკავშირდება თავად მოლაპარაკების პროცესის განახლებასაც. რატომ? იმიტომ, რომ დღეს უკვე ხელისუფლება მაქსიმალურად ეცდება, უფრო მეტად გაჭიმოს მოლაპარაკებათა პროცესის განახლება.

***— დიახ, ითქვა კიდეც, რომ ხელისუფლება მოლაპარაკებების პროცესს არ განაახლებს, ანუ შემოდგომამდე გაწელავსო...***

— როცა ჩვენ დავიწყეთ მოლაპარაკებათა პროცესი, მაშინ ითქვა, რომ წლის პირველ ნახევარში უნდა ყოფილიყო მიღწეული გარკვეული შეთანხმებები პრინციპულ საკითხებზე და ეს წელი მთლიანად უნდა გამოგვეყენებინა ამ გადაწყვეტილებებისათვის იურიდიული ფორმის მისაცემად. ასე რომ, ეს თარიღები ბუნებრივად ჩამოყალიბებული და განსაზღვრულია.

***— ცნობილია, რომ ბოლო ვადა მაისის ბოლოა, რა იქნება შემდეგ?***

— მე არ ვამბობ, რომ მაისის ბოლოა ბოლო ვადა. სხვათა შორის, მე ეს თარიღი არასდროს მითქვამს. მე ვამბობ, რომ წლის პირველ ნახევარში უნდა იქნას მიღწეული პრინციპული შეთანხმებები.

***— ირაკლი ალასანია ხაზგასმით აცხადებს, რომ „რვიანისთვის“ მაისის ბოლო არის ბოლო ვადა და თქვენთვის, რვიანში შემავალი პარტიისთვის ეს ასე არ არის?***

— თქვენ ახლა ელაპარაკებით გიორგი თარგამაძეს, როცა დაელაპარაკებით სხვებს მათ განცხადებებთან დაკავშირებით, მათ შეიძლება კორექტივები გააკეთებინოთ. მე ნებისმიერ ჩემს სიტყვას და განცხადებას კარგად ვწონი და ვიცი, ამას დროთა განმავლობაში რა პასუხისმგებლობები მოჰყვება. მე, თქვენთან არასდროს მითქვამს და არც არსად, რომ 31 მაისს დაიხურება ყველა კარი და დაისმება წერტილი ამ მოლაპარაკებებში. თუმცა, მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ მნიშვნელოვანია წლის პირველ ნახევარში მიღწეული იქნას რამდენიმე პრინციპული შეთანხმება.

***— აბა, რატომ აცხადებს რვიანის“ სახელით ალასანია ასეთ რამეს, რვიანში ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა?***

— ჩვენ შორის შეიძლება იყოს მცირე ტერმინოლოგიური განსხვავება, შინაარსობრივად განსხვავებას ჩემსა და ბატონ ირაკლის განცხადებებს შორის ვერ ვხედავ. მე, უბრალოდ, ყოველთვის ვერიდები რომელიღაც კონკრეტული თარიღის გამოცხადებას, რადგან შემდეგ უკვე არის საფრთხე, ვიქცეთ ამ თარიღების მძევლად, რის მაგალითსაც წარმოადგენს ბოლო სამი წლის ისტორია პოლიტიკური პარტიებისა და ოპოზიციის მარცხის ერთ-ერთი მიზეზიც ეს იყო. ქრისტიან-დემოკრატებს ასეთი შეცდომა არ დაგვიშვია და არც ახლა ვუშვებთ.

***— როდემდე დაელოდება რვიანი ხელისუფლების შემხვედრ ნაბიჯებს, რა არის ბოლო ვადა?***

— ჩვენ არ ვაპირებთ დაველოდოთ ხელისუფლების მხრიდან გადმოდგმულ ნაბიჯებს, ჩვენ ვაპირებთ ქვეყანაში შევქმათ ისეთი გარემო, როდესაც ხელისუფლებისთვისაც ერთი მხრივ, კარგი გაგებით, სხვა გამოსავალი არ იქნება დარჩენილი და მეორე მხრივ, თავადაც დაინახავენ პირდაპირ ინტერესს ხელისუფლებაში არსებული ჯანსაღი ძალები, რომ გახდნენ ამ პროცესის მონაწილენი. ამის ნათელ ისტორიულ მაგალითს წარმოადგენს საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების ცვლილების პროცესი, არა შედეგი, არამედ პროცესი. მე კარგად მახსოვს დებატები, დაპირისპირება, რომელიც ამ გზისადმი ანტაგონისტურ დამოკიდებულებას უკავშირდებოდა, როდესაც გამსახურდიამ მიიღო გადაწყვეტილება თავად კომუნისტურ საბჭოთა საქართველოში საბჭოური კანონმდებლობით, საბჭოური საარჩევნო სისტემის ფარგლებში მიეღო მონაწილეობა და ასე დაემარცხებინა კომუნისტური მმართველობა. მაშინ არსებობდა საზოგადოებაშიც და განსაკუთრებით, მის პოლიტიკურად აქტიურ ნაწილში ბევრი კითხვა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ლამის მოღალატეობა დააბრალეს ამ პოლიტიკურ ძალებს და მრგვალ მაგიდას გამსახურდიას მეთაურობით, მაგრამ შედეგმა გვიჩვენა, რომ თუკი შენ ეხმიანები იმ შინაგან მოლოდინს, რომელიც არსებობს საზოგადოებაში და ახდენ ამის პოლიტიკურ ორგანიზებას, შენ იმარჯვებ. როცა ვლაპარაკობ შინაგან მოლოდინზე ჩვენი საზოგადოებისა, მე პირადად, გიორგი თარგამაძე, ღრმად ვარ დარწმუნებული და ამ რწმენას მარტო ის სოციუმი კი არ ახდენს, რომელშიც ხშირად ვმოძრაობ საქართველოს რეგიონებში იქნება თუ დედაქალაქში, არამედ ყველა კვლევა და სოციოლოგია და მთელი პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ საქართველოს მოსახლეობა ცვლილებებს ელის სწორედ საარჩევნო პოლიტიკური პროცესით. საარჩევნო პოლიტიკურ პროცესში როგორი გარემოც არ უნდა იყოს, თუკი ჩვენ ვახერხებთ საზოგადოების დიდი ნაწილის დარწმუნებას, რომ ზუსტი იარაღით მოახდინო პოლიტიკური ცვლილება ხელისუფლებაში, ეს არის საარჩევნო ბიულეტენი, შემდეგ ეს ბიულეტენი ქმნის იმ უზარმაზარ ზვავს და ტალღას, რომლის წინ აღმდგომიც არავინ, არც ერთი ხელისუფლება არ არის. ვერ იყო ვერც კომუნისტური ხელისუფლება და ვერ იქნება ვერც ნაციონალური ხელისუფლება.

***— რვიანის, ასე ვთქვათ, გეგმა „ბე“ რა არის, ანუ რას აპირებთ იმ შემთხვევაში თუ მოლაპარაკებები არ განახლდება?***

— ჯერ გეგმა არ დაგვიმთავრებია. ჩვენი გეგმაა თანმიმდევრული პოზიციის შენარჩუნება, რათა ხელისუფლებამ ხელოვნურად არ გვიბიძგოს და არ წამოვეგოთ პროცესების კვლავ მხოლოდ ქუჩაში გადატანის ცდუნებას, ხაზს ვუსვამ მხოლოდ ქუჩაში, რადგან ქრისტიან-დემოკრატებს არასდროს გვქონია ხისტად ნეგატიური დამოკიდებულება პროტესტის მშვიდობიანი გამოხატვის ისეთ ფორმებთან, როგორიც არის მანიფესტაცია. ეს არის პოლიტიკური ბრძოლის იარაღი და ნებისმიერი საზოგადოებრივი აქტივობა, რომელიც ჯდება დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, ჩვენთვის არათუ მისაღები, არამედ აუცილებლად გამოყენებადია, მაგრამ პრობლემები იქმნება იქ, სადაც პოლიტიკური ბრძოლის ერთადერთ იარაღად მხოლოდ ქუჩას იტოვებ. ის ვინც ქუჩაში უფრო კომფორტულად გრძნობს თავს და არის გარკვეული ნაწილი ჩვენი საზოგადოების, რომელსაც ურჩევნია ყოველდღიურად, რამდენიმე თვის განმავლობაში ქუჩაში, მანიფესტაციაში მონაწილეობდეს, კი ბატონო, გავიდეს, მაგრამ ჩვენ ვეცდებით, რომ იგივე ადამიანი დავარწმუნოთ, რომ სამი თვე კი არ იდგეს ქუჩაში, არამედ ერთ დღეს მივიდეს არჩევნებში და მიიყვანოს ყველა, ვინც მის გარშემო არის. აი, ეს არის ქრისტიან-დემოკრატების ამოცანა. ჩვენი პარტია ხალხთან ვიმუშავებთ ბევრს და ამ შემთხვევაში რვიანთან ერთად, რათა საზოგადოებამ იცოდეს, რომელია ყველაზე ქმედითი იარაღი არსებული ვითარების შესაცვლელად. ეს არის ქუდზე კაცი და ამის პერიფრაზს გავაკეთებდი საარჩევნო ბიულეტენზე — კაცი არჩევნების დღეს. თუკი ქართულ საზოგადოებას ჩვენ ამაში დავარწმუნებთ, მე მინდა მოგცეთ გარანტია, რომ ვერანაირი საარჩევნო პოლიტიკური სისტემა, რომელიც დღეს ხელისუფლების ხელში არის, ამას წინ ვერ დაუდგება და თუ დაუდგება, ავტომატურად გამოუტანს განაჩენს საკუთარ თავს.

***— კეთილი, როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ე.წ. რადიკალური ოპოზიცია ერთმანეთს, ასე ვთქვათ, ეჯიბრება და ასწრებს აქციებს და საერთოდაც, რა შეიძლება მოჰყვეს ამ დაანონსებულ აქციებს?***

— ამაზე თავად ამ აქციის ორგანიზატორები მისცემენ ალბათ ახსნა-განმარტებას იმავე ადამიანებს, რომლებისთვისაც მხოლოდ ქუჩის გზითაა ხელისუფლების შეცვლა წარმოსადგენი. ყველა კარგად ხვდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ კურიოზულ და არასერიოზულ ხასიათს იღებს ამ თარიღების ერთმანეთის გადასწრებით დაანონსება. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავ, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ადამიანებმა, რომელთაც სურთ, რომ ქუჩის მეშვეობით გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე, დაივიწყონ ყველაფერი, ის ლანძღვა-გინება, უმძიმესი ბრალდებების წაყენება და თვით ამ ადამიანების მიერ დროებით მორატორიუმის გამოცხადების შემთხვევაშიც ენდონ მათ და გაყვნენ ქუჩაში. სამწუხაროდ, ეს აღარ მოხდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური შანსი ამ პოლიტიკური ძალების ხელმძღვანელებმა უკვე ხელიდან გაუშვეს. რაც შეეხება იმას, თუ რა მოჰყვება მათ აქციებს, გეტყვით, რომ ნებისმიერ აქტივობას რაღაც შედეგი მოჰყვება, უბრალოდ, ეს არ იქნება ის შედეგი, რა მოლოდინებიც იქმნება. ანუ „მიშა წავა“ არ იქნება, რადგან ჯერ ერთი, იგივე ნაბიჯებით მიშას წასვლის მცდელობები ჩვენ უკვე ვნახეთ. ეს ეტაპები უკვე გამოვიარეთ. ნათქვამია, მსუბუქი ყოფაქცევის გამოცდილების მქონე ქალს რძალი არ გაუბოზდებაო. ეს უხეში შედარება იმიტომ მოვიტანე, რომ ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ხელისუფლება თავად არის ძალადობრივი მეთოდებით მოსული სათავეში, ეს არ არის შევარდნაძის ბუნების მქონე ხელისუფლება, ეს არის ხელისუფლება, რომელსაც აქვს გამოცდილება ძალადობის გზით ძალაუფლების უზურპაციის და მეორე მხრივ, არსებობს უამრავი გარემოება, რომლებიც დღეს მძიმე ტვირთად აწევს და მათი მარტივად მოშორება მისი მხრიდან ვერ მოხერხდება. ჩვენ ან უნდა გავუწიოთ ამას ანგარიში, შევეგუოთ კი არა, მე ამ სიტყვას არ ვხმარობ, გავუწიოთ ამ პოლიტიკურ რეალობას ანგარიში და ისეთი ბრძოლის მეთოდები შევარჩიოთ, რომ მივიყვანოთ ეს პროცესი ჩვენი ქვეყნისთვის სასურველ დასასრულემდე. ან უნდა ვურტყათ კედელს თავი და სამწუხაროდ, თავის ტკივილი მარტო საკუთარ თავს და ხალხს გავუჩინოთ და ნაკლები თავის ტკივილი ჰქონდეს თავად ხელისუფლებას.

***— თუმცა, კონკრეტულ შედეგს თქვენი გზაც ვერ აყენებს...***

— ჩვენს გზას მოჰყავს და დააყენებს კიდეც შედეგს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საარჩევნო პოლიტიკური ცვლილებები ეს არის ერთადერთი შედეგიანი გზა, რამაც ქვეყანაში არსებული სტატუსკვო შეილება შეცვალოს. ის გზა, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, თუკი მხოლოდ ქუჩაზე იქნება ორიენტირებული, მხოლოდ შეასუსტებს ამ პერსპექტივას.

***— საუბრობენ იმის შესახებ, რომ ქართული პარტია რუსეთიდან იმართება, ანუ მათი სამოქმედო გეგმა კრემლში იწერება, თქვენი აზრით, ეს რამდენად რეალურია?***

— დავიწყოთ იმით, რომ ის, რომ რუსეთს აქვს თავისი ინტერესები საქართველოში და წარმოადგენდა და მომავალშიც იქნება მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტიორი კავკასიურ სცენაზე, ამ ფაქტორების უარყოფა მხოლოდ საქმეში ჩაუხედავ ადამიანს შეუძლია. ის რომ ამ თამაშში ყველანაირი სახის აქტიურობა შედის რუსეთის პოლიტიკური ელიტის შეიარაღებაზე, ესეც ფაქტია, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლიანი ისტორია მეტყველებს, რომ გამოყენებული იქნა როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტები ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეულ პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის. ეს გავლენები დღესაც ძალიან აქტიურია, თუმცა, ვფიქრობ, რომ გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა, ყურადღება გაგვემახვილებინა რუსეთის აქტივების ზრდაზე ქართულ ეკონომიკაში, ვიდრე მკითხაობა იმაზე, რომელ პოლიტიკურ პარტიას რა ურთიერთობები აქვს რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან და კაცმა რომ თქვა, სამკითხაო ბევრიც არაფერი არ არის. მთელი რიგი პოლიტიკური პარტიები არათუ მალავენ, არამედ თავიანთ საარჩევნო პროგრამებში ნათლად გამოხატავენ საქართველოს მომავლის მათეულ ხედვას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული თანამედროვე რუსეთის ინტერესებთან. ჩვენ განსხვავებულ ფლანგს ვლიდერობთ. თავიდანვე ვამბობდით, რომ კეთილმეზობლური ცივილიზებული ურთიერთობა და რუსეთის ფაქტორის გათვალისწინება არის აუცილებელი, მაგრამ ეს ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოებას და შედეგების ამდაგვარად მიღწევას და არა რუსული პოლიტიკის ინტერესების და ქოლგის ქვეშ ჩვენი ინტერესების შებღალვას. ამ თვალსაზრისით ისედაც ნათელია ყველაფერი ქართულ პოლიტიკურ ფლანგზე, მაგრამ როცა ქართულ ოპოზიციურ ფლანგზე რუსეთის ინტერესებზე ვსაუბრობთ, მოდით, ხელისუფლებაზეც ბევრი ვილაპარაკოთ, რადგან ქართულ ეკონომიკაში, განსაკუთრებით ქართულ ენერგეტიკაში, აქტივების ძირითადი ნაწილი რუსული ორგანიზაციების ხელშია და აქ თავის მართლება ხელისუფლების მხრიდან,

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# ადვოკატები შიმშილობის აქციას იწყებენ



ადვოკატები 17 მაისიდან პარლამენტის წინ შიმშილობის აქციას იწყებენ.აქციის ორგანიზატორმა ადვოკატებმა — შალვა ხაჭაპურიძემ, ლალი აფციაურმა და ლანა გვალიამ გუშინ მერიაში განაცხადი შეიტანეს, რომლითაც მერიისგან აქციის ჩატარების ნებართვას ითხოვენ.

როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, ეს იქნება 5-დღიანი გამაფრთხილებელი უპრეცედენტო მოვლენა, რადგან მსოფლიოს მსგავსი აქცია არ ახსოვს.

— ეს იქნება წმინდა სამართლებრივი აქცია. ჩვენ ვითხოვთ სასამართლოს დამოუკიდებლობას, გამოიძიონ ქუჩაში დახვრეტილი ადამიანების საქმეები, აღსრულდეს სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, — განაცხადა ხაჭაპურიძემ და დასძინა, რომ თავდაპირველად, შიმშილობას 30 ადვოკატი დაიწყებს. კონკრეტული მოთხოვნები კი აქციის მსვლელობისას გახდება ცნობილი.

მისი თქმით, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ქვეყნის მეთაური, მთავარია ქვეყანაში ბატონობდეს სამართლისა და კანონის უზენაესობა.

— მსოფლიოში მსგავსი მოვლენაა არ ყოფილა, როდესაც ადვოკატები გამოდიან და იწყებენ საპროტესტო აქციებს. როდესაც ადვოკატი იწყებს შიმშილობას, ეს იმას ნიშნავს, რომ მას წართმეული აქვს ყველანაირი ღონე, რომ დაიცვას ჯერ თავისი კლიენტი და შემდეგ საკუთარი თავი, — აღნიშნა ხაჭაპურიძემ.

როგორც ადვოკატები აცხადებენ, ეს იქნება 5-დღიანი გამაფრთხილებელი 24 საათიანი აქცია. მათ არ სურთ, რომ ამას დაუსრულებელი სახე მიეცეს. აქცია 17 მაიის დღის 3 საათზე პარლამენტის წინ დაიწყება.

— ჩვენ გვინდა მსოფლიოს დავანახოთ, რომ ვითხოვთ ადამიანისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს — თავისუფლებას, —აცხადებენ ადვოკატები.

ცნობისთვის; აქციის ჩატარების ნებართვის შესახებ მერიის გადაწყვეტილება სამ სამუშაო დღეში გახდება ცნობილი.

**მედიანიუსი**

# ხელისუფლებიდან პანღურით გამოგდებულებისგან კრიტიკას ვერ მივიღებთ!

დასაწყისი მე-6 გვერდზე

რომ იცით, ჩვენ გახსნილი ქვეყანა ვართ და ფულს ეროვნება არ აქვს და პოლიტიკური სუნი არ უდის, სასაცილოა, რადგან ფულს თუკი რაიმეს სუნი საერთოდ უდის, უდის პოლიტიკური სუნი. მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს სახელმწიფოსთან, სადაც ნებისმიერი მსხვილი ბიზნესის განხორციელება პირდაპირ კავშირშია რუსეთის პოლიტიკური ელიტის ინტერესებთან.

***— რატომ მიყიდა ხელისუფლებამ, მათივე თქმით, ოკუპანტს მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტები?***

— ქვეყანა თმობს თავის ეროვნულ ინტერესებს, ზრდის რისკებს ქვეყნის შიგნით რუსული სახელმწიფო კაპიტალის დომინირების შედეგად და ამით რაღაცა ჯგუფები კეთდებიან და ხეირობენ. რუსული ინტერესების მომძლავრებაში ქვეყნის შიგნით არანაკლებ როლს თამაშობს ხელისუფლება, რომელმაც ჩვენი ეკონომიკის წამყვანი დარგების საკონტროლო პაკეტები გადააბარა რუსული ინტერესების მატარებელ კომპანიებს. შეიძლება ზოგიერთი კომპანია კერძო იყოს, მაგრამ ეს სიკერძოვე არის ძალიან მოჩვენებითი ხასიათის, თითოეული მათგანის უკან დგას რუსეთის სახელმწიფო, სახელმწიფო კაპიტალი, რომელიც მხოლოდ ეკონომიკური ექსპანსიით არის დაკავებული საქართველოს ტერიტორიაზე, რასაც აუცილებლად მოჰყვება პოლიტიკური ინტერესების გააქტიურება.

***— კიწმარიშვილმა მოგიწოდათ, რომ „თავი გაანებოთ გაშიშვლებული რეჟიმის ლეღვის ფოთლის ფუნქციაში გადასვლას", ამაზე რას იტყვით, ისე, ცოტათი მაინც არ გაბრაზდით, ბატონო გიორგი?***

— ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რას ამბობენ, ანდაც როგორი ფორმით, არამედ იმას, თუ ვინ ამბობს. არიან ადამიანები, რომელთა მხრიდან ქრისტიან-დემოკრატების მიმართ საქებარი სიტყვების თქმამ შეიძლება გაცილებით მეტად დაგვაზარალოს, ვიდრე პირიქით. ამ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება ბატონი ეროსი კიწმარიშვილი, რომელთანაც ჩვენ არასდროს გვქონია რაიმე საერთო ინტერესები და ღირებულებები, სხვათა შორის, ტელეიმედის პერიოდიდან მოყოლებული. როდესაც კიწმარიშვილის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ტელეიმედის და მისი მფლობელის განადგურება, ამ სიტყვის, როგორც ხშირად უყვარს ხოლმე მას ხმარება, პირდაპირი მნიშვნელობით. მან ნაწილობრივ ამას მიაღწია კიდეც, თან ისე, რომ საზოგადოების ერთი მცირე, მაგრამ მაინც ნაწილი ჯერ კიდევ დაბნეულ სიტუაციაშია და ვერ განუსხვავებია ერთმანეთისაგან თეთრი და შავი. ვერ ვხვდები, ამ ეტაპზე რაში უნდა აწყობდეთ მათ ოპოზიციურ პოლიტიკურ ფლანგზე დამატებითი დაპირისპირების ფაქტორების შექმნა. მათ ისედაც უზარმაზარი პრობლემა აქვთ თავიანთ ფლანგზე. საერთო ენა ვერ გამოუნახავთ იმ ადამიანებთან, რომლებიც რასაც ლაპარაკობენ, თითქოს ერთი და იგივე ინტერესები აქვთ, რომ ქუჩის გზით რაღაცას უნდა მიაღწიონ და მუდმივ დაპირისპირებაში არიან და თავინათ ძალებს და ხალხს ასუსტებენ ამ მხრივ. ახლა დამატებით კიდევ რვიანის მიმართ ცეცხლის გახსნა რაში უნდა აწყობდეთ, სიმართლე გითხრათ, წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით საერთოდ ვერ გამიგია და ეს რომ ვერ გამიგია და ამ მხრივ, მათ მხარეს უამრავ შეცდომას ვხედავ, გაუთვლელ და ზოგიერთ შემთხვევაში, უპასუხისმგებლო ნაბიჯებს. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ერთად არ ვართ. ანუ, პოლიტიკური კოორდინაციის ერთიან სისტემაშიც კი არ ვართ, თორემ ის, რომ ახლა არც პოლიტიკურად და არც ღირებულებების დონეზე ამ ადამიანებთან მე არასოდეს მქონია საერთო და სავარაუდოდ, არც მექნება, ეს ქართველი საზოგადოებისთვის ისედაც ნათელია.

***— ქართული პარტიის ლიდერები ასევე გაკრიტიკებენ იმის გამო, რომ კონსტიტუციის მიღებას ხმა მიეცით...***

— იმ პოლიტიკური ძალებისგან, რომლებმაც 2006 წელს, მანამდე კიდევ 2004 წელს ხმა მისცეს სააკაშვილის მიერ ხელისუფლების სრულ უზურპაციას და მით უმეტეს, იმ ადამიანებისგან, რომლებიც სააკაშვილს ხელისუფლებას წარმოადგენდნენ, სანამ პანღურით არ გამოაგდებენ, ჩვენ რაიმდე სახის კრიტიკას, უბრალოდ, ვერ მივიღებთ.

***— დაბოლოს, იგეგმება თუ არა უახლოეს დღეებში ქრისტიან-დემოკრატების ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა ინდივიდუალური მოლაპარაკებების ფორმატში და რა იქნება რვიანის ნაბიჯები?***

— დღეს და ხვალ ასეთი ტიპის რაიმე შეხვედრა არ იგეგმება, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ეს შეხვედრები შედგეს, რასაც მივესალმები კიდეც. ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც მოლაპარაკებათა ფორმატის განახლებას ხელს შეუწყობს, ჩვენთვის მისაღებია. რვიანი საზოგადოებასთან უფრო აქტიურ კონტაქტზე გადავა და შეეცდება იმის ახსნას, რასაც ახლა მე თქვენი გაზეთის მეშვეობით ვცდილობ, ანუ, რატომ არის საარჩევნო გზა ყველაზე ოპტიმალური, შედეგსა და ცვლილებებზე ორიენტირებული. ასევე გვჭირდება სხვა აქტივობები, რომლებიც დაგეგმილია და ნაბიჯ-ნაბიჯ ამას განვახორციელებთ კიდეც.

# ივანიშვილი სააკაშვილს ყოველწლიურად 150 მლნ დოლარით აფინანსებს

შორენა კოლოწაშვილი



ლეიბორისტები ბიზნესმენის და მეცენატის — ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ გამოდიან და მას მიხეილ სააკაშვილის და მისი ხელისუფლების დაფინანსებაში ადანაშაულებენ. ოპოზიციურ პარტიაში მიაჩნიათ, რომ ივანიშვილის მხრიდან ხდება სააკაშვილის არადემოკრატიული რეჟიმის წახალისება და სოლიდური პრემიებით დაჯილდოვება იმ ადამიანების, ვინც რეჟიმის წინააღმდეგ გამოდის და მშვიდობიან აქციებს მართავს.გუშინ ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა მხარდაჭერებთან ერთად მთაწმინდაზე, ბიძინა ივანიშვილის სახლთან საპროტესტო აქცია გამართა და ბიძინა ივანიშვილი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში დაადანაშაულა.

ივანიშვილის სახლთან ლეიბორისტები „მხილების კვირეულის" ფარგლებში აქციაზე შალვა ნათელაშვილმა ბიძინა ივანიშვილი რუს ოლიგარქად და მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ მთავარ დამფინანსებლად მოიხსენია.

როგორც აქციაზე ითქვა, ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილს ყოველწლიურად 150 მლნ დოლარით აფინანსებს. გარდა ამისა, ის ამარაგებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტექნიკით, ქიმიური და ელექტროიარაღით, რომელიც შემდეგ მშვიდობიანი დემონსტრაციების დასარბევად გამოიყენება.

— საქართველოს ხელისუფლებამ ხალხის საკუთრებაში არსებული მიწები გაასხვისა, რისი მაგალითიც რუსეთში მოღვაწე ქართველი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის სასახლეა. ლეიბორისტული პარტია ჩინოვნიკების მხილებას მომავალშიც გააგრძელებს. მოვა დრო და მათ ხალხისთვის წართმეული ქონება ჩამოერთმევათ და პასუხისგებაში მიეცემიან, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის ფული ხშირად გამხდარა სპეცრაზმელების სისასტიკის წამახალისებელი ფაქტორი. ამის დასტურად ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა 2007 წლის 7 ნოემბერი დაასახელა, რა დროსაც ივანიშვილმა თოთოეულ სპეცრაზმელს, რომელიც დარბევაში მონაწილეობდა, 5.000-ლარიანი პრემიები გადასცა.

როგორც აქციაზე შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ბიძინა ივანიშვილს ამ და სხვა დანაშაულობებისთვის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილთან და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან ერთად გლდანის ციხეში პატიმრობა ემუქრება.

# ჟენევის მოლაპარაკებები 7 ივნისს გაიმართება

გერა მამულაშვილი

**2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი სტატუს-ქვო კვლავ შენარჩუნებულია. აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსული იმპერიის მიერ დაპყრობილი და „აღიარებულია". თუმცა, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევაში მოსკოვს მხოლოდ სამმა სახელმწიფომ აუბა მხარი.**




მხარეებს შორის შედეგზე გათვლილი დიალოგი თითქმის არ მიმდინარეობს. ერთადერთი გამონაკლისი ჟენევის დისკუსიებია, სადაც სხდომიდან სხდომამდე მხოლოდ არაფრისმთქმელი განცხადებები კეთდება. საერთაშორისო თანამეგობრობა მოლაპარაკებებში გარღვევას და გარკვეული შედეგების მიღწევას მოითხოვს. თუმცა, მოსკოვის აგრესიული პოლიტიკა ასეთ გარღვევას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

საერთაშორისო შუამავლები კი იმედს არ კარგავენ, მორიგი შეხვედრისთვის ემზადებიან. მათ ამისთვის სოხუმში მოსამზადებელი შეხვედრა უკვე ჩაატარეს.

ამიერკავკასიაში უსაფრთხოების ჟენევის დისკუსიების მეთექვსმეტე რაუნდი 7 ივნისისთვის არის ჩანიშნული. სხდომის დღის წესრიგი, 10 მაისს სოხუმში აფხაზეთის წარმომადგენლებთან, დისკუსიების თანათავმჯდომარეებმა პიერ მორელმა (ევროკავშირი), ანტი ტურუნენმა (გაერო) და გედრიუს ჩეკუალესმა (ეუთო) განიხილეს. გადაწყვეტილია, რომ 7 ივნისის შეხვედრაზე რეგიონში უსაფრთხოების საკითხები იქნება განხილული.

შეხვედრას ესწრებოდნენ დისკუსიებზე აფხაზური დელეგაციის წევრები — აფხაზეთის პრეზიდენტის სპეც-წარმომადგენელი მოლაპარაკებებზე ვიაჩესლავ ჩიკირბა (დელეგაციის ხელმძღვანელი), შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო განყოფილების უფროსი ლანა აგრბა, ყოფილი თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბა და პარლამენტის დეპუტატი რუსლან ქიშმარია.

როგორც აფხაზეთის საგარეო მინისტრის მოადგილესთან მაქსიმ ღვინჯიასთან შეხვედრაზე პიერ მორელმა განაცხადა, თანათავმჯდომარეების დელეგაციის ვიზიტი დაკავშირებულია „დისკუსიების მორიგი რაუნდისთვის ნორმალურ მოსამზადებელ პროცესთან".

— ჩვენ დისკუსიების ყველა მონაწილეს ვხვდებით და ასევე მოსკოვის მონახულებას ვაპირებთ, — განაცხადა ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარემ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ევროკავშირიდან თანათავმჯდომარემ პიერ მორელმა განაცხადა, რომ ეხებოდნენ „პირველი და მეორე ჯგუფების ჩვეულებრივ პუნქტებს, რომლებიც ჟენევის დისკუსიების ფარგლებში მოქმედებს — უსაფრთხოების და ჰუმანიტარულ საკითხებს, რომლებიც ძალის გამოუყენებლობას და უსაფრთხოებაზე შეთანხმებას შეეხება".

გაეროდან თანათავმჯდომარის ანტი ტურუნენის თქმით, ასევე განიხილებოდა ინციდენტებზე რეაგირების და აღკვეთის გალის ხუთმხრივი მექანიზმის შემდგომი მუშაობის საკითხები. გალის რაიონში მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით, ტურუნენის აზრით, აუცილებელია მუშაობის გაგრძელება ასეთი შემთხვევების აღკვეთისთვის.

ანტი ტურუნენის თავმჯდომარეობით მორიგი ხუთმხრივი შეხვედრა გალში 20 მაისს შედგება.

ეუთოდან ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარემ გედრიუს ჩეკუალესმა განაცხადა, რომ ჟენევის დისკუსიების აფხაზეთის მონაწილეებთან დღევანდელი შეხვედრა იყო „კონსტრუქციული და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა".

— ეს მორიგი კონკრეტული ნაბიჯია, დისკუსიების მეთექვსმეტე რაუნდის მომზადების გზაზე, — ამბობს ეუთოელი თანათავმჯდომარე.

„კავკაზსკი უზელის" კორესპონდენტის კითხვაზე, რამდენად რეალურია ჟენევის დისკუსიების ფარგლებში ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების მომზადება, პიერ მორელმა თქვა, რომ „ამ საკითხში საჭიროა ეტაპობრივი წინსვლა, საჭიროა არსებული უთანხმოებების გათვალისწინებაც".

ჟენევის დისკუსიებზე აფხაზური დელეგაციის ხელმძღვანელმა ვიაჩესლავ ჩიკირბამ ასევე დაადასტურა, რომ დისკუსიების შემდგომი მეთექვსმეტე რაუნდის დღის წესრიგის გარდა, განიხილებოდა გალის ხუთმხრივი მექანიზმი და გალის სასაზღვრო რაიონში არსებული სიტუაცია.

— აფხაზურმა მხარემ შეშფოთება გამოხატა სასაზღვრო ზონაში ვითარების დაძაბვასთან დაკავშირებით, კერძოდ, რაც 8 აპრილს რუსი მესაზღვრის მკვლელობასთან არის დაკავშირებული, — ამბობს ის.

შეგახსენებთ, რომ ჟენევის დისკუსიების ბოლო მეთხუთმეტე რაუნდი მიმდინარე წლის მარტში გაიმართა. ტრადიციული საკითხების გარდა, რომლებიც უსაფრთხოებასთან და ჰუმანიტარულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, ოჩამჩირის რაიონში ილორის ტაძრის საკითხიც განიხილებოდა, რომელიც ქართული მხარის ინფორმაციით, „ბარბაროსული რესტავრაციის" მსხვერპლი გახდა.

— ჩვენ ილორის ტაძარი მოვინახულეთ. ჟენევის დისკუსიების მონაწილეებს შორის ამ საკითხზე აზრთა გაცვლა გრძელდება, მაგრამ იმისთვის, რომ ეს საკითხი დარეგულირდეს, საჭიროა საექსპერტო შეფასება. ჩვენ ექსპერტები არ ვართ. ჩვენ ვნახეთ მოქმედი ტაძარი, მაგრამ პრობლემა არა მის მოღვაწეობაში, არამედ რესტავრაციაშია. ასე რომ, ამის შემდეგ ეს პრობლემა ექსპერტებმა უნდა განიხილონ, — ამბობს პიერ მორელი.

# ეს ბოროტება ხერხემალში უნდა გადავტეხოთ!

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

***— ბატონო გოგა, რა შეფასებებს მისცემდით საქართველოში განვითარებულ პროცესებს, ოპოზიცია მაისის დადგომასთან ერთად უფრო აქტიური გახდა. ქართულმა პარტიამ უკვე დაიწყო აქციები, სახალხო კრება 21 მაისიდან იწყებს. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე, ითქვა, რომ დასწრებაზეა ქართულ ოპოზიციაში აქციების დაანონსება...***

— დასწრებაზე კი არა, მე მგონი, ძალიან დაგვიანებულია, იმიტომ, რომ იმ უმსგავსობის ატანა, რასაც სააკაშვილის რეჟიმი წარმოადგენს საქართველოში, დიდი ხანია უკვე შეუძლებელია. მინდა გითხრათ, რომ აქედან უფრო თვალნათლივ ჩანს, რამდენად ბინძური და ალმაშფოთებელია ყველაფერი ის, რაც საქართველოში ხდება. სტრასბურგის სასამართლოს განაჩენმა საერთოდ დაამსხვრია ერთხელ დასამუდამოდ ამ ჯოჯოების მითი იმის შესახებ, რომ საქართველოში თითქოსდა დემოკრატიული პროცესები მიდის. იმედია მათი მთავარი მფარველები ამერიკის ადმინისტრაციაშიც მიხვდნენ ამას და ჰილარი კლინტონის განცხადებები და საერთოდ თეთრი სახლის ანგარიში ამაზე მეტყველებს. სხვა საქმეა, რომ სააკაშვილს, როგორც ყოველთვის, რუსული ტანკები უმაგრებენ ზურგს, მერაბიშვილის სახით ერთგული მსახური ჰყავს რუსეთის ინტერესებს საქართველოში და ბუნებრივია, ეს გამოყენებული იქნება მაქსიმალურად იმისთვის, რომ რაიმე სახით შეინარჩუნონ ძალაუფლება, თუმცა, ვფიქრობ, რომ ამას დიდი მომავალი არ უწერია და დარწმუნებული ვარ, უახლოეს ხანებში ეს უბედურება დამთავრდება საქართველოში. სხვა საქმეა, მერე რა ფორმით შევძლებთ ჩვენ გავაგრძელოთ სახელმწიფოს მშენებლობა, იმიტომ, რომ რეალურად მიწასთან გაასწორეს, გაყიდეს, გააცამტვერეს, გაანიავეს და ძირითადად რუსეთს გადასცეს მთელი ქვეყანა, როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე ტერიტორიული თვალსაზრისით და შექმნეს სიკვდილის ბატალიონები, რომლებიც თარეშობდნენ ამ წლების განმავლობაში საქართველოში და ბუნებრივია ამ სიძნელეების დაძლევა არ იქნება მარტივი. ამიტომ მე ვუსურვებდი ორივე ბანაკს, ეს არის ქართული პარტიაც და სახლხო კრებაც, სადაც ჩემთვის ძალიან პატივცემული ადამიანი არის, ძალიან ბევრი მეგობარი, რომ ეს საქმიანობა იყოს ურთიერთთანმხვედრი. არ არის აუცილებელი გაერთიანებები და გაუთავებელი ლაპარაკი ერთიანობაზე. ბუნებრივიც არის, რომ პოლიტიკური დაჯგუფებები იმის მიხედვით ყალიბდება, თუ ვის როგორი მსოფლმხედველობა აქვს და ვის როგორი პოლიტიკური ზნე. მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ ყველა ჩვენგანის წინაშე ერთი ამოცანა დგას, ეს არის ამ ბოროტების მოშორება და ამ ამოცანაში ყველანი უნდა ვიყოთ გაერთიანებული, იქნება ეს სახალხო კრება, ქართული პარტია, ლეიბორისტული პარტია თუ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებმაც თავისი საქმიანობით დაამტკიცეს საქართველოს ერთგულება და საკუთარი სამშობლოს სიყვარული. როგორც ყოველთვის, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ახლაც მოიძებნებიან გაიძვერები, რომლებისთვისაც მთავარია პატრონების ყმობა, ეს იქნება რუსეთში თუ დასავლეთში და მხოლოდ მათი მსახურებით შეუძლიათ იტივტივონ ქართულ პოლიტიკურ ასპარეზზე. ამიტომ ეს არის სერიოზული საფრთხე, მე ვფიქრობ, მოვიდა დრო, როდესაც ქართველი ხალხი ერთხელ და სამუდამოდ დაფიქრდეს, გადაწყვიტოს და დაუბრუნდეს დიდი ილიას სიტყვებს, რომ ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს, ჩვენ უნდა ვმართავდეთ ამ ქვეყანას, პირველ რიგში საქართველოს ინტერესებს ვიცავდეთ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენი მეზობლების, მეგობრების და სტრატეგიული პარტნიორების. ბოლო წლებმა დაგვანახვა, რომ სერიოზული მეგობარი, ვინც საქართველოს მომავლით და ბედით არის დაინტერესებული, რეალურად არ არსებობს, ეს არის მითი იმის შესახებ, რომ დღეს ვინმე იძინებს და იღვიძებს საქართველოზე ფიქრში. ყველას საკუთარი ინტერესები ამოძრავებს, ყველას საკუთარი გეგმები და ზრახვები აქვს და აქედან გამომდინარე, იყენებენ ამ პატარა ქვეყანას, ამ პატარა ხალხს მსოფლიო დაპირისპირების ასპარეზზე.

***— თქვენც გაქვთ იმის იმედი, რომ შესაძლოა მაისში პროცესები გააქტიურდეს?***

— მე დარწმუნებული ვარ ამაში, იმიტომ, რომ ამის მოთმენა აღარ შეიძლება, ამას მთელი მსოფლიო ელოდება. სხვათა შორის, ძალიან ღიად მიანიშნა ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელმა ადმინისტრაციამ, კლინტონის სახით, როდესაც თქვა, რომ ხელი გაანძრიეთ თქვენთვითონაც და ჩვენც არ დავაყოვნებთ პოზიციის დაფიქსირებას. ამიტომ დარწმუნებული ვარ, როგორც კი ქართველი ხალხი ქუჩაში გამოვა და მტკიცედ იტყვის თავის ნებას, რომ აღარ აპირებს შეგუებას ამ ბორეტებასთან, ამ კრიმინალთან, ამ დანაშაულთან, ამ მკვლელებთან და ბანდიტებთან, რომლებიც მოკალათებულები არიან იქ, დარწმუნებული ვარ, რომ მთელი მსოფლიო დაუჭერს ამას მხარს. მე ვერ გეტყვით, რომ მაინცდამაინც აღფრთოვანებული იქნება ან ვაშინგტონი, ან მოსკოვი, იმიტომ, რომ ასეთ მორჩილ და უზნეო მხარდამჭერებს ისინი ველარ შეიძენენ საქართველოში, როგორიც სააკაშვილის რეჟიმი იყო, რომელიც მორჩილებდა და ნებისმიერ მათ განკარგულებას ასრულებდა, იქნებოდა ეს კრემლის განკარგულება თუ ვაშინგტონის, მაგრამ მოუწევთ შეგუება იმასთან, რისი იმედიც მე მაქვს, რომ ბოლოს და ბოლოს ქართველი ხალხი ღირსეულ არჩევანს გააკეთებს და ისეთ ხახს მიანდობს საკუთარ ბედს და საკუთარ ქვეყანას, რომლებიც ამას პატიოსნად აღასრულებენ.



## აქციების დაწყება უკვე დაგვიანებულია

***— ბატონო გოგა, ითქვა ისიც, რომ ხელისუფლება მაისში სერიოზულ საფრთხეს ელის და ემზადება იმისთვის, რომ აქციები დაარბიოსო. როგორ ფიქრობთ, არის ამაზე წამსვლელი?***

— სცადოს და კარგ პასუხსაც მიიღებს. ლუკა კურტანიძის წერილი წავიკითხე და მინდა ძალიან დიდი პატივისცემით მივმართო მას და მადლობა ვუთხრა. ექვსი შვილის მამა რომ თავგანწირვისთვის მზად იქნება და ამას ხმამაღლა გამოაცხადებს და ლუკა კურტანიძე იმ კაცების რიგში არ არის, რომლებიც სიტყვას ბანზე ისვრიან. ლუკა კურტანიძე ღირსებით აღსავსე ადამიანია და საქართველოს ღირსებაც ბევრჯერ უტარებია საკუთარი ზურგით და საკუთარი ხერხემლით. დარწმუნებული ვარ, რასაც ამბობს, იმას ასრულებს. გუგა ცანავამაც იგივე გამოაცხადა და ძალიან ბევრი ადამიანია, ვინც მზად არის, თავი გაწიროს იმისთვის, რომ ეს ბოროტება მოაშოროს თავის ოჯახს, თავის შვილებს და თავის სამშობლოს. ამიტომ ძალიან ბევრი სისხლის ღვრა მოუწევთ თუ მაგას გაბედავენ. თუ გაბედავენ, შედეგად იმას მიიღებენ, რაც კადაფმა მიიღო, რაც მუბარაქმა მიიღო, იმიტომ, რომ სააკაშვილს არ ასცდება სამართალი, არ ასცდება არც მას და არც მის პირსისხლიან ბანდას. არავითარ შემთხვევაში არ ასცდება, ამიტომ მე ვურჩევდი მათ მფარველებს, რომ დროზე მოაშორონ ქვეყანას, თორემ ამას სერიოზული გართულებები მოჰყვება მათთვის.

***— ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი აცხადებს, რომ ისინი დაიწყებენ 21-ში და საკმაოდ მალე დაასრულებენ, არ აპირებენ ამ პროცესის დროში გაჭიმვას. როგორ ფიქრობთ, არის ამის შანსი და შესაძლებლობა?***

— ნონა გაფრინდაშვილი არის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ადამიანი საქართველოში და მასთან მიმართებაშიც შემიძლია ვთქვა, რომ მისი სიტყვა და საქმე არასოდეს არ სცილდებოდა ერთმანეთს. ზრდასრული ქალბატონი ბრძანდება და საქართველოს დედოფალია. არა მარტო საქართველოსი, მსოფლიოს დედოფალიც იყო წლების და ათწლეულების მანძილზე. ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ სერიოზული მიდგომა არის ეს და რადგან ასე ლაპარაკობს, ე.ი. იმედი აქვს და სჯერა, რომ ეს აღსრულდება. მეც იმედი მაქვს და მჯერა. ახლა ერთადერთი, რაც საჭიროა, ყველამ საკუთარ თავს უნდა გადააბიჯოს, ყველამ პირადი პატივმოყვარეობა და ამპარტავნება გვერდზე უნდა გადადოს, თორემ ის ძალიან ნათლად გამოჩნდება, ვინ რისთვის იბრძვის და აქ უკვე ვითარება ისე დგას, რომ აქ ახლა შენიანიჩემიანის გარჩევა აღარ შეიძლება. ყველანი ერთიანი ვართ, ერთი პატარა ხალხი ვართ, ცოტანი ვართ და უნდა გვესმოდეს, რომ ერთად უნდა ვიდგეთ გაჭირვების ჟამს. მე ყველას მოვუწოდებ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი მეგობრები ამას მიხვდნენ და დარწმუნებული ვარ, მოვა დღე, როდესაც ეს მოხდება კიდეც.

***— თქვენ ალბათ სახალხო კრებას და ქართულ პარტიას გულისხმობთ, ბევრი ამბობს ამას, რომ ისინი ერთად უნდა დადგნენ, იმიტომ, რომ ერთნაირი პოზიციები აქვთ...***

— მაგას ქართველი ხალხის ნება განაპირობებს, ვინც ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ წავა, ის აფსაიდში დარჩება, პოლიტიკურ აფსაიდში. სააკაშვილი წავიდა ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ და რა პასუხი მიიღო და კიდევ წინ რა ელოდება, ამასაც ნახავს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს მეგობრებს ორივე ბანაკში ეყოფა გონიერება იმისთვის, რომ მიხვდნენ, ახლა ამის დრო არ არის და შემდეგ პოლიტიკურ პაექრობაში ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხი დაინახავს და დააფასებს მათ ქმედებას და სწორადაც შეაფასებს. ამიტომ მათ ექნებათ შესაძლებლობა, რომ მერე ერთმანეთს აჯობონ, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ პაექრობაში. არჩევნები იქნება და იქ გამოჩნდება, რამდენად სწორად იარეს და რამდენად დაიმსახურეს ქართველი ხალხის ნდობა და პატივისცემა. დღეს მაგისი დრო არ არის, დღეს ჩვენ ბრძოლაში ვართ, დღეს ვდგავართ გადამწყვეტი ბრძოლის წინ. ერთხელ და სამუდამოდ ხერხემალში უნდა გადავტეხოთ ბოროტება საქართველოს ტერიტორიაზე, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სამშობლოში, რა მფარველებიც და მხარდამჭერებიც არ უნდა ჰყავდეს ამ ბოროტებას, გინდა მოსკოვში და გინდაც ვაშინგტონში.

***— მიუხედავად იმისა, რომ რვიანის მოლაპარაკებებმა სერიოზული მარცხი განიცადა, ისინი მაინც უნდობლად უყურებენ საპროტესტო აქციებს და აცხადებენ, რომ სერიოზულ მარცხს განიცდის ეს მოძრაობაო...***

— საკუთარი მარცხით გაწბილებულები, ვფიქრობ, რომ მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ, როდესაც შენ რწმუნდები, რომ არანაირი საარჩევნო გარემოს შეცვლას არ აპირებს და მე მას უკვე სამი წლის განმავლობაში ვეუბნები მათ. ამ რვიანში უამრავი ჩემი მეგობარი და ჩემი ძმა არის ბოლოს და ბოლოს. ძალიან პატივცემული ხალხი, გინდა რესპუბლიკური პარტიიდან და გინდა სხვა პარტიებიდან, ვისაც ძალიან დიდ პატივს ვცემ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემზე უკეთესი პოლიტიკოსები არიან და იყვნენ ყოველთვის, მაგრამ დგება მომენტი, როდესაც ეს გვერდზე უნდა გადაიდოს და დემაგოგია, პოლიტიკური, უნდა დამთავრდეს. თუ შენ იმის თავი არა გაქვს, რომ აღიარო, არავითარი შედეგი შენმა მცდელობებმა არ გამოიღო, მაშინ აცალე სხვებს და თუ მაგის უნარიც არა გაქვს, მაშინ მაგას მაინც მიხვდი, შენს პოზიციას საერთაშორისო ასპარეზზე; მათ ძალიან უნდათ, რომ ბრძენ და ცივილიზებულ პოლიტიკოსებად გამოჩდნენ დასავლეთის და ვაშინგტონის თვალში, მაშინ იმის უნარი მაინც ჰქონდეთ, რომ შენი მეგობრული ბანაკის ძალისხმევა და მათი გზა, რომელიც პირდაპირ ამ ბოროტებასთან დაპირისპირებაზე მიდის, ეს საშენოდ და საქვეყნოდ გამოიყენო, იმიტომ, რომ თუ არ იქნება იქ შედეგი, მაშინ შედეგი იქნება ისეთი, რა გზითაც ჩვენ მივდივართ. სამწუხაროდ, მაგის უნარიც არ ყოფნით და ერთადერთი, რაც დარჩენიათ, ეს ქილიკი და გაუთავებელი ლაპარაკია. უნდა დავანებოთ ამ ქილიკს და ერთმანეთის მარცხზე ლაპარაკს თავი იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ყველა შემთხვევაში გაიმარჯვებს და ეს წინასწარმეტყველები, რომლებიც გაუთავებლად წარუმატებლობას წინასწარმეტყველებენ, ვფიქრობ, რომ დარჩებიან პოლიტიკურ ასპარეზს მიღმა, იმიტომ, რომ არც გაჭირვების ჟამს, არც დალხინების ჟამს მათი ნათქვამი არ იყო სიმართლესთან და რეალობასთან ახლოს. უნდათ ილუზიაში ცხოვრება და უნდათ პოლიტიკანობის თამაში? ითამაშონ, ეს მათი ნებაა. სხვა საქმეა, ქართველი ხალხი რა მდგომარეობაშია და რამდენად აქვს შესაძლებლობა, რომ ამ პოლიტიკურ სპექტაკლებს უყუროს, მაშინ, როდესაც პრაქტიკულად ერი შიმშილით კვდება, განსაკუთრებით დევნილები და მე მოვუწოდე კიდეც მათ, რომ აქცია წამოიწყონ, ყვითელი ვარსკვლავები გაიკეთონ, იმიტომ, რომ ზუსტად ისე ექცევა სააკაშვილის ეს ბოროტი რეჟიმი ქართველ დევნილებს, როგორც ფაშისტები ექცეოდნენ ებრაელებს მეორე მსოფლიო ომის დროს. არაფრით გამორჩეული ეს მოქმედება არ არის, უბრალოდ, ცოცხლად არ წვავენ, მაგრამ შიმშილით კლავენ, რა მნიშვნელობა აქვს. ამიტომ დაანებონ ამას თავი და მოკიდონ კომბლებს ხელი, თუ რამის თავი აქვთ. გამოვიდნენ ქუჩაში. თეთრი პერანგებით, მერსედესებით და ჯიპებით სიარული და ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი და ვაშინგტონში სირბილი ძალიან კარგია, მაგრამ ქუჩაში უნდა ირბინო და შენი ხალხი უნდა ნახო, რა დღეშია. აბა, ჩავიდნენ ერთი იმ ქვესკნელში, რომელშიც გადაისროლეს სააკაშვილებმა ქართველი დევნილები და ნახონ ერთი, რას ჭამენ და რით ცხოვრებენ და თუ მაშინ იფიქრებ, რომ დრო არის პოლიტიკური დემაგოგიისთვის, გააგრძელე ეს დემაგოგია.

***— ქართულ პარტიას რაც შეეხება, თქვენ მეგობრები გყავთ ქართულ პარტიაში. ბოლო რამდენიმე დღეა გაუთავებლად საუბრობენ იმის შესახებ, რომ ქართული პარტიიდან მიდის როგორც კოკა გუნცაძე, ასევე ლევან გაჩეჩილაძეო, თქვენ თუ გსმენიათ რამე ამის შესახებ?***

— ეს სრული სიცრუეა, ისინი არსად წასვლას არ აპირებენ. ლევან გაჩეჩილაძე 9 მაისს ხელმძღვანელობდა სოზარ სუბართან ერთად აქციებს კახეთში და რანაირად მიდის?! რაც შეეხება კოკა გუნცაძეს, კოკა გუნცაძე საორგანიზაციო ნაწილს ხელმძღვანელობდა ყოველთვის ყველგან. იქ ყველას თავისი საქმე აქვს და ყველა თავის საქმეს აკეთებს. იმის მიხედვით თუ როგორ იქნება ორგანიზებული ქართული პარტიის გამოსვლები და ქართული პარტიის მოქმედება, შემდეგ შეიძლება იმის განსჯა, რამდენად სასარგებლო ფიგურა არის კოკა გუნცაძე ნებისმიერ პოლიტიკურ გუნდში. არ არის აუცილებელი, რომ მაინცდამაინც მიკროფონთან იდგე, ყველა მიკროფონთან ვერ დადგება.

***— თქვენ თუ აპირებთ ჩამოსვლას და ამ პროცესებში მონაწილეობის მიღებას?***

— ყოველ მიზეზს გარეშე. როგორც კი ქართველი ხალხი ქუჩაში გამოვა და თავის ნებას გამოაცხადებს, მეც მანდ ვიქნები.

## ნინო ბურჯანაძე: ოქრუაშვილის განცხადებები სააკაშვილის გეგმის ნაწილია



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებები, რომელიც აშშ-ს ხელისუფლების კრიტიკას შეიცავდა, მიხეილ სააკაშვილის გეგმის ნაწილია.

— ჩვენი სამშობლო მხოლოდ მაშინ იქნება ძლიერი, მაშინ ვიქნებით რეალურად თავისუფლები, დამოუკიდებელნი და დემოკრატიულნი, როდესაც ჩვენ თვითონ მოვაგვარებთ ჩვენს პრობლემებს და არ დავიწყებთ მათი სათავეების ძებნას არც მტრებთან და არც მოყვარეებთან, — აცხადებს ბურჯანაძე.

მისი თქმით, გუშინწინდელმა განცხადებებმა, სამწუხაროდ, დაადასტურა მათი საფუძვლიანი ეჭვი და ნიღაბი ჩამოხსნა „ქართულ პარტიასა“ და მის ლიდერებს.

— გუშინწინ ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ „ქართული პარტია“ თამაშობს სააკაშვილის თამაშს. ფსევდოოპოზიციის მთავარი მიზანია, დააბნიოს ხალხი, გაუგებრობა და უიმედობა შეიტანოს ხალხში. ეს არის სახალხო კრების„ წინააღმდეგ სააკაშვილის რეჟიმის ბრძოლის ერთ-ერთი სერიოზული ნაწილი, — აღნიშნავს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი. **ინტერპრესნიუსი**

## აშშ-ს საელჩო „ქართული პარტიის“ მიერ დაგეგმილ აქციას ეხმაურება

აშშ-ს საელჩო საქართველოში „ქართული პარტიის“ მიერ საელჩოსთან 16 მაისისთვის დაგეგმილ აქციას ეხმაურება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საელჩოში განუცხადეს, მშვიდობიანი აქციების გამართვა დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, მსგავსი ტიპის აქცია გამართოს.

ამასთან, ცნობილი გახდა, რომ აშშ-ს ელჩი საქართველოში არ იმყოფება. ჯონ ბასი თბილისში 13 მაისს დაბრუნდება.

„ქართული პარტიის“ საპროტესტო აქცია აშშ-ს საელჩოსთან 16 მაისს, 14:00 საათზეა დაგეგმილი.

აქცია პარტიის თანათავმჯდომარემ, ირაკლი ოქრუაშვილმა გუშინ პარიზიდან დააანონსა. ოქრუაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში აშშ-ს ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკა და განაცხადა, რომ დასავლეთი სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერით საქართველოში დემოკრატიას ასამარებს.

— ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმები და ერთ-ერთი მათგანი მდგომარეობს სათავესთან მისვლაში და ონკანის გადაკეტვაში. ეს ონკანი მდებარეობს დილომში, აშშ-ის საელჩოში, საიდანაც მოდის ის ნიაღვარი, რომლითაც იწამლება ქართული საზოგადოება, — თქვა ოქრუაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოს ელჩი ინგილოებს თურქულად ელაპარაკება

**თბილისი-ბაქოს ურთიერთობებში არის თემები, რომლებიც ჩრდილს აყენებენ სტრატეგიულ მეგობრობას. საინგილოში ქართველებს ქართული სახელების დარქმევას დღემდე უკრძალავენ. ამაზე ხმის ამომღები არავინაა. სირაქლემას პოზაში ყოფნა კი ქვეყნის იმიჯს კარგს არაფერს მოუტანს.**

მერაბ ქევხიშვილი

ასეთი დამოკიდებულების გამო, საინგილოს ქართველებს შთაბეჭდილება ექმნებათ, რომ ისინი ნავთობგაზის ინტერესებზე არიან გაცვლილნი. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას მდგომარეობა, როდესაც ექვსი-შვიდი წლის ბავშვებს სახელები დღემდე არ აქვთ და ამის გამო ვერც სკოლაში მიდიან. სკოლას რაც შეეხება, ქართული სექტორები მუდმივი ზეწოლის და დახურვის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან.

ადგილობრივ ადმინისტრაციას



ერთი მთავარი მიზანი ამოძრავებს — საინგილოში ქართული სკოლა არ უნდა იყოს! პედაგოგები ათწლეულების მანძილზე ხმალამოღებული იბრძვიან სკოლის შენარჩუნებისთვის. რადგან იმ სოფლებში, სადაც თავის დროზე ქართული სკოლები დაიხურა, დღეს აზერბაიჯანულად საუბრობენ. იქ ქართულად მხოლოდ მოხუცებილა მეტყველებენ.

ასეთ დამოკიდებულებას თუ მეგობრობა ჰქვია, მაშინ იქნებ ვინმემ მტრობის შინაარსიც ახსნას. ეს მაშინ, როდესაც საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, ენის, ნაციონალური კულტურის განვითარებისთვის ყველანაირი შესაძლებლობა აქვთ. ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ ქართულ ადმინისტრაციას აზერბაიჯანული სკოლისთვის რაიმე ტიპის პრობლემა შეექმნა.

საინგილოში კი შევიწროების, ჩაგვრის ყველანაირი მეთოდი დაშვებულია. თან ამას „კანონის სახელით" აკეთებენ. კერძოდ, საჯარო რეესტრს მიღებული აქვს კანონი, რომლის თანახმადაც ბავშვებისთვის უცხო სახელების დარქმევა აკრძალულია. თუმცა, ყოვლად გაუგებარია, ინგილოსთვის ქართული სახელი უცხოდ რატომ არის მიჩნეული.

ასეთი დამოკიდებულების გამო, ქართული სექტორები მუდმივი დახურვის საფრთხის წინაშე დგანან. ინგილოებმა აზერბაიჯანის და საქართველოს ხელისუფლებებს არაერთხელ სთხოვეს, რომ ამ პრობლემებში გარკვეულიყვნენ და სათანადო გადაწყვეტილებებიც მიეღოთ. ბაქოში არსებულ პრობლემებს უარყოფენ, ხოლო თბილისში ვიღაცებს სირაქლემას პოზაში ყოფნა გაუტკბათ.

ბაქოში საქართველოს საელჩო, მთელ ამ პრობლემატიკაში მეტნაკლებად გარკვეულია. მათ მოეთხოვებათ კიდევაც ადგილობრივი ქართველების ინტერსების დაცვა. თუმცა, რეალობა სულ სხვაზე მეტყველებს.

კერძოდ, ამა წლის 18 აპრილს ზაქათალის რაიონის დაბა ალიაბადში, საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში ბატონი თეიმურაზ შარაშენიძე და მისი მოადგილე ბატონი გელა გიორგაძე ჩავიდნენ. მოსახლეობას უამრავი პრობლემა აქვს და ელჩის ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ. უკვე წლებია ითხოვენ სოფელში ქართული ბაღისა და ქართული სკოლის გახსნას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმის უფლებაც კი არ აქვთ, ბავშვებს ქართული სახელები დავარქვათ.

თუმცა, სჯობს უშუალოდ ადგილობრივ ქართველებს მოვუსმინოთ:

— ქართული სახელების დარქმევა ბავშვებისთვის 1996 წლიდან აგვიკრძალეს(!). აღარაფერს ვამბობთ გვარზე, რომელიც თავის დროზე იძულებით შეგვიცვალეს. უკვე ათეული წლებია ძველი გვარების აღდგენას ვითხოვთ, მაგრამ ამაოდ. თუკი აზერბაიჯანელები საქართველოში სასულიერო ცენტრებს აშენებენ, ჩვენთვის ერთი ეკლესიის აშენებაც კი დიდი პრობლემაა. თანადგომას საქართველოს ხელისუფლებისაგან ველოდებით, იქნებ დაგვეხმარონ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველთვის იმედგაცრუებული ვრჩებით. ნუთუ არ არსებობს თქვენში ისეთი ადამიანი, რომელსაც ჩვენზე გული შესტკივა?

ერთი სიტყვით, ელჩი გვეწვია, მაგრამ მისი სტუმრობით დღემდე შოკირებული ვართ. არ გვეგონა, თუ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში ამისთანა პირები მუშაობდნენ. ჩამოვიდა ჩვენი ელჩი ნასვამი დღის 16 საათზე, მაშინ, როცა სასწავლო პროცესი კარგა ხნის დასრულებული იყო. შეხვედრა სკოლის დირექტორის კაბინეტში შედგა. მხოლოდ ოთხი კაცი მოხვდა შეხვედრაზე, სხვები არ შეუშვეს. იმ ოთხ კაცს შორის ერთ-ერთი მშობელი იყო, რომლის 7 წლის შვილს ქართული სახელის გამო დაბადების მოწმობას არ აძლევენ(!). ჩვენმა ელჩმა ჰკითხა, რა გვარის ხარო. მან დაუსახელა ძირძველი ქართული გვარი და ახლანდელი, აზერბაიჯანული. ელჩმა ძალიან მარტივად გასცა პასუხი, რა მოხდა მერე, დაარქვი შენც აზერბაიჯანული სახელი და ამოიწურება ამით პრობლემაო. შარაშენიძემ განგვიცხადა, აზერბაიჯანში კანონი კრძალავს ბავშვებისთვის უცხოური სახელების დარქმევას და ჩვენ კანონის წინააღმდეგ ვერ წავალთო. არადა, აზერბაიჯანი ევროსაბჭოს წევრი ქვეყანაა და ასეთ კანონს ვერ მიიღებს. ამას მოჰყვა საუბარი პატრიოტიზმზე. ვუთხარით, ჩვენ ქართველები ვართ, ქართულად ვლაპარაკობთ და გვინდა ჩვენს შვილებს ქართული სახელები ერქვას-მეთქი.

ელჩმა კიდევ — თქვენ თუ ქართულად ლაპარაკობთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველები ხართ, ბოლოს და ბოლოს, გვარები აზერბაიჯანული გაქვთო! თუ ქართველები არა ვართ, მაშ, ეს ენა ვინ მოგვცა, ან ქართული ენა არაფერს ნიშნავს? სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, ქართულ ენაზე მეტყველება არაფერს ნიშნავსო. ენა არაფერს ნიშნავს? ენა, რომელიც დიდი ტანჯვა-წამებით, აბუჩად აგდებისა და უდიდესი ზეწოლის მიუხედავად შევინარჩუნეთ, თურმე არაფერს ნიშნავს! ამდენ დამცირებას სწორედ ენის გამო ვიტანდით. მაშ, გიჟები ვყოფილვართ! მისთვის შეიძლება მართლაც არაფერს ნიშნავს ქართული ენა, რადგან საინგილოში ჩამოსული ელჩი ქართულად ნათქვამ ქართულ გულის ტკივილზე თურქულად გვპასუხობდა.

იქნებ ვინმემ აგვიხსნას, რა იყო მისი ჩამოსვლის მიზანი, ის, რომ აზერბაიჯანელების წინაშე დავემცირებინეთ (ამ შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ)? აზერბაიჯანულ-

გაგრ□ელება მე-10 გვერდზე

# კავკასიაში რუსეთის პოზიციების შესუსტება საქართველოზეა დამოკიდებული

## გაუ ლებს თუ არა თბილისი მოსკოვის წნეხს

თეა მარხვაი ე

ოფიციალური ბაქო ამ შეფასებებს არ ეთანხმება. აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ასეთი განცხადებები საქართველოს და აზერბაიჯანის მეგობრობაზე გავლენას ვერ მოახდენს.

ამის პარალელურად აზერბაიჯანელი პოლიტიკოსები თბილისისა და ერევნის დაახლოების გამო შეშფოთებას გამოთქვამენ. ბოლო დროს გაკეთებული განცხადებების თანახმად საქართველო და სომხეთი მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობას აპირებენ. აზერბაიჯანელი დეპუტატების ნაწილი უკვე ერთი თვეა აქტიურად ამტკიცებს, რომ საქართველოს ჯავახეთში სომხეთის მხრიდან პრობლემები შეექმნება. ამტკიცებენ, რომ აქაც იგივე მოხდება, რაც მთიან ყარაბაღში.

ამ მოსაზრებებს ქართველი ექსპერტები და პოლიტიკოსები არ ეთანხმებიან. მათი თქმით, საქართველოსა და სომხეთის მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა აზერბაიჯანის ინტერესებში შედის.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე მიიჩნევს, რომ თუ საქართველომ ბოლომდე გამოიჩინა პრინციპულობა, რუსეთის პოზიციები კავკასიაში შესუსტდება. და შესაბამისად აღარც სომხეთის პოზიცია იქნება აზერბაიჯანთან მიმართებაში ასეთი ხისტი.

რატომ არის მნიშვნელოვანი რუსეთთან ხელშეკრულების შეწყვეტა, როგორ უნდა ვაიძულოთ რუსეთი წავიდეს კავკასიიდან, ამ თემებზე გიორგი თავდგირიძე „ახალ თაობას" ესაუბრება.

**გიორგი თავდგირიძე:**

— ჯერჯერობით რა მონაცემებიც გვაქვს, იმის მიხედვით საბოლოო დასკვნის დადება რთულია. თუმცა, არის საინტერესო ფაქტებიც. პირველი, ეს არის საქართველოს გადაწყვეტილება, გამოვიდეს იმ ხელშეკრულებიდან, რომელიც რუსეთთან გვაქვს გაფორმებული. საუბარია სამხედრო ტვირთების გადაადგილების შესახებ. შესაბამისად რუსეთი ველარ მოამარაგებს თავის სამხედრო ბაზას გიუმრში. ან თუ მოამარაგებს, ეს ძალიან ძვირი დაუჯდება. ამ ხელშეკრულებიდან გამოსვლას წინ უძღოდა სომხეთში საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბაჩო ახალაიას ვიზიტი. ამ ვიზიტის დროს ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებები გაკეთდა.

***— რომელი განცხადებები გაქვთ მხედველობაში?***

— განცხადება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ბაჩო ახალაიამ მათ შესთავაზა საქართველოსთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა.

***— რა გულისხმობს ეს თანამშრომლობა?***

— ბევრ რამეს გულისხმობს. საქართველომ მათ შესთავაზა სომხური არმიის გაწვრთნა იმ სამთო ბაზაზე, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლება სწორად მოიქცა.

***— რაკი სომხეთს ასეთი წინადადება შესთავაზა?***

— არა მარტო ამიტომ. ჩვენმა ხელისუფლებამ რუსეთისთვის ხელშეკრულების შეჩერებამდე სომხეთთან შეაჩერა პოზიციები. ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, რადგანაც რუსული სამხედრო ბაზა სომხეთში მდებარეობს.

***— რა შედეგით დასრულდება რუსეთისთვის ამ ხელშეკრულების შეჩერება, რუსეთი ამას შეეგუება?***

— რუსეთი ამას ასე იოლად არ შეეგუება. მისთვის გიუმრის სამხედრო ბაზას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მას გიუმრის ბაზის შენახვა და მომარაგება ძვირი დაუჯდება.

***— აქედან გამომდინარე რუსეთი ალბათ ეცდება ისევ აღდგეს ეს ხელშეკრულება. გაუძლებს საქართველო რუსეთის ზეწოლას?***

— თუ შედეგის მიღწევა გვინდა, რუსეთის ზეწოლას უნდა გავუძლოთ. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა

**საქართველოს თავს ხელისუფლების წყალობით ბევრი უცნაურობა ხდება. აზერბაიჯანულ მედიაში ერთი ამბებია ატეხილი. პოლიტოლოგები ირწმუნებიან, რომ თბილისი ბაქოში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს. დასახელებულია გადატრიალების ქართველი ბელადიც.**



განვაახლოთ ეს შეთანხმება. თუ ჩვენ პრინციპულები ვიქნებით, რუსეთი უეჭველად დასუსტდება სომხეთში. რადგანაც სამხედრო ბაზის შენახვა გაუჭირდება. სამხედრო ბაზა კი სომხეთში მიმდინარე პროცესებში ჩარევის მთავარი საყრდენია.

***— ამ ბაზის მეშვეობით აკონტროლებს რუსეთი სომხეთს?***

— რუსეთს დღეს სომხეთში მყარად აქვს ფეხი მოკიდებული. იქ მიმდინარე პროცესების გაკონტროლება სწორედ გიუმრის რუსული სამხედრო ბაზის მეშვეობით ხდება. სომხეთს აზერბაიჯანთან ასეთი ხისტი პოლიტიკა რომ აქვს, ეს თავიდან ბოლომდე რუსეთის დამსახურებაა. ერევანი ასე მოსკოვის წაქეზებით იქცევა. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია სომხეთის გამოსვლა რუსეთის გავლენიდან. ამით ეს ქვეყანა ბევრ სარგებელს მიიღებს. კერძოდ, მოხდება მისი ინტეგრირება ერთიან კავკასიურ სივრცეში. ამასთან, აზერბაიჯანთან მოლაპარაკებები იქნება წარმატებული.

***— რუსეთის გავლენის გამოსვლის შემთხვევაში ფიქრობთ, რომ სომხეთი აზერბაიჯანთან მთიან ყარაბაღზე მოილაპარაკებს? დათმობას არც ერთი მხარე არ აპირებს.***

— მოლაპარაკებები მარტივი არ იქნება, თუმცა რუსეთის გავლენა თუ არ იქნა, ბევრად მეტი წარმატების მიღწევა შეიძლება. როგორც უკვე გითხარით, სომხეთს ასეთი ხისტი პოზიცია რუსეთის წაქეზებით უკავია.

***— ბოლო დროს აზერბაიჯანში ანტიქართული განცხადებები კეთდება. რამ გამოიწვია ასეთი გაღიზიანება საქართველოს მიმართ. სომხეთთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობამ ხომ არა, თუ კიდევ რაიმე სხვა მიზეზებიც არსებობს.***

— ჩვენს სურვილს სომხეთთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობაზე აზერბაიჯანის გაღიზიანება არ გამოუწვევია. იქ საქართველოსთან დაკავშირებით უამრავი განცხადება კეთდება. ვისმენთ სხვადასხვა მოსაზრებებსა და ვარაუდებს, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქაც არიან პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები, რომლებიც რუსეთის ინტერესებს ემსახურებიან.

***— მიგაჩნიათ, რომ ეს განცხადებები რუსეთის დაკვეთით კეთდება?***

— ზოგს შეიძლება ასეთი შეხედულება მართლაც აქვს. ზოგი რუსეთის ინტერესებს ემსახურება, ზოგიც ფინანსური გამორჩენის მიზნით აკეთებს ასეთ განცხადებებს. მთავარი ისაა, რომ ასეთ განცხადებებს სერიოზულად არავინ აღიქვამს. განცხადებები ბოკერიას მიერ შეთქმულების მოწყობაზე არის ჰაერზე გაკეთებული. ის ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. სომხეთთან დაკავშირებით გატარებული ჩვენი პოლიტიკა ანტიაზერბაიჯანული სულაც არ არის. შეიძლება ითქვას, რომ საქმე პირიქითაა.

***— პირიქით, როგორ?***

— საქართველოს ნაბიჯები აზერბაიჯანისთვის უფრო სასარგებლოა, ვიდრე სომხეთისთვის, ანდა ჩვენთვის. საქართველოს გადაწყვეტილებით სომხეთში მდებარე გიუმრის ბაზის მომარაგება გართულდება. სწორედ ამ რუსული ბაზიდან გამომდინარე აკეთებდა სომხეთი ხისტ განცხადებებს. ასეთი ხისტი პოზიცია რუსეთის ინტერესებში შედის. ახლა ბევრი რამეა საქართველოზე დამოკიდებული. საქართველომ დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

***— ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ სომხეთი ავღანეთში თავისი სამშვიდობო კონტინგენტის გასამმაგებას აპირებს. რას უკავშირდება ეს გადაწყვეტილება? შემთხვევით სომხეთი ჩვენ ხომ არ გვბაძავს.***

— სომხეთი არის ქვეყანა, რომელსაც სურს განვითარება. უნდა, რომ მისი ეკონომიკა ფეხზე დადგეს. ეს ქვეყანა დღეს ფაქტიურად იზოლირებულია. ის არ მონაწილეიბს არც ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროექტში, რომელიც კავკასიაში ხორციელდება. შესაბამისად ვერ იღებენ საჭირო რესურსებს სახელმწიფოს განვითარებისთვის. მან რუსეთის დახმარებით შეინარჩუნა ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ აზერბაიჯანული ტერიტორიები. ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ეს ტერიტორიები სომხეთისთვის არაფერს წარმოადგენს. პოლიტიკური ელიტა უნდა შეეცადოს, რომ კავკასიაში განხორციელებულ ეკონომიკურ პროექტებში მოხდეს სომხეთის ინტეგრირება. ამიტომ მგონია, რომ ავღანეთში სამშვიდობო კონტინგენტის გასამმაგება მიმბაძველობა არ არის. ამასთან, ერევანის ნაბიჯები იქითკენაც არის გადადგმული, რომ ქვეყანამ რამენაირად დააღწიოს თავი იზოლაციას. ავღანეთში კონტინგენტის გაზრდა სიმბოლურია, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ნატოსთან მისი დაახლოება ხდება. სომხეთი მონაწილეობს პროგრამაში პარტნიორობა მშვიდობისათვის.

***— ამის მიუხედავად სომხეთს არ გამოუთქვამს ნატოში გაწევრიანების სურვილი?***

— არ გამოვრიცხავ, რომ ერთ დღეს სომხეთის ხელისუფლებამ ასეთი განცხადება გააკეთოს. დღეს იქ რუსული გავლენა ძალიან ძლიერია. ამის მიუხედავად, ისინი მაინც ახერხებენ სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას. ჩვენ კარგად არ ვიცით, სომხეთში რა შიდა პროცესები მიმდინარეობს. მაგრამ საზოგადოებას აქვს მოთხოვნა, რომ ქვეყანა დასავლეთზე იყოს ორიენტირებული. არა იმიტომ, რომ სიმბოლურია. დასავლეთთან ურთიერთობა ნიშნავს ეკონომიკის აყვავებას.

***— ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კარგავს თუ არა რუსეთი ამიერკავკასიას?***

— რუსეთი ამ რეგიონში ჯერჯერობით მყარად გრძნობს თავს. ყველაფერი მიდის ინერციით. ეს რუსეთის მწირი რესურსების ბრალია და არა ჩვენ მიერ გატარებული პოლიტიკის. საქართველოს შეუძლია უფრო სერიოზული პოლიტიკა გაატაროს. ახლა საქართველოს სიმტკიცეზეა დამოკიდებული, როგორი იქნება რუსეთ-სომხეთის კავშირი. ჩვენ თუ სიმტკიცეს გამოვიჩენთ, რუსეთს ადრე თუ გვიან მოუწევს ამიერკავკასიის დათმობა.

# თავისუფალი აზრის სახლში ჟიული შარტავა გაიხსენეს

**თავისუფალი აზრის სახლში ჟიული შარტავას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. თავისუფალი აზრის სახლში სხვა დარბაზებთან ერთად, ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას სახელობის გმირთა დარბაზი.**



ნათია ხურცილავა

დარბაზის თემა იყო „ორი თაობის ჟიული შარტავა“, „სიცოცხლე გრძელდება“. როგორც ორგანიზატორებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, მათი მიზანი იყო თავი მოეყარათ ჟიული შარტავას მეგობრებს, თანამოაზრეებს და ასევე შეხვედროდნენ უმცროსი ჟიული შარტავს თაობას.

როგორც ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გვითხრა, 1993 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ჟიული შარტავა წერდა: „სანამ ცოცხლები ვართ ერთად მოვახმაროთ საქართველოს ჩვენი მკლავი და ჩვენი უნარი. ნუ ჩავტეხთ ხიდს ერთმანეთს შორის, ამ ხიდზე ჩვენთან ერთად ჩვენი შთამომავლობა დგას. დგას საქართველოს ხვალინდელი დღე და საქართველომ 21-ე საუკუნეში უნდა შეაბიჯოს და გაიაროს მესამე ათასწლეული ამ ხიდითაც, ერთად ვიზრუნოთ საამისოდ.“

— დიახ, ჩვენ თავისუფალი სახლის მესვეურნი ამ სურვილს ხორცს შევასხამთ და ერთად ვიზრუნებთ თაობათა ხიდჩატეხილობის პრობლემაზე. ყველამ კარგად იცით, რომ არსებობდა ჟიული შარტავს საქველმოქმედო ფონდი, რომლის პრეზიდენტი იყო ბატონი რობერტ ღარიბაშვილი, რომელმაც უანგარო შრომა გასწია იმისთვის, რომ ბატონ ჟიული შარტავს მისთვის კუთვნილი, ღირსეული ადგილი დაეჭირა საქართველოს უახლეს ისტორიაში. ბატონმა რობერტმა ეს შეძლო. სამწუხაროდ, ბატონი რობერტი დღეს ცოცხალთა შორის აღარ არის, მაგრამ მე მჯერა, რომ ის ზეციურ საქართველოში შეხვდებოდა თავის მეგობარს, ღირსეულ თანამებრძოლს, თანამოაზრეს ბატონ ჟიული შარტავას და მჯერა, რომ იქიდან ლოცულობენ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის.

ჩვენი, ყველას ვალია ჟიული შარტავას სახელობის გმირთა დარბაზი ცოცხალი ორგანიზმი იყოს. ხშირად შევიკრიბოთ მათი თანამოაზრეები და ახალგაზრდა თაობები, რომ ღირსეულად ვემსახუროთ ხიდჩაუტეხლობის იდეას. მარად უნდა ისმოდეს იმ დიდი მამულიშვილების არდავიწყება, რომელთაც საქართველოს ტკივილი თან წაიღეს. დიდება მათ ხსოვნას, მათ ბიოგრაფიას, მათ განვლილ ღირსეულ ცხოვრებას. მოვეფეროთ მათ შთამომავლობას და არ დავივიწყოთ. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენმა მეგობრებმა, რომლებმაც კაცური კვალი დატოვეს, მათი შთამომავლებიც არანაკლებ ღირსეულ კვალს დატოვებენ. — განაცხადა თავის გამოსვლაში საღამოს ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

# კახი კალაძის საქმეზე დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას ითხოვენ

პარტია „თავისუფალი საქართველო“ ფეხბურთელ კახი კალაძისთვის ქონების ჩამორთმევის საკითხს ბიზნესმენების დატერორების მცდელობად მიიჩნევს და აღნიშულ საქმეზე დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას ითხოვს.



როგორც გუშინ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრმა მიმი გაბრიჩიძემ განაცხადა, ხელისუფლება აქტიურად განაგრძობს ანგარიშწორებას იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც აქვთ განსხვავებული პოზიცია და საჯაროდ ლაპარაკობენ ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებზე.

— მოვითხოვთ, ეკონომიკის სამინისტრომ გამოაქვეყნოს ყველა საჯარო ინფორმაცია და ის ხელშეკრულება, რომელიც სახელმწიფო პრივატიზაციას შეეხება და ხელშეკრულების თანახმად, თანხა ბოლომდე არ არის დაფარული, — განაცხადა გაბრიჩიძემ.

გარდა ამისა, „თავისუფალი საქართველო“ საკანონდებლო ინიციატივით მიმართავს პარლამენტს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომით გამოწვეულ ფორს მაჟორის დროს დაზარალებული ბიზნესმენებისთვის მოხდეს კანონით გადასახდელი თანხების გრაფიკის გადავადება.

— მივმართავთ სახალხო დამცველს, ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება და მიმართოს პროკურატურას, რათა შესწავლილ იქნას აღნიშნული საქმე, — დასძინა გაბრიჩიძემ.

საქმე ეხება თბილისში კახი კალაძის კუთვნილ მიწის ნაკვეთს „არსენალის მთას“, რომელიც კალაძემ სახელმწიფოსგან 2008 წელს 38 მილიონ დოლარად შეიძინა და თანხის მხოლოდ ნახევარი გადაიხადა.

„არსენალის მთაზე“ დაგეგმილი მშენებლობა ამ დრომდე შეჩერებულია. დარჩენილი თანხის დაფარვისა და ინვესტიციების გრაფიკის შესახებ მიწის მფლობელსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**მედიანიუსი**

# ძველბიჭობის ბოლო ბასტიონი საქართველოში მხოლოდ სკოლებში იყო დარჩენილი

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ქვეყანაში „ძველბიჭური“ მენტალიტეტისა და „ქუჩური გარჩევების“ ბოლო ბასტიონი, მხოლოდ საშუალო სკოლებში იყო დარჩენილი.

როგორც პრეზიდნეტმა სერტიფიცირებულ პედაგოგებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, ეს პრობლემა მანდატურების დახმარებით აღმოიფხვრა.

— პირადად მე ხუთოსანი ვიყავი და სკოლა ოქროს მედლით დავამთვრე, მაგრამ, მაგალითად, ბიჭისთვის კარგად სწავლა მაშინ სირცხვილად ითვლებოდა. ეს „ძველბიჭური“, „ჩაცუცქული“ მენტალიტეტი, რომელსაც ხანდახან ქართულ პოლიტიკაშიც ვხედავ, ეს „ბირჟავიკები“, რომლებიც მთელი დღე ბირჟაზე დგანან, შემთხვევითი არ არის —- ასეთი იყო სოციალური ფონი და დაკვეთა საქართველოში. ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ დღეს ყოველი მესამე ბავშვი ოლიმპიადაში მონაწილეობს. საბჭოთა დროს მსგავსი მონაცემები არასდროს არ გვქონია. როდესაც მე გავდიოდი-ხოლმე ოლიმპიადებზე - ყველა ოლიმპიადაში ვიღებდი მონაწილეობას - ჩემი თანაკლასელები ცოტა ალმაცერად მიყურებდნენ. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ დღეს ჩვენთან არის მწვავე შეჯიბრი, ვინ მიიღებს უკეთეს ნიშნებს და ვინ რის გაკეთებას შეძლებს. ეს არის ჩვენი მომავლის მთავარი საწინდარი, — აღნიშნა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ მანდატურების ინსტიტუტმა სკოლებში დისციპლინა დააბრუნა.



— ჩვენ მოვახერხეთ და მანდატურების საშუალებით სკოლაში დავაბრუნეთ დისციპლინა. რა თქმა უნდა, ეს არ არის იდეალური ინსტიტუტი, უკეთესი იქნება რომ ყოველივე ეს ავტომატურად ხდებოდეს. ამ ელემენტის შემოტანა კარგი ცხოვრებით არ არის განპირობებული, მაგრამ თქვენ ძალიან კარგად იცით თუ რამ განაპირობა ეს - როგორ იქცეოდნენ მოსწავლეები, მასწავლებლებს სცემდნენ, მერხებს მეოთხე, მეხუთე სართულებიდან ყრიდნენ, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ზოგიერთი სკოლის წინ, როგორ ესროდნენ ფეხით მოსიარულე ხალხს საგნებს. ძველბიჭური“ მენტალიტეტისა და ქუჩური გარჩევების“ ბოლო ბასტიონი საქართველოში მხოლოდ სკოლებში იყო დარჩენილი, — განაცხადა სააკაშვილმა.

**მედიანიუსი**

# საქართველოს ელჩი ინგილოებს თურქულად ელაპარაკება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ქართული სკოლის შესასვლელში აზერბაიჯანულ წარწერასთან ერთად ჩვენი ელჩის ვიზიტამდე ქართული წარწერაც იყო და ელჩის საქციელით წახალისებულმა აზერბაიჯანელებმა მისი წასვლისთანავე ჩამოხსნეს!, — აცხადებენ საინგილოდან ჩამოსული ახალგაზრდები, რომლებიც გასაგები მიზეზების გამო საკუთარ სახელებს არ ასახელებენ.

მათი მონათხრობი გულგრილს ვერავის დატოვებს:

— ქართველებს ქართული სახელების ტარებაც აუკრძალეს. აზერბაიჯანში ბავშვი რომ დაიბადება, მშობელს წინ სიას უდებენ, საიდანაც უნდა აირჩიონ ახალშობილის სახელი (იქ კი მხოლოდ მუსლიმანური სახელებია). თუ უარს იტყვი, ბავშვის დაბადების მოწმობას არ მოგცემენ.

ჩვენს სოფელში ასეთი ბევრი ბავშვია, უკვე ექვსი წლისა შესრულდნენ და სკოლაში ვერ მიდიან. ისეთი პირობები შექმნეს, რომ მოსწავლეთა რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა. სექტემბრამდე დადიან ოჯახებში და მშობლებს „ურჩევენ“, ქართულ სკოლაში არ მიიყვანონ შვილი, თორემ პრობლემები შეექმნებათ. მაგალითად, სამსახურს ვერ იშოვიან, ხოლო ვინც მუშაობს, სამსახურიდან გაათავისუფლებენ. ამიტომაც იკლო ბავშვების ნაკადმა ქართულ სკოლებში. შვიდი-რვა ბავშვის გამო კლასს აღარ ხსნიან.

ჩვენს სოფელში (ალიაბათში) ბოლო ათ წელიწადში ოთხი ქართული სკოლიდან მხოლოდ ორი დარჩა, ერთში დაწყებითი კლასები აღარ არის. ბავშვები, რომელთაც დაბადების მოწმობები არა აქვთ, ბუნებრივია, განათლებას ვერ იღებენ. დიდი ხანია ამაზე წერილებს ვწერთ ხან ევროსაბჭოში, ხან ეუთოში, მაგრამ აზერბაიჯანელები თავიანთ საქმეს აკეთებენ, ქართველების გათათრების პოლიტიკა კვლავაც აქტუალურია.

ადრე საქართველოში ჩამოვდიოდით, აქ გვქონდა გამოყოფილი ლიმიტები. საქართველოში ვამთავრებდით უმაღლეს სასწავლებლებს. მართალია, უკან დაბრუნებულებს ქართული დიპლომები სახლში გვიწყვია, არაფერში გამოგვადგა, მაგრამ მაინც ვცდილობდით, არ დაგვეკარგა ქართველობა. ამაში სახელმწიფოც გვიწყობდა ხელს. სამწუხაროდ, ახლა შეღავათები გაუქმებული გვაქვს. სამაგიეროდ, ბაქოში შექმნეს ინგილოებისთვის საუკეთესო შეღავათიანი პირობები. ქართველ მშობლებს მასობრივად გადაჰყავთ ბავშვები აზერბაიჯანულ სექტორებზე, რათა აზერბაიჯანული წერა და ლაპარაკი ისწავლონ და უმაღლესი სასწავლებლისთვის მოემზადონ.

საქართველოში უამრავი მეჩეთი შენდება, უშლის ხელს ვინმე აზერბაიჯანელებს? იქ კი ახალი აღთქმა და ბიბლია რომ გიპოვონ, ციხე გარანტირებული გაქვს(!). აზერბაიჯანელ ჩინოვნიკებს რად უნდათ კანონი? ჩინოვნიკია? მორჩა, რაც უნდა, იმას გიზამს. როდესაც აზერბაიჯანის პრეზიდენტი ან დელეგაცია ჩამოდის საქართველოში, ათასობით აზერბაიჯანელი ხვდება აზერბაიჯანული დროშებით ხელში. ჩვენთან საქართველოს დროშა რომ გიპოვონ, ისეთ მუხლს მოგიყენებენ, ციხიდან ცხვირს ვერ გამოყოფ.

ერთხელ ჩემს ერთი წლის ბავშვთან ერთად ბაქოში ვიყავი. ბიჭს თავზე საქართველოს დროშის ბენდენა ჰქონდა წაკრული და ამისთვის დაგვაკავეს. ატყდა ერთი ამბავი, აქ რა გინდათ, ვინ ხართ, რისთვის ჩამოხვედითო. როგორ გაბედეთ და ბავშვს ბაქოში საქართველოს დროშის გამოსახულებიანი ბენდენა დააფარეთო. ალბათ, წარმოუდგენლად გეჩვენებათ ეს ამბები, მაგრამ ეს სამწუხარო და ძალიან მძიმე რეალობაა.

ჩემს სამ მეგობარს ქართული დროშა უპოვეს და სამივე დააპატიმრეს, ათდღიანი ადმინისტრაციული სასჯელი შეუფარდეს, რა თქმა უნდა, სხვა საბაბით. ან ხულიგნობას დაგწამებენ, ან ნარკოტიკით გამოგივსებენ ჯიბეებს, ან დილით ეზოში ძროხას დაგახვედრებენ და გეტყვიან, რომ მოიპარე!

ყველაზე გულსატკენი ის არის, როგორც იქცევიან თავად ქართველი ჩინოვნიკები. ნუთუ სახელმწიფოებრივი შეგნება არ გააჩნიათ? — კითხულობენ ინგილო ახალგაზრდები.

საქართველოს საელჩოს აზერბაიჯანში მეტად თავისებური ინტერპრეტაცია აქვს შექმნილი მდგომარეობის. ყოველკვირეულ „კვირის პალიტრას“ საელჩოს პირველმა მდივანმა, პრესატაშე კახა აბდალაძემ შემდეგი განუცხადა:

— ეტყობა, გაუგებრობა მოხდა. თეიმურაზ შარაშენიძე დიდი ხნის დიპლომატია, ბევრ ქვეყანაშია ნამუშევარი ელჩად. გეტყვით, რაც იყო: სრული სიმართლეა ის, რომ ვისაც აზერბაიჯანული გვარები აქვთ, ქართული სახელების დარქმევას უშლიან. მაგრამ ვისაც ქართული გვარები აქვთ, ვერ დაუშლიან. პრობლემა ის არის, რომ ინგილოები თვითიდენტიფიკაციას ვერ ახდენენ და როდესაც ჰკითხავ, ვინ ხარ, ქართველი თუ აზერბაიჯანელიო, გპასუხობენ, ინგილო ვარო. სია აქვთ იმ სახელების, რომლებიც აზერბაიჯანული გვარის მქონე ბავშვს უნდა დაერქვას.

საჯარო რეესტრს აქვს ასეთი კანონი. აი, ამაზე იყო ლაპარაკი სკოლაში, შეხვედრაზე. პირიქით, ელჩმა დაარიგა, ჯერ წინაპრების გვარი დაიბრუნეთ, მოახდინეთ თვითიდენტიფიკაცია, რომ ქართველები ხართ და მერე თუ დაგიშლიან ქართული სახელის დარქმევას, საელჩო რისთვის ვართო? ეტყობა, ვერ მიხვდნენ, რა უთხრა ელჩმა.

რამდენჯერმე ვუთხარით, რომ კოლექტიური წერილი დაწერონ, რათა მსვლელობა მივცეთ საქმეს. თუ არ დაგვიწერენ კოლექტიურ საჩივარს, ჩვენ ხელფეხშეკრულნი ვართ. გამოჩენის გვეშინიაო და ჩვენ რა ვქნათ?

ინგილოების პრობლემები ახალი არ არის, ამის გამო წერილიც მივწერეთ აზერბაიჯანის სახალხო დამცველს. კახში ბევრმა დაიბრუნა ძირძველი გვარი. ელჩი საგანგებოდ ჩავიდა ალიაბადში, რადგან იქ ყველაზე მძიმე პირობებია. ახლა კი ისე გამოდის, რომ არ უნდა ჩავიდეს?

რას ჰქვია, სკოლაში ქართულენოვანი წარწერა ჩამოხსნეს? ამასაც ელჩის ვიზიტს უკავშირებენ? საელჩოს გახსნის დღიდანვე ხმალამოღებული ვიბრძვით, რომ ქართველების უფლებები დავიცვათ და რა გამოდის?

ატაშეს ამ გამოსვლაზე საინგილოდან ჩამოსული ახალგაზრდები შემდეგ განმარტებას აკეთებენ:

— გონებრივ სისუსტეს არ ვუჩივით და კარგად ვხვდებით, ვინ რა თქვა. ჯერ ერთი, ელჩი ჩვენი პრობლემების მოსასმენად თუ მოდის, რატომ შედის აზერბაიჯანელი დირექტორის კაბინეტში და არ მოდის მაშინ, როცა მოსწავლეები და მასწავლებლები სკოლაში არიან? 4 საათზე დირექტორის კაბინეტში რა უნდა გაეგო, თანაც გვარიანად ნასვამს! ეს ყველამ იცის და ამას ვერ უარყოფს. გვარის დაბრუნებაზე ლაპარაკი სულ არ ყოფილა. ტყუილია ეგ! ენა არაფერს ნიშნავსო, ჩვენ კანონის წინააღმდეგ ვერ წავალთო, ეგ არ იყო, რომ გვეუბნებოდა? თურქულად რომ გველაპარაკებოდა, მაგაზეც უარს ამბობს?

ჯერ ერთი, ეროვნებაზე შეკითხვა არავის დაუსვამს, მაგრამ ინგილო რა, ქართველს არ ნიშნავს? დიახ, მე ვარ ინგილო და სუფთა ქართველი, რა, ეს ორი ცნება გამორიცხავს ერთმანეთს? ეს იგივეა, კახელს ჰკითხო, კახელი ხარ თუ ქართველიო. სიმართლე ის არის, რომ ქართველი მოსახლეობა ბენზინსა და ნავთში გაგვცვალეს!

აი, ასეთ სამწუხარო რეალობასთან გვაქვს საქმე. ფაქტია, რომ ჩანს აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს ზერელე დამოკიდებულება ინგილოების პრობლემების მიმართ. არსებული პრობლემების ადგილობრივი ქართველებისთვის გადაბრალება მთლად ვაჟკაცური და სახელმწიფოებრივი საქციელი არ უნდა იყოს. მეგობრობა ორმხრივი არსებობს და თუ თბილისში აზერბაიჯანის საელჩო ნებისმიერ საკითხზე ღიად საუბრობს და მოთხოვნების დაყენებასაც არ ერიდება, მაშინ ბაქოში ქართველებს რა მოუვიდათ?

ერთი რამ ცხადია, ჰერეთის ძირძველმა ქართველებმა შაჰ-აბას პირველი მოინელეს და დღესაც მშობლიურ ენაზე მეტყველებენ. ასწლეულების მანძილზე ღმერთების ენის სადარაჯოზე დგანან და იგი დღემდე უმწიკვლოდ მოიტანეს. ამ დროს დგება ეს ჩვენი „ელჩი“ და ქართული სექტორის პედაგოგებს აზერბაიჯანულზე კი არა, სულაც თურქულზე „ებაასება“.

— თეიმურაზ შარაშენიძე სჯობს იქამდე არ ჩამოვიდეს ჰერეთში, სანამ თბილისში არ დარწმუნდებიან მის ორგულობაში და სადმე არ მოისვრიან, როგორც „გამოცდილ დიპლომატს“. საქართველოს ხელისუფლებას კი ვთხოვთ, შეურაცხყოფას ნუ გვაყენებენ. ჩვენ არაფრის გვეშინია და ამის შემდეგაც ვიბრძოლებთ ელემენტარული უფლებების დაცვისთვის, — აცხადებენ ინგილოები.

მთავარი პრობლემა მაინც ადგილობრივი ქართველების წარმომავლობის ოფიციალურ აღიარებაშია. ამას კი სახელმწიფო დონეზე კოორდინირებული მუშაობა სჭირდება. არ შეიძლება ზედ ალაზნის პირზე მცხოვრებ ოცი ათასზე მეტ ქართველს მუდმივად გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდეს. სრული ასიმილაციის მცდელობა, ორი ქვეყნის სტრატეგიულ ურთიერთობებს სამომავლოდ კარგს არაფერს შემატებს, პირიქით. ამიტომაც, ორ მეგობარ ქვეყანას უნდა ჰქონდეს იმის ნება, რომ საინგილოს ქართველების ეროვნული ნიშნით აღიარება მოხდეს. ამის შემდეგ, მუდმივ გაუგებრობებსაც ალბათ ბოლო მოეღება.

ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველო და აზერბაიჯანი ევროპული ფასეულობებისკენ მიისწრაფვიან და სწორედ დემოკრატიულ განვითარებაზე გადის ამ პრობლემების გადაწყვეტის გზა. მაგრამ მანამდე ისე არ უნდა მოხდეს, რომ ისტორიულ ჰერეთში ქართულ ენაზე მოლაპარაკე აღარ დარჩეს. დღევანდელი პროცესები კი სწორედ იქით მიდის.

# სააკაშვილი მწვრთნელიც არის და მოთამაშეც

## რამდენი მილიონია გამოყოფილი საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად

გულიკო ბალა ე

**ინტერვიუ უზენაესი საბჭოს დეპუტატ თენგიზ დიხამინჯიასთან**

*— დღეს ოპოზიციურ სპექტრში ერთგვარი აურზაურია შექმნილი, ერთი ნაწილი საარჩევნო კოდექსისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ხელისუფლებასთან კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს აწარმოებს. მეორე ნაწილი რევოლუციებს აანონსებს. ნაწილი კიდევ რეგიონებში გაიხიზნა, ანუ ოპოზიციურ სპექტრში დაქსაქსულობაა. რას უნდა ველოდეთ?*

— კონსტრუქციული გზა არჩეული აქვს ე.წ. რვიანს. მათ უკან არიან პარტნიორი ძალები, რომლებიც წინა პლანზე არ ჩანან. ეს არის ერთი გზა, რომლის მიმდევრები აცხადებენ, რომ ყოველგვარი რევოლუცია და ქუჩის პროცესები იგნორირებული უნდა იქნას და მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით უნდა მოხდეს ცვლილებები. ხელისუფლება უნდა ვაიძულოთ დამობებზე წავიდეს. მეორე ბანაკი ამბობს, რომ ხელისუფლებასთან ლაპარაკი ზედმეტია. ეს მთავრობა არც ერთ ვარიანტში არ ჩაატარებს ობიექტურ და თავისუფალ არჩევნებს. ამიტომ საჭიროა ქუჩის აქციების თავისებური ეგზალტაცია. მოსახლეობის მაქსიმალური ნების დემონსტრაცია და ხელისუფლების იძულება, წავიდეს და შემდეგ სხვამ ჩაატაროს არჩევნები.

*— ე.წ. რვანთან დაკავშირებით თქვენ მათ უკან მდგომი ძალები ახსენეთ. ვინ არიან ისინი?*

— ვსაუბრობ „რვიანის" პარტნიორ ძალებზე. ასეთი ძალაა, მაგალითად, თორთლაძის პარტია, ედპ. ზოგიერთი მათ ერთკაციან პარტიებს უწოდებს. ისინი „რვიანს" არიან ამოფარებული. პრობლემა ისაა, რომ საუბედუროდ, საქართველოში ჩაკეტილი სისტემების ჩამოყალიბება მოხდა. ეს პროცესი გამჭვირვალე ნამდვილად არ არის. რა კრიტერიუმებით მოხდა წარმომადგენლების შერჩევა, რა ნიუანსები და კრიტერიუმები იყო, როდესაც „რვიანი" შეიქმნა, გაითვალისწინებენ თუ არა ისინი საზოგადოების სხვა წარმომადგენლების აზრს, გაურკვეველია. პოლიტიკური პარტიების დიფერენცირება ხდება. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ „რვიანის" ფორმატის წევრი არ არიან, მაგალითად, სახალხო ფრონტის (ნოდარ ნათაძის), სახალხო პარტიის (მამუკა გიორგაძის), მწვანეთა პარტიის (გიორგი გაჩეჩილაძის) წარმომადგენლები. ეს არის ხალხი, რომლებსაც დიდი რეპუტაცია გააჩნიათ თავიანთი ინტელექტუალური, სულიერი და ისტორიული საქმიანობით. რა ნიშნით მოხდა შერჩევა? გამჭირვალეობის ხარისხი როგორია? ბევრი კითხვა ჩნდება. „რვიანის" ფორმატში არასამთავრობოებიდან ზოგიერთი მონაწილეობს, მაგრამ რატომ არ არიან სხვები წარმოდგენილი, გაუგებარია. ეს საკითხი განვიხილეთ ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლეში", რომელსაც ბატონები იური ვაზაგაშვილი, ჯამბულ გამცემლიძე და სხვა შვილმკვდარი მამები და მასში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ. მათ საქმიანობას „მრგვალი მაგიდის" საქმიანობას ადარებდნენ დიალოგის აუცილებლობის კუთხით. მრგვალი მაგიდა „ახალგაზრდა ივერიელში" თითოეული დღის შეხვედრის ოქმს აქვეყნებდა. ის პროცესი საჯარო და გამჭვირვალე იყო. აბსოლუტურად მიღწევადი გახლდათ დაინტერესებული საზოგადოებისთვის იმ პროცესის ცოდნა, რაც მაშინ ხდებოდა. ქართველი საზოგადოება ეცნობოდა „მრგვალი მაგიდის" როგორც პოლიტიკურ პლატფორმას, ასევე ტაქტიკურსა და სტრატეგიულ გეგმებს. კომუნიკეებში ქვეყნდებოდა საბოლოო დადგენილებები, პროცესების, მოვლენებისა და ხედვების შეფასებები.

*— ფორუმი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან დიალოგის წინ აცხადებდა, იცოდნენ რა, რომ ხელისუფლება მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდა, არ წავიდოდა დათმობებზე, არ გააუმჯობესებდა საარჩევნო გარემოს, მაგრამ როგორც კი ეს დაფიქსირდებოდა, ისინი სხვა სამოქმედო გეგმას წარმოადგენდნენ. ხელისუფლება დღეს არაფერს თმობს...*

— არც დათმობს.

*— ხელისუფლება არ თმობს, ოპოზიური „რვიანი" კი ვერაფერს აკეთებს. რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?*

— სამწუხაროდ, დღევანდელი ვითარება ისეთია, რომ სააკაშვილი მწვრთნელიც არის და მოთამაშეც, ტაბლოც მისია, ჟიურიც, პრესაც, ოქმის გამფორმებლებიც და მაყურებლებიც, ვისაც უნდა შეუშვებს, ვინც არ მოსწონს, არ შეუშვებს. ამიტომ საჭიროა სხვა სცენარი, სხვა მოქმედება, სხვა ღირებულება. ჯერჯერობით, ვერ დავინახე ალტერნატიული პროექტი, რომელიც ხელისუფლებას ჩაწყობილ სცენარს აურევდა და კარგი გაგებით, გამოიწვევდა ხალხის ნების გათვალისწინებას. ჯერჯერობით, ეს არ ხდება სხვადასხვა მიზეზების გამო. „რვიანის" ფორმატში წარმოდგენილი სუბიექტები მოსული იყვნენ „გადაარჩინე სიცოცხლის" ოფისში. მათ თქვეს, რომ არ დაარღვევენ მოლაპარაკების სცენარს მთავრობასთან. მათ თქვეს, ჩვენ არ ვიქნებით ამრევები და დესტრუქციული ელემენტები, ჩვენ არ ჩავშლით მოლაპარაკებასო.

*— ჩაშლილი არ არის?*

— რა თქმა უნდა. მე სამი კვირის წინ გაკეთებულ განცხადებებზე ვსაუბრობ. მათ თქვეს, ხელისუფლებას არ მივცემთ ამის ფუფუნებას, რადგან შემდეგ ხელისუფლება დასავლეთთან იმართლებს თავს და ყველაფერს ოპოზიციას გადმოაბრალებს და დიალოგის ჩაშლაზე პასუხისმგებლობას ოპოზიციას დააკისრებს. შედეგად ხელისუფლებას ხელ-ფეხი გაეხსნება და რეჟიმი შენარჩუნდება. ახლა კი არის შანსი იმისა, რომ დასავლეთის ზეწოლით ეს რეჟიმი შევცვალოთ. „რვიანი" არის ერთიანი გუნდი, არც ერთი ჩვენთაგანი დამოუკიდებლად არ გამოვა, ხელისუფლებასთან ვაჭრობას ცალკე არ დაიწყებს. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ერთმანეთზე. ეს ჩემთვის პარადოქსალური გამონათქვამი იყო.

*— რატომ?*

— ყველაფრს რომ თავი დავანებოთ, ჭრელი გუნდია. აბსოლუტურად სულ სხვა ისტორიის, მსოფლმხედველობის, ფსიქოლოგიის, მენტალიტეტის, ფასეულობის მქონე ადამიანები არიან გაერთიანებული. მაგალითად, ქრისტიან-დემოკრატები და გუბაზ სანიკიძე და ფორუმი. ამ შემთხვევაში ერთიანობაზე ლაპარაკი უხერხულია, რადგან მაშინ საზოგადოებაში ისმება კითხვა, რა საერთო აქვს ეროვნულ ფორუმს ქრისტიან-დემოკრატებთან, რომელმაც პარლამენტში კონსტიტუციურ გადატრიალებას დაუჭირა მხარი. იმ დანაშაულებრივ, არალეგიტიმურ პარლამენტში, სადაც შენ არ შეხვედი, არ შევიდნენ მთელი რიგი პარტიები, ახლები, რესპუბლიკელები და სხვები, მოხდა კიდევ მორიგი კონსტიტუციური გადატრიალება და ქრისტიან- დემოკატებმა მხარი დაუჭირეს იმ ფაქტს, რომ უფლებამოსილება და ვადები გაუგრძელდა როგორც პრეზიდენტს, ისე პარლამენტს თითქმის ერთი წლით. ამის შემდეგ რომელ ერთიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, ანუ ამ შემთხვევაში ერთიანი ვერ იქნები. როდესაც იქ შეეკითხნენ, თუ თქვენ შორის ერთი-ორი კაცი აღმოჩნდა ისეთი, რომელიც ხელისუფლებასთან დიფერენცირებულად მოლაპარაკებას მოინდომებს და განხეთქილებას შეიტანს, რას იზამთო, გვიპასუხეს, ასეთი რაღაც იქ არ მოხდებაო. „რვიანის" პრეროგატივა არ უნდა იყოს მოლაპარაკებები. სანამ ხელისუფლებასთან ლაპარაკს დაიწყებდნენ, უნდა მოეწყოთ შეხვედრები ლეიბორისტებთან, სახალხო ფრონტთან, იგივე თუნდაც ნინო ბურჯანაძის პარტიასთან და უნივერსალურ კრიტერიუმებსა და პრინციპებზე ჩამოყალიბებულიყვნენ. უნდა დაედგინათ ზღვარი, რომლის შემდეგაც ხელისუფლებასთან ლაპარაკი აღარ გაგრძელდებოდა. სანამ ამ ფორმატით შეიკრიბებოდნენ, დათმობის ზღვარი მანამდე უნდა შერჩეულიყო და დადგენილიყო, რის შემდეგაც კითხვები აღარ დარჩებოდა. ახლა უამრავი კითხვაა. ლეიბორისტები იქნებიან, ბურჯანაძე, ქართული პარტია, უზანაესი საბჭო, საპარლამენტო ასამბლეა თუ ნებისმიერი დამოუკიდებელი მოაზროვნე ადამიანი, ყოველთვის ეჭვს შეიტანს მათ მიღებულ გადაწყვეტილებაში. ყოველთვის იქნება ეჭვი, რომ ეს მოლაპარაკება გამოყენებული იქნება ტრამპლინად მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის და „რვიანი" გარკვეულ დივიდენდებს ღებულობს. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ხიდია ჩატეხილი, როგორც ხალხსა და ხელისუფლებას, ასევე ხალხსა და ოპოზიციას შორის. ესენი ამას ვერ აცნობიერებენ. მთავარი პრობლემა დღეს ეს არის. პოლიტიკაში სხვა პრობლემა არ არსებობს. ეს ხიდი უნდა აღდგეს. ასეთი ბუნდოვანი, საეჭვო, გაორებული ცნობიერებით, ხალხსა და ოპოზიციას შორის ნდობასა და ხიდს ვერ აღადგენ. სანამ არ ჩამოყალიბდება სისტემა და მას არ მიეცემა ღირებულებითი ხასიათი, მანამდე იქნება უნიათო და მოღალატეობრივი ხასიათის მოლაპარაკებები.



*— საარჩევნო კოდექსზე შეთანხმება და ნორმალური საარჩევნო გარემოს შექმნაზე მოლაპარაკებებიც ხომ იმას ემსახურება, პარტიები თანაბარ პირობებში ჩადგნენ და თანაბარი შანსი მიეცეთ ხელისუფლებაში მოსასვლელად?*

— დიახ, ყველა უნდა იყოს თანაბარ პირობებში, დაახლოებით ისე, როგორც ეს 1990 წელს იყო. სხვათა შორის, არავინ მალავს, რომ ერთადერთი 1990 წელს ჩატარდა დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები.

*— ოპოზიციას საარჩევნო კანონის თავისი ვარიანტი არ უნდა ჰქონოდა შემუშავებული?*

— ფუნდამეტალურ საკითხებზე უნდა ყოფილიყო მოლაპარაკება და არა ნიუანსებზე. ნიუანსებზე ვერასოდეს შეთანხმდები. ოპოზიციამ განაცხადა, რომ არ დათმობს საარჩევნო სიებში მკვდარი სულები იყოს. მილიონამდე მკვდარი სული იყო შეტანილი სიებში. ამაზე მიდის დავა. გამოდის, აქამდე ჩატარებული ყველა არჩევნები ყალბი და არალეგიტიმური იყო.

*— თქვენ ამაში ეჭვი გეპარებათ?*

— არა, ეჭვი არ მეპარება. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა შევარდნაძის ინტერვიუები. ერთ-ერთ ინტერვიუში კორესპონდენტი შეეკითხა, თუ იცოდით, თქვენი ხელისუფლების მიერ არჩევნები რომ ყალბდებოდაო? შევარდნაძემ უპასუხა, მე მაგ საკითხებში არ ვმონაწილეობდი, ჟვანია, გოგორიშვილი და სხვები კურირებდნენ, კი ვიცოდი, რომ პატარას ეშმაკობდნენ, მაგრამ ამდენი ვერ წარმომედგინაო. ყოველგვარ ცინიზმს სცილდება ამ ტრაგედიისა და კრიმინალის იუმორისტულ პლანში გადატანა. კრიმინალია, როცა ხმას გპარავენ, ამის საფუძველზე თითქოს ქვეყანა იმართება და მახინჯ სისტემას იღებ, რომელიც მახინჯ ცნობიერებას ბადებს.

*— ასეთი კრიმინალური გზით შეკრებილი პარლამენტებია, რომ კონსტიტუციურ გადატრიალებებს აწყობენ.*

— საქართველოში კონსტიტუციური გადატრიალებების მთელი სერიები იყო. პერმანენტული გადატრიალებები ხდება, ამას ქვეყანა უძლებს და მოსახლეობა მშვიდად უყურებს. ამ სიტუაციას სჭირდება გამოსავლის პოვნა და გადატრიალებების შედეგების ლიკვიდაცია, პროცესებისადმი სწორი მიდგომა. ეს არის დაავადებული სხეული, რომელიც უნდა განიკურნოს.

*— ე.ი. ეს „რვიანი" ვერაფერს მიაღწევს ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ჩაკეტილ სისტემაში?*

— დიახ.

*— ხელისუფლებამ ამ ჩაკეტილ სისტემაში მისთვის მისაღები ხალხი შეიყვანა?— დიახ, მისთვის მიზანშეწონილი ხალხი შეიყვანა.*

— შეიძლება, ვთქვათ, რომ ხელისუფლებისთვის მისაღები იყო ოპოზიციური „რვიანის" ამ ფორმატში მონაწილეობა და ამით მათი არსებულ ჩაკეტილ სისტემაში შეყვანა?

*— დიახ, პირობითად...*

— მაშინ გამოსავალი რა არის?

*— ამ საკითხს ფუნდამენტალური მიდგომა სჭირდება. პარტიული სისტემა ამას ვერ გააკეთებს. ყველა პარტია მოწადინებულია, ისარგებლოს იმ პრივილეგიით, რაც შეიძლება იმ მოლაპარაკებიდან წამოიღოს. ისინი ყოველთვის შეეცდებიან იყვნენ ტელევარსკვლავები. ვერ დავეთანხმები გუბაზ სანიკიძეს დღევანდელი სიტუაციის „მრგვალი მაგიდის" დროინდელ სიტუაციასთან შედარებას. „მრგვალმა მაგიდამ" აიძულა კომუნისტური ხელისუფლება, რომ მიეღო საარჩევნო კანონი, ისე უნდა ვაიძულოთ ჩვენც სააკაშვილიო. ჯერ ერთი, სააკაშვილის ხელისუფლება და ძალოვანი ინსტიტუტები ბევრად ძლიერია, ვიდრე კომუნისტები იყვნენ. მაშინ დემორალიზებული იყო მილიცია და მათი ჰუმანიზმი. ეს მოახერხა ზვიად გამსახურდიამ. ხალხის ძალისხმევაც გაცილებით დიდი იყო. რაც მთავარია, 9 აპრილის იმპულსი და ცნობიერება იყო გამჯდარი თითოეულ ჩვენთაგანში. 9 აპრილი იყო გამარჯვების სიმბოლო და სულიერების აღზევების გამოხატულება. ამის კონცენტრაცია იყო ხალხში.*

— მახსოვს, როცა ზვიად გამსახურდიამ კომუნისტების უმაღლეს საბჭოს საარჩევნო კანონის თავისი ვარიანტის მიღება მოსთხოვა, გარეთ უამრავი ხალხი იდგა და შედეგს ელოდა.

*— 200 ათასი კაცი იყო შეკრებილი. მე შიგნით ვიყავი. ჩვენ ვმართავდით პროცესებს. კომუნისტებისთვის, ფაქტობრივად, ხელისუფლება წართმეული გვქონდა. ზურგს გვიმაგრებდა ხალხის დიდი მასა და ხალხის ნება. ამ გზით შევძელით საარჩევნო კანონის მიღება.*

— ცარიელი ხელებით მხოლოდ 8 კაცის მოლაპარაკებებზე მისვლით, არა მგონია სააკაშვილმა უკან დაიხიოს.

*— არავითარ შემთხვევაში. დღეს „რვიანის" უკან მდგარმა პარტიებმა ამ თემაზე მიტინგი რომ დანიშნოს, მხარდამჭერისთვის ძალიან მცირე პროცენტი მივა იმიტომ, რომ ოპოზიციასა და ხალხს შორის ხიდია ჩატეხილი. ეს თვითონაც კარგად იციან. ჩატეხილი ხიდის აღდგენა გაცილებით შრომატევადი საქმეა.*

— ანუ ოპოზიცია დღეს ვერანაირ პროცესს ვერ მართავს?

*— ვერ მართავს იმიტომ, რომ წაგებული თამაშია. ფაქტობრივად, სააკაშვილის თამაშია. ეს არ არის სააკაშვილის ალტერნატივა, რაც ღიად უნდა ითქვას.*

— „რვიანი" არ არის სააკაშვილის ალტერნატივა?

*— არც „რვიანი" და არც მის გარშემო მყოფი ფსევდორევოლუციური ძალები. სააკაშვლის ალტერნატივა შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე, ქართულ ღირებულებაზე, ცნობიერებასა და უნივერსალურ ქართულ იდეაზე დაფუძნებული ჯგუფი.*

— ასეთი ჯგუფი გეგულება?

*— ასეთი გამოკვეთილი ჯგუფი არ მეგულება, მაგრამ საზოგადოებამ უნდა შექმნას ასეთი ჯგუფი და ასპარეზზე გამოიყვანოს. შექმნილია სიტუაცია, როცა პრესა, ტელევიზია, მათ შორის, ვითომ დამოუკიდებლებიც, სააკაშვილის თამაშს თამაშობენ. ყველა სააკაშვილის ჯადოსნურ წრეშია. არა მარტო სააკაშვილის, არამედ სააკაშვილის მიღმა არსებული ძალების, ვისაც საქართველოში ასეთი ვითარება აწყობს. ამ თვალსაზრისით სააკაშვილი მაგათ უგებს. ამის არდანახვა სიბეცეა.*

— რადიკალურ ოპოზიციას საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების გარდა სხვა რა უნდა აინტერესებდეს?

*— ხელისუფლების ჩანაცვლება.*

— ამერიკამ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად თანხა ხომ გამოყო, ხელს რა შეუშლის?

— დიახ, გამოცხადებულია, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის 90 მილიონამდე გამოიყო. ეს არის დამატებითი სტიმული. ჩანაფიქრი კეთილშობილურია. ალბათ ისინი შეარჩევენ იმ არასამთავრობოებს, რომლებიც მართლა უზრუნველყოფენ საარჩევნო სისტემის გაკეთილშობილებას და ბუნებრივი, სამართლებრივი გზით მოხდება ხელისუფლების ცვლილება.

# აღსრულების ბიურო თავისუფლების მოედანზე პრევენციულ აქციას გამართავს

აღსრულების ეროვნული ბიურო დღეს, 11:00 საათზე, თავისუფლების მოედანზე პრევენციულ აქციას გამართავს.

აქციის მიზანია, მოსახლეობის ინფორმირება შედეგებზე, რომელსაც ადმინისტრაციული ჯარიმების გადაუხდელობა იწვევს. აქციაში მონაწილეობას მიიღებენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი ვაშაძე, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ერეკლე ღვინიანიძე, ბიუროს სხვა ხელმძღვანელი პირები და ქართული ესტრადის წარმომადგენლები.

აქციის მონაწილეები მოქალაქეებს საინფორმაციო ფლაერებს დაურიგებენ და აუხსნიან იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც ისინი ადმინისტრაციული ჯარიმის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდნენ.

ამ დროისთვის აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია 28000-ზე მეტი ადმინისტრაციული ჯარიმა. განსაკუთრებით ხშირია შემთხვევა, როდესაც მოქალაქეებს ავიწყდებათ ჯარიმის გადახდის ვადა და იხდიან დაგვიანებით. ასევე, მოქალაქეების უმრავლესობას არ აქვს ზუსტი ინფორმაცია ჯარიმის გადახდის ვადებთან დაკავშირებით, 30 კალენდარული დღის ნაცვლად მათ ჰგონიათ, რომ ჯარიმა შეიძლება გადაიხადონ 1 თვის განმავლობაში, ანუ 31-ე დღის ჩათვლით. 31-ე დღეს გადახდილი ჯარიმაც ითვლება დაგვიანებულად და ჯარიმის საქმე, ჩვეულებრივ, აღსასრულებლად შედის აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

ჯარიმის თანხის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, მოქალაქეებს ჯარიმასთან ერთად აღსრულების საფასურისა და ჯარიმის გარკვეულ კატეგორიაში საურავის გადახდა უწევთ. ჯარიმის დროულად გადახდა კი მათ გაუთვალისწინებელ ზედმეტ ხარჯებს თავიდან აცილებს.

**ინტერპრესნიუსი**

# გიგა კობალაძე ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელია

**11 მაისს რუსთაველის თეატრში საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ ახალი თავმჯდომარე აირჩია. საზოგადოების ხელმძღვანელობაზე კენჭს ორი კანდიდატი იყრიდა — „საქპატენტმა", როგორც ავტორთა საზოგადოების ერთი ხმის უფლების მქონე წევრმა, ადვოკატ გიგა კობალაძის კანდიდატურა დააყენა. მეორე კანდიდატი კი კომპოზიტორთა ჯგუფის ინიციატივით განიხილება და მას ნატალია ზაქარეიშვილი წარმოადგენდა.**

ეკა ირემაშვილი

ავტორთა საზოგადოების ახალი თავმჯდომარისა და გამგეობის არჩევნები რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა. თავმჯდომარისა და გამგეობის არჩევისთვის დამსწრეთა ხმების 51 პროცენტი იყო საჭირო. საზოგადოების წევრმა მწერლებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა, მომღერლებმა, კომპოზიტორებმა რეგისტრაცია გაიარეს. იმისათვის, რომ არჩევნებზე ქვორუმი ყოფილიყო, საზოგადოების წევრთა ერთ მეხუთედს უნდა მიეღო მასში მონაწილეობა.

დღეისათვის საქართველოს ავტორთა საზოგადოებაში 534 წევრია. გიგა კობალაძეს, როგორც იურისტს, გამოცდილება აქვს საავტორო უფლებების დაცვის სფეროში. არჩევნებამდე კობალაძემ 5 მაისს ავტორებს — კომპოზიტორებს, რეჟისორებს, მწერლებს, მხატვრებს — წარუდგინა სამოქმედო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის და განხორციელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვას.

საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარეობის ორივე წარმომადგენელმა შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა, საკუთარი პროგრამა დაწვრილებით განმარტა, კითხვა-პასუხის რეჟიმში ყველა საკითხი განიხილა, მოისმინა ავტორთა პრეტენზიები, პრობლემები. შეკრებილთა ნაწილის უკმაყოფილება იმანაც გამოიწვია, რომ გამგეობის წევრებად არ იყვნენ დასახელებული ხელოვანები — მსახიობები, მწერლები, მხატვრები, მომღერლები თუ კომპოზიტორები. „საქპატენტის" ხელმძღვანელმა ირაკლი ღვალაძემ საზოგადოების წევრებისგან წესდების ყველა პუნქტის გათვალისწინება ითხოვა და არჩევნებიც დაიწყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნები დაპირისპირებაში გადაიზარდა და ჩაშლის პირასაც კი მივიდა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, არჩევნებმა საბოლოო შედეგი დააფიქსირა — საქართველოს ავტორთა საზოგადოებას ადვოკატი გიგა კობალაძე უხელმძღვანელებს. მან ხმათა უმრავლესობა — 59 ხმა დააგროვა.

არჩევნები ხმაურით მიმდინარეობდა. არჩევნებზე მისულმა კომპოზიტორებმა, რეჟისორებმა, მწერლებმა, პოეტებმა და მხატვრებმა ავტორთა საზოგადოების ყოფილი ხელმძღვანელის ელგუჯა შაფათავასგან კუთვნილი ჰონორარების დარიგება მოითხოვეს. ისინი ითხოვდნენ იმ მიზეზების ჩამოთვლას, თუ რატომ ვერ იღებენ საკუთარი ინტელექტუალური შრომის საფასურს ამდენი წლის განმავლობაში. ამის შემდეგ კი არჩევნებზე ხმის ღიად მიცემის პროცედურა დაიწუნეს. ყველაფრის მიუხედავად, არჩევნები მაინც ღიად ჩატარდა. საარჩევნო კომისიას მომღერალი ბესო კალანდაძე ხელმძღვანელობდა. რუსთაველის თეატრში შეკრებილთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ხმა არც ერთ კანდიდატს არ მისცეს, რადგან მათი პროგრამა მიუღებელი აღმოჩნდა.

არჩევნების ჩატარებამდე ავტორთა საზოგადოების წევრთა მოსაზრებები ორად გაიყო — ნაწილი არჩევნების ნაჩქარევად ჩატარებას აპროტესტებდა, ნაწილი კი მის საერთოდ გადადებას ითხოვდა. არჩევნების დასრულების შემდეგ კი შედეგების გამოცხადების მონაცემები ნატალია ზაქარეიშვილმა გააპროტესტა — მან არჩევნებში მხოლოდ 3 ხმა მოიპოვა. საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარეობის თანამდებობაზე გიგა კობალაძე ოთხი წლის განმავლობაში დარჩება.

**ნატალია ქუთათელაძე, ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარეობის კანდიდატი:**

— არჩევნები არასამართლიანად, ნამდვილად კანონდარღვევით ჩატარდა. არჩევნების აღნიშნული გზით წარმართვა კანონის დარღვევაა და მეტი არაფერი. არ ვეთანხმები არჩევნების შედეგებს, იმიტომ, რომ ის არანაირ სამართლებრივ ნორმებში არ ჯდება. სწორედ ამის გამო, ჩემმა მხარდამჭერმა კომპოზიტორებმა, კახა ცაბაძემ და ნუნუ დულაშვილმა არჩევნები პროტესტის ნიშნად დატოვეს.

***— რატომ მიგაჩნიათ არჩევნები არასამართლიანად?***

— იმიტომ, რომ ეს არ იყო არჩევნები. აქ არ იყო გაკონტროლებული, ვინ იყო მოწვეული და ვინ ავტორთა საზოგადოების წევრი. საწყენია, რომ ჩემს წარმომდგენს, კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე კახა ცაბაძეს არ მისცეს სიტყვის უფლება, რის გამოც მან დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა.

***— გქონდათ თქვენი სამოქმედო გეგმა?***

— რა თქმა უნდა. ნამდვილად ვიცი რას ვეჭიდები და რა უნდა გავაკეთო. ამ დარგში შრომის სამართლის ექსპერტი ვარ, ამიტომ ნამდვილად მაქვს რეალური გზები, რითაც მოგვარდება ის პრობლემები, რომლებიც ქართველ ავტორებს აქვთ.

***— როგორ აპირებდით ამ პრობლემების მოგვარებას?***

— იმისათვის, რომ ეს პრობლემები ამოიძირკვოს, საჭიროა შეიქმნას მოქნილი სტრუქტურა თავისი საკანონმდებლო ბაზით და მოხდეს ძველი წესების ახალი კანონებით ჩანაცვლება.



**გიგა კობალაძე, ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე:**

— დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ამომრჩეველს, ვინც ჩემს კანდიდატურას დაუჭირა მხარი. იმათაც მადლობას ვეუბნები, ვინც არ დამიჭირა მხარი, ან საერთოდ თავი შეიკავა. პირობას გაძლევთ, რომ ავტორთა ინტერესებს ყველა კანონის გათვალისწინებით დავიცავ. ამ არჩევნებში ჩემი გამარჯვება უდიდესი პასუხისმგებლობაა, ამიტომ მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ ყველაფერი კარგად იყოს.

***— არჩევნების შედეგები ლეგალურია?***

— რა თქმა უნდა. არჩევნები ყველა წესის დაცვით ჩატარდა. ავტორთა საზოგადოების წევრებმა რეგისტრაცია გაიარეს, შემდეგ კი წესდების გათვალისწინებით მხარი დაუჭირეს თავის კანდიდატს. ამ არჩევნებში არანაირი დარღვევა არ ყოფილა. შედეგები ყველანაირად ლეგალურია.

***— როგორია თქვენი სამოქმედო პროგრამა?***

— ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს დეტალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ყველა ბერკეტის ამოქმედებას იმისთვის, რომ ავტორთა უფლებები საქართველოში დაცული იყოს. ჩვენ ყველა ღონისძიებას მივმართავთ იმისთვის, რომ ადამიანების ინტელექტუალური შრომა დაფასდეს. ყველა იმ ნაბიჯს განვახორციელებთ, რაც საჭიროა ავტორთა დასაცავად.

***— რა არის ყველაზე დიდი პრობლემა?***

— მეკობრეობას რომ თავი დავანებოთ, ყველაზე დიდი პრობლემა მაინც ჰონორარების შეგროვება და ავტორთათვის გადანაწილებაა. ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმები, რომლის საშუალებითაც ამ პრობლემას მოვაგვარებთ. ჩვენი აქცენტი სწორედ აქეთ არის მიმართული. პრიორიტეტად მიგვაჩნია ავტორთა უფლებების დაცვა და საკანონმდებლო ბერკეტებით ამის გაკეთებას შევძლებთ. ყველა კანონს ავამოქმედებთ და შედეგი გარანტირებული იქნება.

***— რამდენ ხანში დადებთ შედეგებს?***

— მე ამ ხალხს მივეცი პირობა, რომ ამ არჩევნებიდან 6 თვის თავზე მათთან ერთად ჩემ მიერ გაწეულ მუშაობას შევაჯამებ.

**ბესო კალანდაძე, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:**

— ყველამ ნახეთ, რომ არჩევნები წესების სრული დაცვით ჩატარდა.

გაგრძელება მე-14 გვერდზე

# როკ-ფესტივალი ბათუმში ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

ივლისში ბათუმში როკ-ფესტივალი სახელწოდებით "GLOBAL EAST ROCK FESTIVAL 2011 BATUMI OPEN AIR" გაიმართება. როკფესტივალი საკმაოდ პომპეზური იქნება და მასში მონაწილეობას 15 ქვეყნის 17 როკჯგუფი მიიღებს. ბათუმში საუკეთარ შემოქმედებას წარმოადგენენ ბრაზილიის, შვედეთის, ესტონეთის, პოლონეთის, უკრაინის, ისრაელის, ტუნისის როკმუსიკოსები და ჯგუფები.

როკფესტივალი ბათუმში როკმუსიკის ეროვნული ასოციაციისა და პოლონურ-უკრაინული საკონცერტო სააგენტო გლობალ პრომოუშენის ორგანიზებით ტარდება. პროექტს აქტიურად უჭერს მხარს ბათუმის მერიაც. მსგავსი ღონისძიებები საქართველოში ტურისტების ჩამოყვანას აქტიურად შეუწყობს ხელს.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა ჟურნალისტებისთვის საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განმარტეს, ღონისძიებაზე იგეგმება კემპინგი, რაც სტადიონის ტერიტორიაზე კარვებში ღამისთევას გულისხმობს. როკის ფანების ჩამოყვანაზე საზღვარგარეთიდან ფესტივალის ევროპელი პარტნიორები თავად იზრუნებენ.

როკ-მუსიკის მოყვარულებს ბათუმში დაგეგმილი ფესტივალის შესახებ უკვე გაუხსნეს სპეციალური ვებგვერდი, სადაც დაწვრილებითი ინფორმაციაა მოცემული. „გლობალ პრომოუშენის" დირექტორმა დმიტრო ხლივინსკიმ და საქართველოს როკ-მუსიკის ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარე ერნსტ ხერუმოვმა განაცხადეს, რომ დროის სიმცირის გამო, ფესტივალში მონაწილეობის მიღებას მხოლოდ 4 ქართული როკ-ჯგუფი შეძლებს.

აჭარის რეგიონში ეს პირველი როკფესტივალი არ არის. უკვე ხუთი წელია მსგავსი ღონისძიებები ბათუმში პერიოდულად იმართება. როგორც პროექტის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, წლევანდელი ფესტივალი მრავალფეროვანი და საინტერესო იქნება როკის მოყვარულებისთვის

როკ-ფესტივალის ჩატარების რიცხვებიც უკვე დადგენილია. ორდღიანი როკის დღესასწაული ბათუმში 17 და 18 ივლისს ანგისას სტადიონზე ჩატარდება. ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთის ფასი კი 80-100 ლარია.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- ქირავდება საბურთალოზე ოროთახიანი კეთილმოწყობილი, მაღალჭერიანი ნათელი ბინა, ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, გარაჟით. თვეში 400 აშშ დოლარი. ტელ: 874-48-50-55 შორენა ფიფია; 879-89-00-01 გოგა ფიფია.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.
- გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- იყიდება 2-სართულიანი საკუთარი სახლი ოქროყანაში, ფართი - 224 კვ.მ., ეზო - 200 კვ.მ., სკოლასთან. ტელ: 868 07 02 76, ნანა; 857 36 83 28, გია.
- იყიდება ბენზინის ჩამოსასხმელი სვეტი ორძრავიანი „შელფი" 100 ბ, ახალი. ტელ: 879 55 35 77, ზურა.

# „არმია“ დაწინაურდა, „ქუთაისმა“ მოედანი მოიგო

**არმია — სოხუმი 66:52**
**(14:18, 17:17, 17:7, 16:§**

**არმია:** ტუღუში (15), ბოისა (10), საყვარელიძე (9), ბაბიაშვილი (5), შარაბიძე (14); ბაქრაძე, მინაშვილი, პირველაშვილი, ათანელიშვილი (6), ათუაშვილი (6), ბ.ბერიშვილი (1)

**სოხუმი:** ჰარისი (6), ფარღალავა (8), ფაცაცია (9), შანიძე (1), რ.დამუსი (7); ჩლაიძე (6), კვეტენაძე (2), სორდია (3), კანკია, კ.დამუსი (10), კოპალიანიმეორე ნახევარფინალისგან განსხვავებით, მატჩი შედარებით დაძაბული გამოდგა, „არმია“-„სოხუმის“ შეხვედრა გამოდგა. ფავორიტად „არმია“ ითვლებოდა, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატი მოიგო, მეტოქეზე ბევრად უფრო გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვს. ამასთან, მეოთხედფინალში უფრო იოლი მატჩები გადაიტანა და ნახევარფინალური მატჩების სერიას მეტოქეზე დასვენებული შეხვდა.



„სოხუმმა“ კი მეოთხედფინალში ურთულესი ბრძოლა გადაიტანა და შსს დაძაბულ, სამმატჩიან ბრძოლაში დაამარცხა და არმიელებთან შედარებით, დასვენებისთვის უფრო ნაკლები დრო ჰქონდა.

ამის მიუხედავად, მატჩი ზღვისპირელთა უპირატესობით დაიწყო. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი „სოხუმმა“ 37:32 მოიგო. განსაკუთრებით ლევან ფაცაცია აქტიურობდა, რომელმაც დროის ამ მონაკვეთში ყველაზე მეტი, 9 ქულა დააგროვა.მეორე ტაიმში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა — მოკლე სკამის მქონე ზღვისპირელებს დაღლა დაეტყოთ. ამით ძალოვნებმა ისარგებლეს, უპირატესობას დაეუფლნენ და უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა „არმიის“ კაპიტანი, ეროვნული ნაკრების წევრი, უკანახაზელი კოტე ტუღუში, რომელმაც ძალოვნებს უაღრესად მნიშვნელოვანი ქულები მოუტანა. ტუღუშმა ყველაზე მეტი, 15 ქულა დააგროვა და თანაგუნდელთა გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა.

ზღვისპირელთა შორის ყველაზე მეტი, 10 ქულა ცენტრალურ თავდამსხმელ კარლ დამუსის ანგარიშზეა.

**თსუ — ქუთაისი 97:64**
**(24:22, 24:18, 29:12, 28:11**

**თსუ:** გაფრინდაშვილი (1), მარხვაშვილი (9), ფანჩულიძე (18), მიხეილ ბერიშვილი (21ქ. 11მ.); მათიაშვილი (10); ხიზანიშვილი (7), კოხრეიძე, ლონდარიძე (21ქ. 12მ.), კორკოტაძე (3), ჩიტაშვილი (7), ზვიად დეკანოიძე, ჩქარეული

**ქუთაისი:** კვიმსაძე (14), ცეკვავა (5), დიდია (15), გიორგი ბარბაქაძე (10), ბოლქვაძე; ბაბუნაშვილი (7), ტუკვაძე, ლომინაშვილი (7), კოლუაშვილი (2), ქორიძე (4), მესხი, კუჭავა

რეგულარულ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე, გულშემატკივრები უაღრესად დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ. სამწუხაროდ, პროგნოზი არ გამართლდა, რადგან მასპინძლებმა რიონისპირელებს შანსი არ დაუტოვეს და ნახევარფინალური მატჩებისთვის შეუფერებელი ანგარიშით, 97:64 დაამარცხეს.

მართალია, ქუთაისელები თავს არ ზოგავდნენ, მაგრამ შესანიშნავ ფორმაში მყოფ თსუ-ს ვერაფერი დაუპირისპირეს, რომელსაც ყველაფერი გამოსდიოდა.

ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში შედგა, სადაც სტუმრები მეტნაკლებად უწევდნენ წინააღმდეგობას მეტოქეს. შესვენების შემდეგ კი ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და სტუდენტებმა იოლად იმარჯვეს.

ამ შეხვედრაში საუკეთესოები იყვნენ თსუ-ს ფორვარდები ილია ლონდარიძე და მიხეილ ბერიშვილი, რომლებმაც 21-21 ქულითა და შესაბამისად 12 და 11 მოხსნით ორმაგი დუბლი შეასრულეს.

სტუმართა მხრიდან ყველაზე შედეგიან კალათბურთელ რევაზ დიდიას ანგარიშზე 15 ქულაა.

**თსუ — ქუთაისი 75:87**
**(12:24, 23:14, 1§:16, 22:32**

პირველი მატჩისგან განსხვავებით ქუთაისელმა კალათბურთელებმა უკეთესად ითამაშეს და მოედნის უპირატესობა მოიპოვეს.

თითქოს პირველი მეოთხედის შემდეგ რიონისპირელებს სანერვიულო არაფერი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა ზონური პრესინგით შეავიწროეს მეტოქე და მესამე მეოთხედის შუაში 5 ქულითაც გავიდნენ წინ, მაგრამ მეტი ვერ მოახერხეს და დასკვნითი 10-წუთეული პირწმინდად დათმეს.

ამ შეხვედრაში, ყველაზე მეტი, 18 ქულა თსუ-ს მძიმე ფორვარდმა, ილია ლონდარიძემ დააგროვა. სტუმართა შორის, 17-17 ქულით, საუკეთესოები იყვნენ მძიმე ფორვარდი გიგი ბარბაქაძე და ცენტრალური თავდამსხმელი ვიქტორ კოლუაშვილი.

**შსს — ენერჯი ინვესტი 91:76**
**(23:1§, 15:22, 24:18, 28:17**

რუსთაველები პირველი წრის შემდეგ ისე დასუსტდნენ, თამაშის მოგება სანატრელი გაუხდათ და გასაკვირიც არ არის, რომ ძალოვნებმა იოლად დაამარცხეს.

**თსსუ — სტუ 111:73**
**(33:19, 39:16, 31:29, 1§:2§**

სტუდენტური დერბი მედიკოსებმა მოიგეს და მე-5 ადგილისთვის თამაშის უფლება მოიპოვეს.

# ალექს ფერგიუსონი: „ფეხბურთიდან ჩემი წასვლის დრო ჯერ არ დამდგარა“

დასავლეთლონდონური „ჩელსის“ ძლევით, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პრაქტიკულად გაინაღდა მორიგი საჩემპიონო ტიტული, რომელიც ოლდტრაფორდელთათვის სარეკორდო გახდება. თუკი ჯერჯერობით „მანიუსა“ და „ლივერპულს“ 18-18 საჩემპიონო წოდება აქვთ, მალე მანჩესტერელები ენფილდელებს ერთი ტიტულით გაასწრებენ. ინგლისური საამსეზონო პირველობის გადამწყვეტი მატჩი „ოლდ ტრაფორდზე“ ჩატარდა და კარლო ანჩელოტის გუნდის დამარცხების (2:1) შემდეგ, სამოცდაათ წელს მიღწეული სერ ალექს ფერგიუსონი და 22 წლის მექსიკელი ფორვარდი ხავიერ ერნანდესი (ჩიჩარიტო) ერთნაირად ხარობდნენ.

***— უშუალო კონკურენტთან მოგებამ მორიგი საჩემპიონო ტიტული უკვე პრაქტიკულად გაგინაღდათ, რამაც ნამატჩევს ძალიან გაგახარათ. ერთია შედეგი, მაგრამ რამდენად კმაყოფილი დარჩით თქვენი გუნდის თამაშით?***

— შეხვედრის დასრულებისთანავე, უპირველესად, ბიჭებს ბრწყინვალე თამაშისთვის მადლობა გადავუხადე. 2:1 მოვიგეთ, მაგრამ ვინც მატჩი იხილა, დამეთანხმება, რომ კიდევ რამდენიმე გოლი უნდა გაგვეტანა ლონდონელთა კარში. ბევრი ხელსაყრელი მომენტი შევქმენით. რამდენიმე ეპიზოდში თავისიანები პეტერ ჩეხმა იხსნა. მატჩის უკეთეს დასაწყისს კი ვერც ვინატრებდით. ბურთის გაშვების შემდეგ მინდორზე მდგომარეობა დაიძაბა და მთლიანობაში რთული შეხვედრა გამოვიდა, მაგრამ მოვლენათა სხვაგვარ განვითარებას არც ველოდით. განსაკუთრებით უნდა შევაქო ჩვენი ერთგული გულშემატკივარი. გადამწყვეტ მომენტში ქომაგები მხარში ამოგვიდგნენ, ბოლო 10-15 წუთის განმავლობაში განსაკუთრებით გვიერთგულეს და როგორც ნახეთ, მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, მათ თავდახრით მადლობა გადავუხადე. გითხრათ სიმართლე, შეხვედრის დაწყებამდე საყაიმო შედეგსაც ყაბულს ვიყავი, მოგებამ კი საჩემპიონო რბოლა ჩვენ სასარგებლოდ დაასრულა. დარჩენილ ორ მატჩში, თუნდაც ქულის აღება არ გაგვიჭირდება.

***— „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად, მალე მეთორმეტედ გახდებით ინგლისური პრემიერლიგის ჩემპიონი. ეს გათამაშება 19-ჯერ ჩატარდა და მხოლოდ შვიდჯერ „დაუთმეთ“ პირველობა სხვა გუნდს.***

— ბოლო 18 წლის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითადი კონკურენტები „არსენალი“ და „ჩელსი“ არიან. მიმდინარე გათამაშებაშიც სწორედ ამ ლონდონურმა კლუბებმა გაგვიწიეს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა. თავდაპირველად, არსენ ვენგერის გუნდი უკეთ გამოიყურებოდა და „არისტოკრატებზე“ მეტად მას ვუფრთხოდი, სეზონის ფინიშზე კი „ჩელსიმ“ გაიბრძოლა, ჩემპიონობის დათმობა არ სურდა, მაგრამ „ოლდ ტრაფორდზე“ გამარჯვებით ჩვენი კლუბის ისტორიის ახალი ბრწყინვალე ფურცელი შევავსეთ.



***— ამიერიდან უმთავრეს აქცენტს 28 მაისს, „ბარსელონასთან“ ჩასატარებელ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე გააკეთებთ?***

— რასაკვირველია, ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ლონდონის „უემბლიზე“ გასამართი მატჩია. მომდევნო დღეების განმავლობაში, პეპ გვარდიოლას გუნდის წინააღმდეგ ასპარეზობაზე ვიქნებით კონცენტრირებულნი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პრემიერლიგის მომდევნო შეხვედრას „ბლექბერნ როვერსთან“ ოდნავ მოდუნებულები ჩავატარებთ. პრემიერლიგის 1995 წლის ჩემპიონები სადღეისოდ გასავარდნ ზონასთან ახლოს იმყოფებიან, ამიტომაც იოლად არაფერს დაგვითმობენ. სერიოზულად მოვეკიდებით მატჩს კიდევ ერთ აუტსაიდერ „ბლექპულთან“. ორივე გუნდი ჩვენი მეზობელი ქალაქების წარმომადგენელია და მანჩესტერელი გულშემატკივრების გასახარად, მათთან მხოლოდ მოგებაზე ვითამაშებთ. ისე კი, მომდევნო მატჩში ჩემპიონობის გამნაღდებელი ქულაც რომ ავიღოთ, ამითაც კმაყოფილი დავრჩები.

***— სერ ალექს, საკლუბო მწვრთნელის რანგში იმდენს მიაღწიეთ, ერთბაშად რამდენიმე ავტორიტეტულ სპეციალისტს ეყოფა. წლეულს 70 წელი გისრულდებათ. ხომ არ დადგა დრო, „ოლდ ტრაფორდზე“ „იუნაიტედის“ მწვრთნელობა რომელიმე სხვა დამრიგებელს გადააბაროთ?***

— ფეხბურთიდან ჩემი წასვლის დრო ჯერ არ დამდგარა. ვერ გეტყვით, როდის დავანებებ თავს მწვრთნელობას, ერთი რამ კი დანამდვილებით შემიძლია მოგახსენოთ — მომდევნო სეზონშიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი ვიქნები. რამდენიმე წლის წინ გუნდიდან წასვლის მცდელობა მქონდა, მაგრამ როდესაც დავფიქრდი, ყველაფერი ავწონ-დავწონე, მივხვდი, უფეხბუროთოდ რომ ვერ გავძლებდი. მეუღლეც სულ იმას მეუბნება, დამრიგებლობა რომ შეწყვიტო, სახლში ჯდომას მაინც ვერ გაუძლებ და გული კვლავ სტადიონისა და საწვრთნელი ბაზისკენ გაგიწევსო.

# „სანდი ტაიმსი“ მორიგ სკანდალს ამზადებს

დასაწყისი მე-16 გვერდზე

ლეოსს, რომელიც ხმის სანაცვლოდ, რაინდის წოდებას ითხოვდა. ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი, რიკარდო ტეიშეირა ტრისმანს არჩევნის საშუალებას აძლევდა — იგი ინგლისელი კოლეგისგან თავად ელოდა შეთავაზებას, რის სანაცვლოდაც ხმას გაყიდდა. რაც შეეხება ტაილანდის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტს, ვორავი მაკუდის, იგი ინგლისსა და ტაილანდს შორის გასამართი მატჩის ტელეტრანსლაციის უფლებას ითხოვდა. მოგვიანებით, ეს თამაში გადაიდო.

როიტერის ცნობით, ტრისმანი მზადაა კონკრეტული ბრალდებებითა და მტკიცებულებებით ფიფას მიმართოს.

„სანდი ტაიმსი“ ამას არ დასჯერდა და 2022 წლის მუნდიალსაც გადასწვდა და გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის ორმა წევრმა, ყატარისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ, მილიონ-ნახევარი დოლარი მიიღო. შეგახსენებთ, რომ „სანდი ტაიმსისთვის“ ასეთი ამბები ახალი არ არის და სწორედ მათი მოპოვებულ მასალებით მტკიცებულებებზე დაყრდნობითაც, ფიფას ეთიკის კომიტეტმა, სამი და ერთწლიანი დისკვალიფიკაციები მიუსაჯა ამოს ადამუსა და რეინალდ ტემარის, რომლებიც სწორედ ხმებით ვაჭრობაში იყვნენ მხილებულნი. ამჯერად, ინგლისური გამოცემის ბრალდების ობიექტები ფიფას ვიცე-პრეზიდენტი, კამერუნელი ისა ჰაიატუ და სპილოს ძვლის კუნძულების წარმომადგენელი, ჟაკ ანუმა არიან, რომლებსაც მილიონ-ნახევარი დოლარის სანაცვლოდ, ყატარისთვის ხმების მიცემა ბრალდებათ.

# შედეგები

## ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სიტი-ტოტენჰემი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 36 | 22 | 10 | 4 | 73:34 | 76 |
| 2.ჩელსი | 36 | 21 | 7 | 8 | 67:30 | 70 |
| 3.არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 69:39 | 67 |
| 4.სიტი | 37 | 19 | 9 | 9 | 55:33 | 66 |
| 5.ლივერპული | 36 | 17 | 7 | 12 | 59:41 | 58 |
| 6.ტოტენჰემი | 36 | 14 | 14 | 8 | 51:45 | 56 |
| 7.ევერტონი | 37 | 12 | 15 | 9 | 50:44 | 51 |
| 8.ბოლტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 49:50 | 46 |
| 9.ფულემი | 36 | 10 | 15 | 11 | 45:42 | 45 |
| 10.სტოკი | 35 | 13 | 6 | 16 | 46:44 | 45 |
| 11.ნიუკასლი | 36 | 11 | 11 | 14 | 51:52 | 44 |
| 12.სანდერლ. | 37 | 11 | 11 | 15 | 43:56 | 44 |
| 13.ვესტ ბრომ. | 36 | 11 | 10 | 15 | 52:68 | 43 |
| 14.ას. ვილა | 36 | 10 | 12 | 14 | 45:58 | 42 |
| 15.ბლექბერნი | 36 | 10 | 9 | 17 | 42:56 | 39 |
| 16.ბირმინგემი | 35 | 8 | 15 | 12 | 35:52 | 39 |
| 17.ვულვზი | 36 | 10 | 7 | 19 | 41:62 | 37 |
| 18.უიგანი | 35 | 7 | 15 | 13 | 36:56 | 36 |
| 19.ბლექპული | 36 | 9 | 9 | 18 | 49:71 | 36 |
| 20.ვესტ ჰემი | 36 | 7 | 12 | 17 | 41:64 | 33 |

**იტალია. თასი**
**ნახევარფინალი**

პალერმო-მილანი ........ 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

დეპორტივო-ბილბაო ........ 2:1
მალაგა-ხიხონი ........ 2:0
რასინგი-ატლეტიკო ........ 2:1
რეალი-ხეტაფე ........ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 35 | 29 | 4 | 2 | 91:19 | 91 |
| 2.რეალი | 36 | 27 | 5 | 4 | 91:31 | 86 |
| 3.ვალენსია | 35 | 20 | 6 | 9 | 60:42 | 66 |
| 4.ვილიარეალი | 35 | 18 | 7 | 10 | 53:40 | 61 |
| 5.ბილბაო | 36 | 17 | 3 | 16 | 56:53 | 54 |
| 6.ატლეტიკო | 36 | 15 | 7 | 14 | 56:49 | 52 |
| 7.სევილია | 35 | 15 | 7 | 13 | 54:55 | 52 |
| 8.ესპანიოლი | 35 | 15 | 3 | 17 | 42:49 | 48 |
| 9.მალაგა | 36 | 13 | 6 | 17 | 52:64 | 45 |
| 10.ხიხონი | 36 | 10 | 13 | 13 | 33:41 | 43 |
| 11.ლევანტე | 35 | 12 | 7 | 16 | 39:49 | 43 |
| 12.მალიორკა | 35 | 12 | 7 | 16 | 35:47 | 43 |
| 13.რასინგი | 36 | 12 | 10 | 14 | 39:52 | 43 |
| 14.დეპორტივო | 36 | 10 | 12 | 14 | 31:45 | 42 |
| 15.ოსასუნა | 35 | 11 | 8 | 16 | 41:42 | 41 |
| 16.სოსიედადი | 35 | 13 | 2 | 20 | 45:61 | 41 |
| 17.ხეტაფე | 36 | 11 | 7 | 18 | 46:59 | 40 |
| 18.სარაგოსა | 35 | 10 | 9 | 16 | 36:50 | 39 |
| 19.ერკულესი | 35 | 9 | 6 | 20 | 32:56 | 33 |
| 20.ალმერია | 35 | 5 | 11 | 19 | 32:61 | 26 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

პსჟ-ნანსი ........ 2:2
სენტ ეტიენი-ლილი ........ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 35 | 19 | 12 | 4 | 62:32 | 69 |
| 2.მარსელი | 34 | 17 | 11 | 6 | 53:33 | 62 |
| 3.ლიონი | 34 | 16 | 11 | 7 | 58:35 | 59 |
| 4.პსჟ | 35 | 15 | 13 | 7 | 53:37 | 58 |
| 5.რენი | 34 | 14 | 10 | 10 | 33:28 | 52 |
| 6.სოშო | 34 | 14 | 7 | 13 | 52:40 | 49 |
| 7.ლორიანი | 34 | 12 | 12 | 10 | 42:39 | 48 |
| 8.სტ.ეტიენი | 35 | 12 | 12 | 11 | 43:42 | 48 |
| 9.ბორდო | 34 | 10 | 15 | 9 | 40:39 | 45 |
| 10.მონპელიე | 34 | 11 | 11 | 12 | 29:37 | 44 |
| 11.ტულუზა | 34 | 12 | 7 | 15 | 34:35 | 43 |
| 12.ვალანსიენი | 34 | 9 | 15 | 10 | 40:37 | 42 |
| 13.ბრესტი | 34 | 10 | 12 | 12 | 34:37 | 42 |
| 14.ოსერი | 34 | 8 | 18 | 8 | 38:38 | 40 |
| 15.მონაკო | 34 | 8 | 16 | 10 | 34:34 | 40 |
| 16.კაენი | 34 | 10 | 10 | 14 | 41:48 | 40 |
| 17.ნიცა | 34 | 9 | 13 | 12 | 27:41 | 40 |
| 18.ნანსი | 35 | 10 | 9 | 16 | 34:48 | 39 |
| 19.ლანსი | 34 | 6 | 13 | 15 | 33:52 | 31 |
| 20.არლე | 34 | 1 | 11 | 22 | 16:64 | 14 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

აიაჩო-კლერმონი ........ 1:0
ვანი-ნიმი ........ 3:1
გრენობლი-ბულონი ........ 2:2
მეცი-ლე ავრი ........ 2:0
ნანტი-ისტრი ........ 2:1
რეიმსი-სედანი ........ 1:0
ტრუა-ლე მანი ........ 0:1
ტური-დოჟონი ........ 0:1
შატორუ-ანჟე ........ 1:2

**ჰოლანდია. 1 დივიზიონი**
**პლეი-ოფი**

დენ ბოში-იგლზი ........ 1:0
მაასტრიხტი-ვოლენდამი ........ 2:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-სტ.მირენი ........ 0:1
რეინჯერსი-დანდი ........ 2:0
სტ.ჯონსონი-ჰამილტონი ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 37 | 29 | 3 | 5 | 83:28 | 90 |
| 2.სელტიკი | 36 | 27 | 5 | 4 | 78:22 | 86 |
| 3.ჰარტსი | 36 | 18 | 9 | 9 | 52:40 | 63 |
| 4.დანდი | 37 | 16 | 10 | 11 | 53:49 | 58 |
| 5.კილმანროკი | 36 | 13 | 9 | 14 | 51:48 | 48 |
| 6.მოზერველი | 36 | 13 | 6 | 17 | 39:55 | 45 |
| ------------ | | | | | | |
| 7.ინვერნესი | 36 | 12 | 11 | 13 | 48:43 | 47 |
| 8.სტ.ჯონსონი | 37 | 11 | 10 | 16 | 23:43 | 43 |
| 9.ჰიბერნიანი | 36 | 10 | 7 | 19 | 38:56 | 37 |
| 10.აბერდინი | 37 | 10 | 5 | 22 | 36:58 | 35 |
| 11.სტ.მირენი | 37 | 8 | 8 | 21 | 33:57 | 32 |
| 12.ჰამილტონი | 37 | 4 | 11 | 21 | 23:57 | 26 |

**ავსტრია.ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-კაფენბერგი ........ 4:2

**ბელგია. პროლიგა**
**პლეი-ოფი**

ბრიუგე-გენკი ........ 3:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ლუცერნი ........ 3:2
იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი ........ 2:2

**ჩეხეთი. თასი**
**ნახევარფინალი**

კრომერიცი-ბოლესლავი ........ 1:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ბიტომი-კრაკოვია ........ 1:2
პოლონია-იაგელონია ........ 2:0
გურნიკი-ლეგია ........ 1:1
ზაგლებიე-შლიონსკი ........ 0:1

**შვედეთი. თასი**

ატვიდაბერგი-აიკი ........ 3:0

## კალათბურთი

**ნბა. პლეი-ოფი**
**მეოთხედფინალი 4 მოგებამდე**

ჩიკაგო-ატლანტა ........ 95:83
*ზაზა ფაჩულია: 13 ქულა, 4 მოხსნა*
სერიის ანგარიში ........ 3:2

## ჩოგბურთი

**ატპ. რომი. თიხა**

გასკე-ანდრეევი ........ 6:1;6:2
ალმაგრო-ბოლელი ........ 6:0;7:5
ჩელა-ისნერი ........ 6:4;6:1
ლუბიჩიჩი-ჩიპოლა ........ 6:2;6:3
ბერდიხი-მონაკო ........ 6:2;6:2
ვავრინკა-ფონინი ........ 6:7;6:2;6:4
ლოპესი-ლოდრა ........ 7:6;6:1
ბელუჩი-ლორენცი ........ 6:7;3:6
სტახოვსკი-ნიემინენი ........ 7:6;3:6;4:6
სოდერლინგი-ვერდასკო ........ 2:6;7:5;6:4
მიურეი-მალისე ........ 6:2;2:6;6:3

**ვტა. რომი. თიხა**

სკიავონე-მაკჰეილი ........ 6:3;6:1
პეტკოვიჩი-კირილენკო ........ 7:5;6:1
პავლუჩენკოვა-სჰეპერსი ........ 6:3;7:5
პირი-იოვანოვსკი ........ 3:6;6:0;6:4
შარაპოვა-მაკაროვა ........ 6:1;6:1
პენეტა-მატეკი ........ 4:6;6:4;3:6
ბრიანტი-არნი ........ 4:6;4:6

## ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**
**მეოთხედფინალი 4 მოგებამდე**

დეტროიტი-სან ხოსე ........ 3:1
სერიის ანგარიში ........ 3:3

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

სპორტი

# „აია“ წაუგებლად ისვენებს

### ყოჩები — არმია 6:26

**ყოჩები:** მახარაშვილი, გეგენავა, მაისურაძე, ინაშვილი, ნიჟარაძე, კვარაცხელია, ბეგაძე; გოგიშვილი, მამუკაშვილი, ხოსიტაშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, გრძელიშვილი, ცხვედიანი, ილიაევი.

**არმია:** ბ.კობახიძე, ქავთარაშვილი, მჭედლიძე, ნადარეიშვილი, ნუცუბიძე, ელიზბარაშვილი, სამხარაძე; ქორიძე, ნატრიაშვილი, ნავროზაშვილი, ბიწაძე, კიკვიძე, კალმახელიძე, დარასელია, ცხადაძე

„ყოჩებმა“ მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ დასაწყისში გაუწიეს და მცირე დროით იგებდნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ, ქულები მხოლოდ „არმიამ“ აგროვა, რითიც ლევან მგელაძის გუნდი ხუთი მატჩის შემდეგ კვლავ ცხრილის ფსკერზე დატოვა.

მართალია, მატჩი არმიელთა უპირატესობით დაიწყო, საწყისი 5 წუთი მეტოქის ნახევარზე გაატარა, მეტოქეს დაჯარიმება აიძულა და ბახვა კობახიძემ ახლო მანძილიდან ანგარიში გახსნა, მაგრამ განახლდა თუ არა შეხვედრა, „ყოჩებმა“ შერკინების უფლება მოიპოვა, ამჯერად „არმია“ დაჯარიმდა და შავლეგ მახარაშვილმა წონასწორობა აღადგინა.

მთლიანობაში, საწყისი 15 წუთი უინტერესო იყო. შეტევაში თამაში არც ერთ გუნდს არ გამოსდიოდა, თუმცა, საქმე ნელ-ნელა მორაგბეები ამოძრავდნენ.

მე-14 წუთზე „ყოჩები“ მეორედ გადავიდა მეტოქის ნახევარზე, „არმია“ ისევ დაჯარიმდა და მახარაშვილმა საკუთარი გუნდი დაახლოებით 40 მეტრიდან გატანილი ჯარიმით 6:3 დააწინაურა. ამის შემდეგ თამაში გაიხსნა. „არმია“ ბურთის ფეხით გადაკიდებას და მოედნის მოგებას ცდილობდა, მაგრამ „ყოჩებს“ ბურთი კარგად ამოჰქონდა. ერთ-ერთ ეპიზოდში არმიელთა დაცვის ხაზი მაისურაძემ გაჭრა კარგად, რასაც „არმიას“ მხრიდან ჯარიმა მოჰყვა, მაგრამ ამჯერად მახარაშვილს დარტყმა გაუცუდდა.

ამან „არმია“ გაალიზიანა და ახლა ბახვა კობახიძემ გაჭრა ხაზი, რომელსაც მხარი იური ნატრიაშვილმა აუბა. „ყოჩები“ დაჯარიმდა, თუმც,ა არმიელებმა უპირატესობა იგრძნო და ჯარიმის კარში დარტყმის ნაცვლად მეტოქეს შერკინებით მიეძალა. ჩათვლის მოედნიდან 5-მეტრში დანიშნულ ზედიზედ მეორე შერკინებისას, ბეგაძემ მეტოქე ბურთის აღება არ აცალა, ისე ითამაშა ხელით და სინბინი დაიმსახურა. „არმიამ“ კვლავ შერკინება ირჩია, მეტოქემ წინააღმდეგობა ისევ ვერ გაუწია და ტექნიკური ლელოთი დაისაჯა, კობახიძემ კი რეალიზაცია გამოიყენა.

მიუხედავად კაცნაკლულობისა, „ყოჩებმა“ სწრაფი საპასუხო ლელოს გატანა სცადა, დასარტყმელი ჯარიმა აუტში გაიტანა და მიეძალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. არეულ თამაში „არმია“ მეტოქის ნახევარზე გადავიდა და ზედ შესვენების წინ ელიზბარაშვილმა არეკნით უპირატესობა გაზარდა — 13:6.

არეული თამაში მეორე ნახევარშიც გაგრძელდა. ორივე გუნდის მხრიდან ხშირი იყო შეცდომები, თუმცა, „არმია“ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, ბურთს უფრო ხშირად აკონტროლებდა, გრძელიშვილის სინბინის გამო 10 წუთით მოედანზე მეტოქეზე მეტი ერთხელაც დარჩა და ამ ყველაფრით იხეირა. შესვენების შემდეგ არმიელთაგან ლელო ნუცუბიძემ მიითვალა, კობახიძემ ზედ გარდასახვა და კიდევ ორი ჯარიმა დაურთო და საკუთარ გუნდს 26:6 მოაგებინა, რითაც ერთთვიან შესვენებაზე მეორე ადგილით გაუშვა.

### აია (ქუთაისი) — ლელო (თბილისი) 31:25

ტურის ცენტრალურ მატჩში ქუთაისის „აიამ“ თბილისის „ლელოს“ დაძაბულ შეხვედრაში 31:25 სძლია. ფოთში გამართულ შეხვედრაში, ნომინალური მასპინძლები 10:0 დაწინაურდნენ, მაგრამ მერე ირაკლი ყიასაშვილის გარჯის წყალობით მეტოქეს 13:15 ჩამორჩნენ. ქუთათურებმა შესვენებამდე კიდევ ერთი ლელოს გატანა შეძლეს და ტაიმი 18:15 მოიგეს. ბრძოლა მეორე ტაიმშიც გაგრძელდა, მაგრამ „აიამ“ უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა და 31:25 იმარჯვა.

რიონისპირული გუნდი შესვენებაზე სოლიდური ფორით გავიდა და თუ რეგულარული ჩემპიონატის მოგება მოახერხა, ჩემპიონობის შანსს გაიჩენს.

### ხარები (რუსთავი) — ლოკომოტივი (თბილისი) 5:22

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“ რუსთავს სტუმრობდა და „ხარებს“ 22:5 აჯობა.

### აკადემია (თბილისი) — არმაზი (თბილისი) 26:26

ზედიზედ მეორე ფრე ითამაშა „აკადემიამ“, რომელიც ამჯერად „არმაზს“ დაუზავდა — 26:26. ამრიგად, შიდა რაგბიში ერთთვიანი შესვენება გამოცხადდა და ეროვნული ჩემპიონატი 11 ივნისს განახლდება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 5 | 5 | 0 | 0 | 144:62 | 10 |
| 2.არმია | 5 | 3 | 1 | 1 | 110:92 | 7 |
| 3.ლელო | 5 | 3 | 0 | 2 | 145:105 | 6 |
| 4.ლოკომოტივი | 5 | 3 | 0 | 2 | 118:86 | 6 |
| 5.არმაზი | 5 | 2 | 1 | 2 | 96:120 | 5 |
| 6.აკადემია | 5 | 1 | 2 | 2 | 89:106 | 4 |
| 7.ხარები | 5 | 1 | 0 | 4 | 49:108 | 2 |
| 8.ყოჩები | 5 | 0 | 0 | 5 | 75:147 | 0 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# „ელდრაინი“ ევროვიზიის ფინალშია

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს წარმომადგენელი წლევანდელ ევროვიზიაზე ჯგუფი „ელდრაინი“ ფინალისტია. 10 მაისს გამართულ პირველ ნახევარფინალში ქართველებმა მეცხრე ნომრად სიმღერა „ვან მორ დეი“ იმღერეს და ევროპელი მსმენელის მოწონებაც დაიმსახურეს.

ევროპის მუსიკალური ფესტივალი პირველად 1955 წელს ჩატარდა. კონკურსს ევროპის მაუწყებელთა კავშირი ატარებს, ხოლო თითოეულ მონაწილე ქვეყანაში „ევროვიზიაზე“ წარსადგენ კონკურსანტს ამავე ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებელი ირჩევს და კონკურსის პირდაპირ ეთერში გადაცემის უფლებაც საზოგადოებრივ მაუწყებლებს აქვთ.

სკანდალით დასრულდა მიმდინარე წლის „ევროვიზიის“ შიდა შესარჩევი ტური საქართველოში. გამარჯვებული ჯგუფის ელდრაინის სოლისტი თაკო ვადაჭკორია შიდა შესარჩევ ტურში გამარჯვებიდან რამდენიმე დღეში სოფო ტოროშელიძემ ჩაანაცვლა. მაშინ თაკო ვადაჭკორია აცხადებდა, რომ ელდრაინის პროდიუსერ კომპანიასთან კონტრაქტს ხელი მისთვის მიუღებელი პირობების გამო არ მოაწერა. პროდიუსერულმა კომპანია „ტიტანმა“ კონტრაქტის პუნქტების შეცვლაზე უარი განაცხადა, ახალი სოლისტიც მალევე მოძებნა და „ევროვიზიაზე“ წარსადგენ სიმღერაზე სოფო ტოროშელიძის მონაწილეობით კლიპიც გადაიღო.

დიუსელდორფში გამართულ პირველ ნახევარფინალურ კონკურსზე 19 ნახევარფინალისტი მონაწილეობდა. პირველი ნახევარფინალური ტურის შედეგად, ევროპელი მაყურებლისა და ჟიურის ერთობლივი გადაწყვეტილებით (50%-50%) ევროფესტივალის ფინალისტები შეირჩნენ. 19 ქვეყნიდან ფინალში მხოლოდ ათი ქვეყნის წარმომადგენელი გადავიდა — საქართველო, რუსეთი, სერბეთი, ლიტვა, საბერძნეთი, აზერბაიჯანი, შვეიცარია, უნგრეთი, ფინეთი და ისლანდია. საქართველო ათი კონვერტიდან მეხუთე კონვერტში იყო მოთავსებული.

„ევროვიზიის“ მეორე ნახევარფინალი 12 მაისს გაიმართება. მასში მონაწილეობას 19 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს და ფინალში კიდევ 10 ქვეყნის მომღერალი გადავა. რაც შეეხება ჯგუფს „ელდრაინი“, ის „ევროვიზია 2011“-ის ფინალში სიმღერას 25-ე ნომრად იმღერებს.

წლევანდელი „ევროვიზიის“ სლოგანია „მოუსმინე შენ გულის ცემას“. ამ თემატიკის სიმღერა შეასრულა ყველა კონკურსანტმა და მათ შორის, ქართულმა ჯგუფმაც. ჯგუფის სამოსზე დიზაინერმა ნინო ჩუბინიშვილმა იგივე „ჩუბიკამ“ იზრუნა. საკონკურსო სიმღერის სასცენო ვერსია ფრანგ რეჟისორს პასკალ ჯორდანს ეკუთვნის.

საქართველომ „ევროვიზიაში“ პირველად 2007 წელს მიიღო მონაწილეობა. პირველი მერცხალი სოფო ხალვაში იყო, მან მე-12 ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს ხალვაშს დიანა ღურწკაია შეენაცვლა, სტეფანემ და სამმა გოგომ პროტესტის ნიშნად ევროვიზიაში მონაწილეობა არ მიიღეს, ხოლო გასულ წელს სოფო ნიჟარაძემ ფინალში მე-9 ადგილი დაიკავა. „ელდრაინის“ სოლისტი სოფო ტოროშელიძე შარშან სოფო ნიჟარაძის ბექვოკალში მღეროდა.

43 მონაწილე ქვეყნიდან ევროვიზიის ფინალურ ტურში მოხვედრას მხოლოდ 25 ქვეყანა შეძლებს, აქედან ხუთი ქვეყანა — გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია ფინალში ავტომატურად გადავა. ევროფესტივალს გერმანია წელს დიუსელდორფში მასპინძლობს. გრანდიოზულ სანახაობას გერმანიამ 1983 წელს მიუნჰენში და 1957 წელს ფრანკფურტში უმასპინძლა.

ევროვიზიის ფინალი დიუსელდორფში 14 მაისს ჩატარდება და მასში მონაწილეობას სულ 25 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს. წლევანდელი „ევროვიზიის“ გამარჯვებულს მაყურებელი და ჟიური ერთობლივად გამოავლენს.

# ციფრული ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის პირველი გამოფენა გაიხსნა

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა, თბილისის ისტორიის მუზეუმმა და „ტაციტა — მხატვრები საზღვრებს გარეშე“, ციფრული ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის თბილისის პირველი საერთაშორისო გამოფენა გახსნა. „ევროპა — ახალი იდენტობის ძიებაში“ — ასეთია ღონისძიების სახელწოდება.

როგორც „ახალ თაობას“ ეროვნულ მუზეუმში განუცხადეს, ციფრული ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის თბილისის პირველი საერთაშორისო გამოფენა თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა ხელოვნების ინტეგრაციის პროცესში აქტიურად მონაწილე საქართველოსთვის, რომელიც ფოტოხელოვნებაში არსებულ სიახლეებს დიდ ყურადღებას უნდა უთმობდეს.

გამოფენაში მონაწილეობას იღებენ კარინ ანგელი (გერმანია), ალექსანდრე ბერდიშევი (საქართველო), პაოლა ჩეჩი (იტალია), ეველინ ჯინი (ავსტრია), მიხაელ ვინსენტ მანალო (ფილიპინები), ტერეზა მილი (დიდი ბრიტანეთი), დიანა ნიკონოვა (ბულგარეთი), ანდრეას ოეტკერ — კასტი (გერმანია), ჯოან ვალსტრომი (ესპანეთი).

გამოფენაზე წარმოდგენილი ციფრული ფოტოები ალბეჭდავს აწმყოს და წინასწარმეტყველებს მომავალს. „შემთხვევითობა“ და „აუცილებლობა“ ამ ფოტოების თანმდევი მოტივია. გამოფენის საერთო კონცეფცია ეფუძნება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფოტოგრაფია განსაკუთრებული ხელოვნებაა, რომელიც შესაძლებელს ქმნის დამკვირვებლის არყოფნას და ამასთანავე მუდმივად იგრძნობა მისი თვალი. ხდება ყოველდღიურობის გარდასახვა იმ მოვლენებად, რომლებიც ყოფაში შეიძლება ჩვენი ყურადღების მიღმა რჩებოდეს, ან საერთოდ არ ვანიჭებდეთ მათ არავითარ მნიშვნელობას. პროექტის ორგანიზატორები საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ავსტრიის საელჩო საქართველოში, თიროლ უნზერლენდ და ქალაქ თბილისის მერია არიან.

ციფრული ხელოვნებისა და ფოტოგრაფიის პირველი გამოფენის პარალელურად, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმში მისულ დამთვალიერებელს გიორგი აბრამიძის პროექტს „კონკორდანსი კიდობანი“ სთავაზობს. გამოფენაზე წარმოდგენილია გიორგი აბრამიძის მიერ შექმნილ კომპოზიციებში განთავსებული ოდესღაც ფუნქციადაკარგული ინსტრუმენტები. გამოფენა ძალზე მასშტაბურია და მოიცავს ორმოცდაათამდე დიდ კომპოზიციას. „კონკორდანსი“ რაიმე ტექსტში არსებული სიტყვებისა და გამოთქმების ანბანურ სიას ნიშნავს, განმარტებებითა და ადგილმდებარეობების მითითებით. მუსიკალური ინსტრუმენტები, საათის მექანიზმები, მაკრატლები, ახალ სიცოცხლეს იძენენ მხატვრის კომპოზიციებში. მისი ნამუშევრები მუსიკას გამოსცემენ და დისჰარმონიისაგან ჰარმონიას ქმნიან. გიორგი აბრამიძე თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულია, ჰქონდა უამრავი გამოფენები 1989 წლიდან დღემდე გერმანიაში, საბერძნეთში, ჰოლანდიაში, ესპანეთში, ჩეხეთში, რუსეთში, თურქეთში, საქართველოში, პროექტის მიზანია, შეიქმნას ახალი ავანგარდული მხატვრული სივრცე, სადაც დისჰარმონიით წარმოქმნილი ჰარმონია ახალ სინთეზს წარმოაჩენს, შედეგად ეს იქნება კიდევ ერთი რეაგირება ახალ მხატვრულ ძიებებზე, დამთვალიერებელთან კონტაქტის ახლებური ფორმის ძიებებზე, კონკრეტულ საგნებსა და ფუნქციადაკარგულ ნივთებში განთავსებული სრულიად ახლებურად აჟღერებული ისტორია.

გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში 16 მაისამდე გასტანს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. უსწავლელი, უვიცი ადამიანი; 3. გულისნადები, საიდუმლო; 4. ნივთიერება, რომელიც ელექტროდენს არ ატარებს; 5. კვირა დღის ქართული სახელწოდება; 6. ბეტონიტური თიხის საბადო გურიაში; 8. სახალხო დღესასწალი ესპანეთსა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 11. მსხვერპლად შეწირული რამ; 14. ჰორმონი, რომელსაც თირკმლისზედა ჯირკვალი გამოიმუშავებს; 15. კაფე-ბარი საცეკვაო მოედნით; 16. ხელოვნურად მიღებული რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 17. ტაივანის ადმინისტრაციული ცენტრი; 19. იტალიური რესტორანი; 21. სურნელოვანი ბოსტნეული მცენარე; 22. დაბალი, ხის მაგიდა.

**თარაზულად:** 1. მრავალსართულიანი კასტრული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 5. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი არაბეთის ნახევარკუნძულზე; 7. ჩხიკვის მეორე სახელწოდება; 9. სისხლის შემსწავლელი მეცნიერება; 10. დაბა ბოლნისის რაიონში; 12. უფლისწულის ტიტული ესპანეთსა და პორტუგალიაში; 13. ქართველი პრიმა-ბალერინა; 16. ქართველი მოქანდაკე, როდენის მოწაფე; 17. პარაზიტი, მკბენარა მწერი; 18. ჰუნების წინამძღოლი; 20. იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენა; 22. არგენტინული ცეკვა; 23. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 24. სტადიონი ლონდონში; 25. დაპყრობილი ტერიტორიის მონღოლი მმართველი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რობაია; 2. ტერცია; 3. ბერგმანი; 4. ტიბეტი; 6. მალიორკა; 8. ინკები; 11. „საფერავი“; 12. მოლიერი; 16. „ბორდო“; 17. ლაწვი; 18. მწირი.

**თარაზულად:** 1. როიტერი; 5. მოწმე; 7. თერაპია; 9. ავიცენა; 10. დეპორტი; 13. ბოლნისი; 14. „დარიკო“; 15. რომი; 19. „ჰილტონი“; 20. სავოიარი; 21. პორტვეინი; 22. „აიაქსი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. კლოშარი; 3. ინსბრუკი; 4. ამაშუკელი; 5. გრილი; 6. უშგული; 8. ბარელი; 11. ლებარდე; 14. ალმადოვარი; 15. სემაფორი; 16. ბარისტერი; 17. ხამონი; 19. ბედუინი; 21. კოშმა; 22. „სქური“.

**თარაზულად:** 1. სკლიანკა; 5. გურუ; 7. ბეზუთი; 9. კონსტატაცია; 10. გალერეა; 12. ალუბალი; 13. სპეკალი; 16. ბედეკერი; 17. ხიდი; 18. აბაშა; 20. ლედერინი; 22. „სიონი“; 23. კუტუნიო; 24. ეტიუდი; 25. „მწირი“.

# გიგა კობალაძე ავტორთა საზოგადოების ხელმძღვანელია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წესდებით გათვალისწინებულია, რომ არჩევნები ღია წესით უნდა ჩატარდეს, ამიტომ ჩვენ დახურული წესით ამ არჩევნებს ვერ ჩავატარებდით. ყველამ ნახა, რომ ხმათა უმრავლესობით გიგა კობალაძემ გაიმარჯვა. ამ არჩევნების ჩატარება წესდების სრული დაცვით მოხდა, ამის არაღიარება დაუშვებელია, თუმცა მესმის ქალბატონი ნატალიასიც — მას შეეძლო პრეტენზიების გამოთქმა. ის, რომ ავტორთა საზოგადოებას ახალი თავმჯდომარე ჰყავს, კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან ახალი სისხლი ყოველთვის საჭიროა. ბატონი გიგა ახალგაზრდა კაცია და იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**მერაბ სანოძე, მუსიკოსი, „სანო სტუდიის“ ხელმძღვანელი:**

— ნამდვილად მჯერა გიგა კობალაძის. ის აერთიანებს როგორც საავტორო, ასევე მომიჯნავე უფლებებს. უნდა დადგეს საქართველოში ის დრო, როცა ინტელექტუალური შრომა საკადრისად იქნება დაფასებული. დიდი იმედით ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ყველაფერი მოგვარდება. ყოველ შემთხვევაში, იმაზე უარესი არ იქნება, რაც აქამდე იყო.

**გია მაჭარაშვილი, კომპოზიტორი:**

— ვულოცავ გიგა კობალაძეს გამარჯვებას. ვაცადოთ ახალ ხელმძღვანელს. იმედს ვიტოვებ შაფათავასავით მასაც 11 წელი არ დასჭირდება ამ პრობლემების მოსაგვარებლად. მე მომხრე ვარ, რომ ყოველწლიურ კრებაზე ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარემ დეტალური ანგარიში ჩააბაროს ავტორებს და მისი მუშაობის არმოწონების შემთხვევაში, სულაც არ იყოს საჭირო ოთხწლიანი მმართველობის ვადის ამოწურვის ლოდინი. ასეთ დროს ის ადამიანი მაშინვე უნდა იქნას გადარჩეული და ახალი ხელმძღვანელი უნდა დაინიშნოს.

# ალმაფრთოვანებელი საგაზაფხულო კონცერტი

**საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია გროზნოში იყო გადახვეწილი. უზენაესი საბჭოს დეპუტატებს მან შემოუთვალა, ჩეჩნეთში ჩასულიყვნენ თებერვლის ბოლო სესიის ჩასატარებლად. ჩემს ოჯახში იმყოფებოდა ოპერის მომღერალი მაია თომა ე, რომელსაც შეატყობინეს გროზნოში გამგზავრების შესახებ. პარლამენტარს, რომელიც რეკავდა, მეც ვთხოვე წასვლის ნებართვა. იგი უმალ დამთანხმდა. ჩავედით გროზნოში. გადმომცეს, ჩემი ჩასვლა რომ შეიტყო, ზვიადს ცრემლებით ავსებია თვალები.... მეორე დღეს შევხვდი, 49 წუთი ვისაუბრეთ, მე არც დეპუტატი და არც ერთი პარტიის წევრი ვიყავი, ზვიადს მივმართე:**

— რატომ აგაღელვა ჩემმა ჩამოსვლამ, ჩვენ ხომ ბავშვობის მეგობრები ვართ და ვგონებ, გულგრილობა არ გვეკადრება!

რამდენიმე დღეში ქვორუმი შეიკრიბა და 11 მარტს დაიწყო სესია. ნახევარი საათის შემდეგ ზვიადმა მიიღო დეპეშა:

„დაიბადა ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია"

მთელი დარბაზი მქუხარე აპლოდისმენტებით შეეგება, სიხარულის შეძახილებით შეხვდნენ ამ ფაქტს. უხაროდა ზვიადს... მაგრამ მალე თავად დააცხრო ემოციები და სესია ჩვეული სიმშვიდით გაგრძელდა.

1992 წლის 11 მარტს დაბადებული ზვიად გამსახურდია არ დაავიწყდება იქ მყოფთ, მით უფრო, იგი თავის უფროს ძმასთან დემეტრესთან ერთად, არც თუ ხშირად კლასიკური მუსიკის კონცერტებით გვახსენებენ თავს.

ზვიადი ბავშვობიდან მონაწილეობს კონცერტებში, შემდეგ სოლო კონცერტებსაც მართავდა, 12 წლიდან უკვე მონაწილეობს სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში.

კონცერტი პარიზში, ბატინიოლის ეკლესიაში, აკაკი რამიშვილის ფონდის ხელშეწყობით, დ. გამსახურდია (ფორტეპიანო), ზ. გამსახურდია (ვიოლინო) 2006 წლის მაისი;

კონცერტი პარიზში, ბატინიოლის ეკლესიაში, აკაკი რამიშვილის ფონდის ხელშეწყობით ლიანა ისაკაძესთან ერთად, მისივე დაბადების დღის აღსანიშნავად დ. გამსახურდია (ფორტეპიანო) ზ. გამსახურდია (ვიოლინო), 2006 წლის ოქტომბერი;

კონცერტი თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში, მიძღვნილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ხსოვნისადმი, დ. გამსახურდია (ფორტეპიანო) ზ. გამსახურდია (ვიოლინო);

კონცერტი ბადენში, დ. გამსახურდია (ფორტეპიანო), ზ. გამსახურდია (ვიოლინო) შვეიცარია, მარტი 2008 წ;

კონცერტი ბაზელის კაზინოს დიდ საკონცერტო დარბაზში ბაზელის ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, სოლისტი ზ. გამსახურდია, შვეიცარია, მაისი, 2009 წ;

კონცერტი ებნეტის სასახლეში, ფრაიბურგი, დ. გამსახურდია (ფორტეპიანო), ზ. გამსახურდია (ვიოლინო), გერმანია 2009 წლის ივლისი.

ამჯერად, ზვიადი მარტო ეწვია თბილისს, რუსთაველის აკადემიურ თეატრში 9 აპრილისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. სცენაზე უკვე ჭაბუკი ზვიად გამსახურდია მსმენელმაყურებელთა წინაშე წარსდგა იან სიბელიუსის სავიოლინო კონცერტით. ეს ნაწარმოები სირთულეებით გამოირჩევა. კომპოზიტორის შემოქმედება კლასიკური და რომანტიკული მუსიკის სინთეზია. იან სიბელიუსი თემების გარდასახვის ვირტუოზად ითვლება. მისი ნაწარმოების შემსრულებლისთვისაც აუცილებელია როგორც კლასიკური, ისე რომანტიკული სტილის ფლობა. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მკაცრ სტილთან, გამომდინარე ფინელი კომპოზიტორის ჩრდილოური ბუნების სიმკაცრის ზეგავლენიდან და მეორე მხრივ, რომანტიზმის სტილურ სიღრმეებში წვდომასთან. რაც შეეხება თემების გარდასახვის კომპოზიტორისეულ ვირტუოზულობას, იგი სათანადო ვირტუოზულ გარდასახვას მოითხოვს შემსრულებლისგანაც, რაც არცთუ იოლად მიღწევადია ერთი ნაწარმოების (დიდი თუ პატარა ფორმის) შესრულებისას.

იან სიბელიუსის სამნაწილიანი სავიოლინო კონცერტის პირველი ნაწილი, როგორც ნებისმიერი სიმფონიის თუ კონცერტის ეს ნაწილი — სონატური ალეგრო, წარმოადგენს ციკლური ფორმის დასაწყისსაც და „შეჯამებასაც" (აქ „შეჯამება" მხოლოდ აზრობრივად იხმარება). კომპოზიტორის ამ კონცერტის პირველი ნაწილი კლასიკურ სტილშია დაწერილი. თემათა კონტრასტი, რაც აუცილებელია კლასიკური სონატური ალეგროსათვის, უფრო შეფარულად არის მოცემული და ღრმად ეროვნული ფინური მუსიკის ნიადაგზეა შექმნილი. ეს პირველი ნაწილი მთავარი იდეის დამტევია და ნაწარმოების კონცეფციაც მასში დევს. კადენცია, რომელიც კულმინაციის საწინდარია, შედარებით მცირე მოცულობისაა, მაგრამ შემსრულებლისათვის ერთობ რთული: როგორც ტექნიკური რესურსებით, ისე აპლიკაციის ხშირი გამოყენების მხრივ, რაც დიდ გამოცდილებასა და ოსტატობას გულისხმობს. ზვიად გამსახურდიამ ამ სირთულეებს ნიჭი, მიხვედრილობა და მონდომება დაახვედრა, რაც 19 წლის ახალგაზრდის უკვე დიდ გამოცდილებაზე მეტყველებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ზვიადს სწორად აქვს შტრიხი შერჩეული, რაც მუსიკის გამომსახველობითი საშუალებაა და აუცილებელია ნებისმიერი ნაწარმოებისათვის. შტრიხის სწორ შერჩევაზეა აგრეთვე ხემის მოძრაობით გარკვეული ხასიათის გადმოცემა. ისე, რომ იან სიბელიუსის სავიოლინო კონცერტის პირველი ნაწილი საუკეთესოდ იყო შესრულებული. მეორე ნაწილი წარმოადგენს ნელ ტემპში მოცემულ უფრო დახვეწილ მელოდიას. მევიოლინე ზვიად გამსახურდია ღრმად ჩაწვდა კომპოზიტორის ჩანაფიქრს და ლამაზი ბგერებით, დახვეწილი მუსიკალურობით შეასრულა მან ეს ნაწილი, რასაც დაუპირისპირა მესამე ნაწილის საცეკვაო მელოდია. აქ კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა შემსრულებლის ღრმა წვდომა ავტორის ჩანაფიქრისა, კერძოდ, კონკრეტულობის პრინციპი. ფინალი, რომელიც მთელი კონცერტის შემაჯამებელია, ზვიადმა საოცარი დამაჯერებლობით სწორი ინტერპრეტაციით შეასრულა.



ერთხელ კიდევ მსურს აღვნიშნო იან სიბელიუსის, დიდი ფინელი სიმფონისტის რთული კონცეპტუალური აზროვნება კლასიკური და რომანტიკული (ამ ორი, სრულიად განსხვავებული) მიმდინარეობის შერწყმა რომ ჰქვია. არც სავიოლინო კონცერტია ამ შემთხვევაში გამონაკლისი, რაც შემსრულებელმა ზვიად გამსახურდიამ, ერთი მხრივ, შემართებით, ამასთან გააზრებული მუსიკალურობით შეასრულა.

ზვიად გამსახურდია 9 აპრილისადმი მიძღვნილ კონცერტზე უკრავდა ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ორკესტრთან ერთად. პულტთან იდგა გამოჩენილი და გამოცდილი დირიჟორი, ვახტანგ მაჭავარიანი. იგი პირველ რიგში, დიდი მუსიკოსი და საუკეთესო მაესტროა. მის სამუსიკო განათლებას ბავშვობიდან ჩაეყარა საფუძველი გენიალური ქართველი კომპოზიტორის ალექსი მაჭავარიანის ოჯახში. მის თვალწინ იზრდებოდა არაერთი მუსიკოს-შემსრულებელი თუ კომპოზიტორი. მაესტრო ვახტანგი მუსიკოსთა მესამე თაობას წარმოადგენს (მისი პაპა, დედის ხაზით, იყო შესანიშნავი ლოტბარი, ხალხური სიმღერების ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე, ბატონი კირილე პაჭკორია), ასე რომ, გასაკვირი როდია ვახტანგ მაჭავარიანის ნიჭიერება და საუკეთესო დირიჟორობა. იგი პულტთან დგას მკაცრად, გამართულად. მანუალურ ტექნიკას ბრწყინვალედ ფლობს და ამ მრავალრიცხოვანი ორკესტრის შემსრულებლების „მოთოკვით" საუკეთესო ორთაბრძოლას აწარმოებს სოლისტისა და ორკესტრის შეჯიბრებისას (მოგეხსენებათ, კონცერტი შეჯიბრს ნიშნავს).

მსურს, ქართველ საზოგადოებას გავაცნო 9 აპრილის ალმაფრთოვანებელი საგაზაფხულო კონცერტის ბრწყინვალე შემსრულებლის, მევიოლინე ზვიად გამსახურდიას პრიზების, სიგელებისა და სერთიფიკატების ჩამონათვალი:

ვინტერტურის რეგიონალური შეჯიბრის 1 პრიზი (შვეიცარია, 2004 წ.);

უსტერის დასკვნითი შეჯიბრების 1 პრიზი (შვეიცარია, 2004 წ.);

კივანის საერთაშორისო ფესტივალის 2 პრიზი (ჰორგენი, შვეიცარია, 2004 წ.);

ბაზელის რეგიონალური შეჯიბრის 1 პრიზი წარჩინებით ლინოს-კვარტეტთან ერთად (შვეიცარია, 2005 წ.);

ლუგანოს დასკვნითი შეჯიბრი 1 პრიზი ლინოს-კვარტეტთან ერთად (შვეიცარია, 2005 წ.);

ციურიხის რეგიონალური შეჯიბრი 1 პრიზი დ. გამსახურდიასთან ერთად დუეტში (შვეიცარია, 2005 წ.);

კამერული მუსიკის ინტერლაკენის საერთაშორისო ფესტივალის 3 პრიზი ლინოს-კვარტეტთან ერთად (შვეიცარია, 2005 წ.);

ბაზელის რეგიონალური შეჯიბრის 1 პრიზი წარჩინებით (შვეიცარია, 2006 წ.);

ციურიხის დასკვნითი შეჯიბრის ΘΒΘΘΦ-ს პრიზი (შვეიცარია, 2006 წ.);

იურას საერთაშორისო ფესტივალის 2 პრიზი (შვეიცარია, 2007 წ.);

მასტერკლასის სერთიფიკატი პროფესორ ზახარ ბრონთან (შვეიცარია, ციურიხი, 2006 წ.);

მასტერკლასის სერთიფიკატი პროფესორ ჰელმუტ ცეჰეტმაირთან (გერმანია, ალტენშტაიგი, 2007 წ.);

უნიჭიერეს ქართველ შემსრულებელს, ზვიად გამსახურდიას, მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანს, ასევე ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო ორკესტრს ვუსურვებთ მრავალგზის მოეხიბლოს ქართველი მსმენელი ასეთი ბრწყინვალე კონცერტით.

ჭაბუკ ზვიად გამსახურდიას ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

**იუნონა აფაქიძე**
**მუსიკათმცოდნე**

## სამგლოვიარო განცხადებები

დიდი გულისტკივილით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ჩვენი სკოლის მეგობარი

**მარისა სეხნიაშვილი**

ბავშვობის მეგობრები



**მაყვალა პლატონის ასულ გიორგაძის ხსოვნას**

დედა არ ყოფილხარ, მაგრამ ყველასთვის იყავი დედა, დეიდა, მამიდა, ბებია, ნათესავი, თანამშრომელი, მეგობარი, მეზობელი, ნაცნობი. ყველა მათგანს რაღაცა სახსოვარი და მოსაგონარი დაუტოვე. ყველა შენიანზე დიდი ამაგი გქონდა, ამასთან, შენი უმწიკვლო შრომით ნაშოვნი ქონება თანდათანობით გადაუნაწილე შენს სიცოცხლეშივე.

მუდამ თანამდებობებზე მუშაობდი, მათ შორის, იყავი ცენტრალური კომიტეტის ბუღალტერი 25 წელი, თავდაცვის სამინისტროს ბუღალტერი 25 წელი, პატიოსნად ემსახურე ქვეყანასა და ხალხს.

ყველას ხიბლავდი თავმდაბლობით, კეთილშობილებით, სიკეთით, სითბოთი და სიყვარულით სავსე გულით!

15 მაისს ერთი წელია, რაც შენი ღვთივკურთხეული სული მარადისობაში გადავიდა. საუკუნოდ იყოს ხსენება და დიდება შენი სახელის და სულის, რომელიც დიდ ძალასა და გამძლეობას გვაძლევს, რომ ვილოცოთ და ვიაროთ წინ.

**მარად შენი მადლიერი ნანი ბასილაიშვილი, ზურა, ლევან ზოზირაშვილები, ლედი კალანდა ე, გური ჩანტლა ე, მარინა ჭინჭარაული, მაია ჩანტლა ე, რეზო გელდიაშვილი**



მეუღლე რუსუდან ვადაჭკორია, შვილები მალხაზ, მერაბ ცინდელიანები, რძლები თამუნა ნებიერიძე, მაია ახალაია, შვილიშვილები ბექა, ლუკა, ლიზი ცინდელიანები იუწყებიან

**გივი ცინდელიანის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 12, 13 მაისს, 16 საათიდან.

დაკრძალვა: 14 მაისს, 14 საათზე.

მისამართი: მოსკოვის პროსპექტი, V კვარტალი, III კორპუსი, II სადარბაზო, IV სართული.

კ.დ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის ანჟელა გოგუაძის მეუღლის

**თამაზ მაჭარაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## ევროპარლამენტმა საქართველოსთვის 46 მილიონი ევროს გამოყოფას მხარი დაუჭირა

ევროპარლამენტმა საქართველოსთვის 46 მილიონი ევროს გამოყოფას მხარი დაუჭირა.

დახმარება ეკონომიკური ზრდის წახალისებას და უმუშევრობის დონის შემცირებას, ასევე ექსპორტის ზრდას ითვალისწინებს. თანხის ნაწილი გრანტის, ნაწილი კი შეღავათიანი სესხის სახით გამოიყოფა. დეპუტატებმა გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს.

**მედიანიუსი**

## ნავთობის საერთაშორისო ფასი გაიზარდა

ნავთობის საერთაშორისო ფასი გაიზარდა. საინფორმაციო სააგენტო „როიტერის" ინფორმაციით, ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე „ბრინთ ქრად" ტიპის ნავთობის ფასი ერთ ბარელზე 0,12 აშშ დოლარით გაიზარდა და 117,15 დოლარს გაუტოლდა. ნიუ-იორკში „ლაით სვიჩ ქრად" ტიპის ნავთობის ღირებულებამ 0,15 აშშ დოლაროთ მოიმატა და 104,02 დოლარს მიაღწია.

**მედიანიუსი**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 12 მაისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "ჯუმანჯი" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფ. "შინდი თეთრი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00, 04.40** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** ევროვიზია **2011**. მეორე ნახევარფინალი. **01.00** ავტოპილოტი **02.00** მხ. ფილმი **"სარკეს ორი მხარე აქვს"** (**12**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი "რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" **14.00** საუკუნის პორტრეტები **19.00** დოკ. ფ."რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" **20.00** მხ. ფილმი **"28 დღე"** **01.00** მხ. ფ. **"მხოლოდ შენ"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობელი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ.**"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** შეგირდი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** **შეგირდი** **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი (გან.) **01.25** მხ.ფ.**"შეხვედრა ვამპირთან"** (**15**) (ბ. პიტი) (სუბტ.) **03.35** მხ. ფ. **"ოთხი ოთახი"** (**15**) (ა. ბანდერასი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"ჩემი მიწა"** **12.50, 19.30** სერ. **"სალომეა"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ.**"სკოლის მეგობრები"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** მოკლ. ფ. **"ზზიანეთი"** **11.05** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ. **"ერთი ცის ქვეშ"** **13.35** კონცერტი – "მძლევარი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** **1**-ლი ნ. **17.00** დოკ. ფილმი "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **17.30** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" მე-**4**ნ. **18.05** სალვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ამაღლება"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.25** დოკ. ფ."ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფ. "წინანდალი" **00.55** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.20** დოკ. ფილმი "კინო და წლები" მე-**3** ნ.

**08.00** დოკ. ციკლი "შოტლანდიის ისტორია" **09.10** სერ. **"ენ სი აი ეს"** **10.00** დოკ. ციკლი "კონკისტადორები" **11.00** დოკ. ციკლი "შოტლანდიის ისტორია" **12.15** სერ. **"ენ სი აი ეს"** **13.10** მხ. ფილმი **"პრეზიდენტის თვითმფრინავი"** **15.35** მხ. ფ. **"პელჰემ 1 2 3"** **17.35** მხ. ფ. **"პერსი ჯექსონი და ოლიმპოს ღმერთები"** **19.50** მხ. ფილმი **"ბეოვულფი"** **22.00** მხ.ფ. **"შეუძლებელი მისია"** **00.05** მხ. ფილმი **"მემფისელი ლამაზმანი"**

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**12 მაისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6766

ევრო — 2,4901

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7672

რუსული რუბლი — 0,0612

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-23, ღამით — 12-14

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-23, ღამით — 13-14

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-18, ღამით — 6-14

## ამინდის პროგნოზი 12 მაისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# „სანდი ტაიმსი" მორიგ სკანდალს ამზადებს

**საფეხბურთო სკანდალი მარტო საქართველოში არ არის აგორებული. თუმცა, ეს ჩვენთვის არის სკანდალი, თორემ რაც ფიფას ემუქრება, ბომბი უნდა ვუწოდოთ.**




ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ყოფილმა პრეზიდენტმა, ლორდმა დევიდ ტრისმანმა საყურადღებო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის არჩევის დროს, ფიფას წევრები თავიანთი ხმებით ვაჭრობდნენ. ტრისმანი ასახელებს კონკრეტულ მაგალითებსაც, რომლებთანაც მას უშუალო შეხება ჰქონდა.

გარდა საფეხბურთო ასოციაციისა, ტრისმანი ხელმძღვანელობდა კამპანიას, რომელიც 2018 წლის მუნდიალის ინგლისში ჩატარებითვის იბრძოდა. როდესაც ბრიტანულმა პარლამენტმა ტრისმანისგან მოითხოვა ახსნა-განმარტება, თუ რატომ წააგო ინგლისმა რუსეთთან მუნდიალის მასპინძლობისთვის ბრძოლა, 67 წლის პოლიტიკოსმა განაცხადა, რომ ამის მიზეზი ფიფაში ხმებით ვაჭრობაა. ტრისმანმა დაასახელა მსოფლიო ფეხბურთის მმართველის ორგანოს აღმასრულებელი კომიტეტის 4 წევრი, რომლებიც უშუალოდ მას სთავაზობდნენ თავიანთი ხმების ყიდვას. ესენი არიან ჯეკ უორნერი, რიკარდო ტეიშეირა, ნიკოლას ლეოსი და ვორავ მაკუდი.

ტრისმანის განცხადებით, კონკაკაფის პრეზიდენტი, ჯერ უორნერი, რომელიც ფიფას ვიცე-პრეზიდენტიცაა, მისგან ხმის სანაცვლოდ, 2.5 მილიონ გირვანქა სტერლინგს ითხოვდა და პირობას დებდა, რომ აღნიშნულ თანხას იგი საგანმანათლებლო ცენტრის ასაშენებლად გამოიყენებდა.

საკმაოდ საინტერესო მოთხოვნა ჰქონდა კონმებოლის პრეზიდენტს, ნიკოლას


**გაგრძელება მე-13 გვერდზე**


## ასტროპროგნოზი 12 მაისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

ნურავის ენდობით

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე ჩვეულ გარემოში გაატარეთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები აღარ გაქვთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლაზე იფიქრეთ, საქმიანი შეხვედრა გელით. **სასწორი** — ზედმეტი აქტიურობა დღეს არ ღირს, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ღრიანკალი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** — ტყუილი არ თქვათ, სიმართლეს თვალი გაუსწორეთ. **თხის რქა** — არჩევანი ძნელია, მაგრამ მაინც თქვენ მოგიწევთ გადაწყვეტილების მიღება. **მერწყული** — თავს კრიტიკულად შეხედეთ, ასე აჯობებს. **თევზები** — ნურავის ენდობით, გადაამოწმეთ ინფორმაცია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**


# ყურადღება!

## მათთვის, ვინც ვერ მოახერხა 100 წიგნის პირველი ტომის, განდის, შეძენა!

"ახალი თაობის" 9 მაისის ნომრიდან ისევ გაიყიდება განდის ავტობიოგრაფია, იგივე ფასად:

გაზეთი + წიგნი = 8 ლარი





## იუმორი



ტყეში ორი მონადირე მიაბიჯებს. ერთი მეორეს ეკითხება:

— დაინახე?

— რა?

— ეს-ესაა თავზე როჭომ გადაგვიფრინა.

ცოტა ხნის შემდეგ პირველი ისევ ეკითხება:

— დაინახე?

— რა?

— რა და მთლად დაბრმავდი? წინ კურდღელმა გადაგვირბინა.

ცოტა ხნის შემდეგ პირველი ისევ ეკითხება:

— დაინახე?

მეორეს უკვე მობეზრდა პირველის შეკითხვები და უპასუხა:

— დავინახე.

— თუ დაინახე, რაღად ჩააბიჯე?

* * *

— საყურიანი მამაკაცები ცოლქმრული ცხოვრებისათვის უკეთ არიან მომზადებული — იციან, რა არის ტკივილი და საიუველირო მაღაზიასაც კარგად მიაგნებენ...

გ.თ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მექსიკის დედაქალაქი; 2. ჰოლანდიური ყველი; 3. მე-13 საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი ხულოს რაიონში; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 6. ობობასნაირთა ოჯახის შხამიანი ცხოველი; 9. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 11. ბაზარში დაწესებული ფასი; 15. პოლონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. მკვახე, უმწიფარი ყურძენი; 17. ვირტუოზი იტალიელი მევიოლინე; 19. სამხედრო დანიშნულების მატარებელი; 21. ეთერზეთებით მდიდარი, ზოგიერთი მცენარის სურნელოვანი ზეთი; 22. ბულგარეთის სამეფოს პირველი დედაქალაქი.

**თარაზულად:** 5. ორგანიზმის მემკვიდრეობის და ცვალებადობის შემსწავლელი მეცნიერება; 7. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი დისციპლინა; 8. მოღრუბლული დილა; 10. ყორნისებრთა ოჯახის მოლაპარაკე ფრინველი; 12. არგენტინული ცეკვა; 13. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 14. ზეთით მდიდარი, კურკოვანი ნაყოფის მქონე მარადმწვანე სუბტროპიკული მცენარე; 18. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ეგვიპტეში; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 25. არტურ რუბინშტეინის ოპერა; 26. გემის უკანა ნაწილი; 27. კინოთეატრი თბილისში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი